ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
19 თებერვალი **შაბათი** 2011
№040 (13337) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიხსაქეტური

## დღეიდან დღეის სწორამდე ვთამაშობთ როგორც ინგლისელები

3



დღეს დინამო ზესტაფონს ეროვნულზე დაუხვდება

2010 წლის 15 აგვისტო. დინამო-ზესტაფონი 2:1

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ტორინ-ტაირონიანი

## გრინი იქნება, ელისი ელის





11

## ბორჯღალოსნები პორტუგალიისკენ

13



2

## სახალხო გუნდის გულისთქმა:

# არ გაყიდოთ!

## გამოძახილის ნიშნები ჯანოს თამაშის გამო



2

1997 წელი. საქართველო-პოლონეთი 3:0

## 10 აგვისტოს ქეცბაია პოლონეთს გაიხსენებს







## 9 წელია, ჟოზე იღბლის სახლიკაცია

## გამოვა გვარდიოლა 100?

ლა ლიგა. ტურის წინათქმა

9

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი




# რუსებს ანანიძე არ ეთმობათ

*"ამპიჟს "სპარტაკის" ხელმძღვანელობამ მაისურაზე "ჟანოს" ნაცვლად, не продаетс ! უნდა დააწეროს. დაე, ყველამ გაიგოს, რომ კლუბი მის გაყიდვას არ აპირებს"* - ასეთია "სპარტაკის" ერთ-ერთი ფანის გამოხმაურება "ბაზელი"-"სპარტაკის" მატჩზე. **ჯანო ანანიძის** მართლაც გამორჩეული თამაშის შესახებ "ლელოს" გუშინდელ ნომერში ვრცლად გიამბეთ, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალური მატჩის კომპენსირებულ დროში შვეიცარიული პუბლიკის თვალწინ უნიჭიერესმა ქართველმა "ბაზელს" ეფექტური ჯარიმა გაუტანა და "სპარტაკს" 3:2 მოაგებინა, რამაც მისი გუნდი განმეორებითი შეხვედრის წინ უპირობო ფავორიტად აქცია. ანანიძე "ბაზელთან" თამაშში შესვენების შემდეგ ჩაერთო.

ინტერნეტში განაფული მკითხველი სხვადასხვა რუსულ ინტერნეტ-ფორუმზე ანანიძის საქებარ უამრავ ფრაზას წააწყდება. ზემოთ ყველაზე ორიგინალური გაგაცანით, რუსი ქომაგების საერთო აზრი კი ისაა, რომ ჯანო "სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში სტაბილურ ადგილს იმსახურებს. გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ რუსეთის "სახალხო გუნდის" მთავარი მწვრთნელი **ვალერი კარპინი** ამიერიდან მაინც მისცემს ქართველს მეტ სათამაშო დროს. ბევრის აზრით კი, კარპინს ჩემპიონთა ლიგაზე ანანიძისთვის მეტი ნდობა რომ გამოეცხადებინა, "სპარტაკი" ახლა ევროპის ლიგის კი არა, ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში ითამაშებდა.

ალბათ, ჯანოს თამაშზე თავად კარპინის კომენტარიც გაინტერესებთ. *"მიმდინარე წელს პირველ ოფიციალურ შეხვედრას ვატარებდით და პირველ ტაიმში არადამაჯერებლად ამიტომაც გამოვიყურებოდით, მეორე ნახევარში კი უპირატესობას "სპარტაკი" დაეუფლა, რაშიც ჯანოს დიდი წვლილი მიუძღვის. მოედანზე მისი გამოსვლის შემდეგ ბურთსაც ხშირად ვფლობდით და უკეთაც ვუტევდით"*, - თქვა "სპარტაკის" თავკაცმა.

რაც შეეხება *не продаетс* -ს, ძალიანაც კარგი, რომ ანანიძე არც კლუბს ეთმობა და არც გულშემატკივრებს, მაგრამ უნდა ვისურვოთ, რომ "სპარტაკი" ჯანოს კარიერაში მხოლოდ ეფექტური ტრამპლინი იქნება და არა საუკეთესო საფეხბურთო მოგონება, როგორც ეს, მაგალითად, **მალხაზ ასათიანისა** და მოსკოვის "ლოკომოტივის" შემთხვევაში მოხდა...

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ნაკრები

## 10 აგვისტოს ევრო 2012-ის მასპინძელს ვესტუმრებით

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორის, **ნიკოლოზ ჩხეიძის** ცნობით, ეროვნული ნაკრები ზაფხულში კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

*"მატჩების თაობაზე რამდენიმე ფედერაციას ველაპარაკეთ, საბოლოოდ კი პოლონელებს შევუთანხმდით. 10 აგვისტოს მათ ეროვნულ გუნდს, სავარაუდოდ, ვარშავაში ვესტუმრებით"* – გვითხრა ჩხეიძემ.

პოლონეთი, უკრაინასთან ერთად, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, ახლა კი მათი ნაკრები ამხანაგურ შეხვედრებს ხშირად მართავს. ფიფას რეიტინგში პოლონეთი 71-ე ადგილზეა, ანუ ერთი ადგილით უსწრებს 72-ეზე მყოფ საქართველოს, მაგრამ ორივე ნაკრებს 449-449 ქულა აქვს. საქართველოსა და პოლონეთის ნაკრებები 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უკვე შეხვდნენ ერთმანეთს - მაშინ ვარშავაში 1:4 წავაგეთ, სახლში კი 3:0 მოვიგეთ.

გასული წლიდან მოყოლებული, ფეხბურთის ფედერაცია მოლაპარაკებებს აწარმოებდა უნგრეთის, ავსტრიის, სლოვენიისა და ლუქსემბურგის საფეხბურთო კავშირებთან, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მას შედეგი არ მოჰყოლია. საქართველოს ნაკრებმა წლეულს პირველი შეხვედრა 9 თებერვალს გამართა კვიპროსში და სომხეთთან 2:1 მოიგო.

## ლობჟანიძეს ხორვატებთან კუნთი არ უშვებს

16 თებერვალს დნეპროპეტროვსკის „დნიპროსა" და ნორვეგიული „ლილესტრიომის" ამხანაგურ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებისა და უკრაინელთა მცველი **უჩა ლობჟანიძე** დაშავდა. მას ფეხის კუნთი დაუზიანდა. თავდაპირველად ითქვა, რომ უჩას სამკურნალოდ ერთი თვე დასჭირდებოდა, თუმცა უფრო ადრე მომჯობინების იმედიც არსებობდა.

მოასწრებს თუ არა ლობჟანიძე საქართველოსა და ხორვატიის ნაკრებების 26 მარტის შეხვედრამდე მომჯობინებას, ამის გასარკვევად ესპანეთში დავუკავშირდით.

*"გუშინ კომპიუტერული დიაგნოსტიკით დაადგინეს, რომ კუნთი მაქვს გაჭიმული და კაპილარებია გაწყვეტილი, მკურნალობას კი ერთი თვე სჭირდებაო. სამწუხაროდ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხორვატიამდე მოედანზე ჩემი დაბრუნება გამოირიცხა"* - გვითხრა ლობჟანიძემ.

შეგახსენებთ, რომ უჩამ იანვარში მუცლის კუნთის ოპერაცია გაიკეთა და რეაბილიტაციის კურსს გადიოდა. ამდენად, "ლილესტრიომთან" მისი თამაში მოულოდნელი იყო. თუმცა, როგორც გვითხრა, სწრაფად მომჯობინდა, მუცლის კუნთი აღარ აწუხებდა და ექიმმა თამაშის უფლება ამიტომ მისცა.

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქე

თბილისში ორდღიანი ვიზიტით ორი ხორვატი იმყოფებოდა – **ალიოშა ასანოვიჩი და ივო შუშაკი**. ხორვატიის "ოქროს თაობის" ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი და მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი ასანოვიჩი ხორვატიის ეროვნულ ნაკრებში **სლავენ ბილიჩის** თანაშემწეა, საქართველოს ნაკრებთან ერთად რუსეთის დამმარცხებელი და თბილისის "დინამოში" თანამეგობრობის თასის მომგები შუშაკი კი დღეს თავისი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნის.

ასანოვიჩი და შუშაკი საქართველოში იმ საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად ჩამოვიდნენ, რომლებიც 26 მარტს გასამართ საქართველო-ხორვატიის ეროვნული ნაკრებების მატჩს ეხება. ხორვატი სტუმრები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ესტუმრნენ, სადაც პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას**, გენერალურ მდივან **რევაზ არველაძესა** და ტექნიკურ დირექტორ **ნიკა ჩხეიძეს** შეხვდნენ. მხარეებმა ერთმანეთს სხვადასხვა მნიშვნელოვანი დეტალები შეუთანხმეს.

ასანოვიჩმა და შუშაკმა მოინახულეს ეროვნული სტადიონი და ის რამდენიმე სასტუმრო, რომელთაგან ერთ-ერთშიც ხორვატიის ნაკრები დაბინავდება.

## ბატონო ალიოშა და ძვირფასო ივო, ვიმეგობროთ, ოღონდ ვიმეგობროთ

უკვე ცნობილია, რომ ხორვატთა დელეგაცია თბილისს 25 მარტის დილას ჩარტერული ავიარეისით ეწვევა და იმავე დღეს ივარჯიშებს. საქართველოში ხორვატიის ნაკრები მხოლოდ ერთ წვრთნას ჩაატარებს. სტუმრები სამშობლოში 27 მარტს გაბრუნდებიან.

ხორვატიის ნაკრებს საქომაგოდ ათასამდე გულშემატკივარი ჩამოჰყვება.

თუკი საქართველოში სტუმრობა ასანოვიჩისთვის მხოლოდ საქმიანი იყო, შუშაკისთვის თბილისში ჩამოსვლა ჩვეულებრივი ამბავი არასდროს ყოფილა. მას შემდეგ, რაც აქ აღარ მუშაობს, ხორვატი მწვრთნელი ჩვენს ქვეყანაში ძველი მეგობრების მოსანახულებლად არაერთხელ ჩამოსულა და ეს შანსი არც ახლა გაუშვია ხელიდან.

**ლევან ჯანეზაშვილი**




ალექსანდრე ამისულაშვილი

ტრანსფერი

## ამისულაშვილმა ოთხნახევრიანი გააფორმა
### ოღონდ ყუბანთან არა, კრასნოდართან

გუშინ ცნობილი გახდა, რომ **ალექსანდრე ამისულაშვილმა** "კრასნოდართან" ოთხწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. დიახ, "კრასნოდართან" და არა კრასნოდარის "ყუბანთან". შეცდომაში თურქული წყაროების მიერ გავრცელებულმა ინფორმაციებმა შეგვიყვანა. ამისულაშვილის მოულოდნელი გადაწყვეტილების მოტივებზე გუშინაც ვწერდით და გავიმეორებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების 28 წლის მცველმა ეს ნაბიჯი უპირველესად, ფინანსური მოტივაციით გადადგა.

"კრასნოდარი" რუსულ პრემიერლიგაში სადებიუტო სეზონს ჩაატარებს. კლუბს ძალიან ხანმოკლე ისტორია აქვს – 2008 წელს შეიქმნა, პრემიერლიგაში კი იმით მოხვდა, რომ სათანადო სახსრების უქონლობის გამო ელიტაში ადგილი რამენსკოეს "სატურნმა" დაკარგა. გუნდს ცნობილი სერბი სპეციალისტი **სლავოლიუბ მუსლინი** წვრთნის, რომელიც თავის დროზე მოსკოვის "ლოკომოტივში" მუშაობდა და **მალხაზ ასათიანი** მისი ხელმძღვანელობით თამაშობდა.

დღეს "კრასნოდარი" მესამე მოსამზადებელ შეკრებას იწყებს თურქულ "ბელექში" და ალეკო ახალ გუნდს იქვე შეუერთდება. 23 თებერვალს მუსლინის გუნდი ტესტმატჩს ნოვოსიბირსკის "სიბირთან" ჩაატარებს და ამისულაშვილის დებიუტიც ალბათ იქ შედგება.

შეგახსენებთ, ამისულაშვილი მის აწ უკვე ყოფილ კლუბ "ქაისერში" გასულ ზაფხულს ნალჩიკის "სპარტაკიდან" გადავიდა და შოთა არველაძის გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფიგურადაც იქცა. თურქეთის ჩემპიონატში მან 21 მატჩის ჩატარება და ორი გოლის გატანა მოასწრო.

ყველაზე ხანგრძლივი და წარმატებული პერიოდი ამისულაშვილს ნალჩიკში აქვს გატარებული. "სპარტაკის" ღირსებას იგი სამწელიწადნახევრის განმავლობაში იცავდა და 98 შეხვედრაში 10 გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თოვლმა დასავლეთი არია, აღმოსავლეთში კი უფრო დარია

... სხვა რა დაგვრჩენია, - იმის იმედად უნდა ვიყოთ, დიდთოვლობამ აღმოსავლეთ საქართველოშიც არ „შემოაღწიოს“, თორემ, წინას მსგავსად, კვლავაც არასრული ტური გვექნება. საბედნიეროდ, ამ მხრივ ჯერჯერობით სიმშვიდეა და რაღა მაინცდამაინც შაბათს დილითა თუ დღისით დაათოვს ჩვენს სტადიონებს? თანაც, ჭეშმარიტად „აღმოსავლური“ ტური გველოდება: ხუთივე მატჩი ლიხს აქეთ არის: ორი შეხვედრა თბილისში ჩატარდება, თითო-თითო კი - რუსთავში, გორსა და ბოლნისში. ოღონდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ სწორედ უამინდობის, კერძოდ, დიდთოვლობის გამო ჩემპიონატის კალენდარში გარკვეული ცვლილება მოხდა: ტურის ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა „ტორპედოსა“ და „ოლიმპს“ შორის, ნაცვლად ქუთაისისა, რუსთავში ჩატარდება. სამაგიეროდ, IV წრის მატჩში, 10 აპრილს რომ უნდა გაიმართოს, მასპინძელი ამჯერად უკვე „ტორპედო“ იქნება. მოკლედ, ჩვეულებრივი ამბავია და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ორივე გუნდის ხელმძღვანელობას, არა გვგონია, კომპრომისის მოძებნა გასჭირებოდა. თანაც, ვთქვათ და „ტორპედოს“ უარი ეთქვა ამ წინადადებაზე, მაშინ ხომ სეზონის განახლებიდან ქუთაისური კლუბისთვის უკვე მეორე გადადებული შეხვედრა აღმოჩნდებოდა; არადა, ისედაც შემჭიდროვებულ კალენდარში ამ ორი მატჩის „ჩასმაც“ არ იქნებოდა ▒ოლი საქმე, მით უფრო, როცა „ტორპედოს“ სათასო დაპირისპირებებიც ელოდება.

...მეორე ეტაპის დაწყების წინაც აღვნიშნეთ, რომ ამიერიდან ყველა ტურის მატჩები ერთსა და იმავეს დღეს ჩატარდება; ანუ, დღეიდან ჩემპიონატის ფინიშამდე (22 მაისის ჩათვლით), მხოლოდ და მხოლოდ „ერთდღიანი“ ტურები გვექნება. აი, რაც შეეხება იმას, ყოველივე ეს დადებითად აისახება ჩვენს ჩემპიონატზე თუ უარყოფითად, ამას მომავალი გვიჩვენებს.

დღევანდელი ყველა დაპირისპირება ერთსა და იმავე დროს, 14 საათზე დაიწყება და ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებსაც დღეიდან ამ სეზონის მეორე... „ბოქსინგ დეი“ ეწყებათ! შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე უკვე იყო ისეთი შემთხვევა, როცა უმაღლესი ლიგის გუნდებს ცხრა დღეში სამ-სამი მატჩის ჩატარებამ მოუწიათ (VII, VIII და IX ტურის შეხვედრებს ვგულისხმობთ); აი, დაახლოებით ასეთივე სიტუაცია დაიწყება დღეიდანაც: 19-დან 27 თებერვლის ჩათვლით (ფაქტობრივად, ერთი კვირის განმავლობაში) ჩემპიონატის მონაწილე ათივე გუნდმა სამ-სამი შეხვედრა უნდა ჩაატაროს! თანაც, ამ დროის განმავლობაში „ინტრიგა“ და „პრინციპული დაპირისპირება“ რომ ერთობ აქტუალური ტერმინები იქნება, ამას წყალი არ გაუვა: თითო ტურში თითო „ბომბა-მატჩია“! კონკრეტული მაგალითები გნებავთ? სიამოვნებით მოგახსენებთ: დღეს - „დინამო“-„ზესტაფონი“, ოთხშაბათს - „ოლიმპი“-„დინამო“, ხოლო კვირას - „ზესტაფონი“-„ოლიმპი“. ჩემპიონატის ფავორიტების ურთიერთდაპირისპირებების გარდა, არანაკლებ ინტერესს გამოიწვევს სხვა უშუალო კონკურენტების შეხვედრებიც, - ამ სამი ტურის განმავლობაში რამდენიმე ისეთი მატჩიც გველოდება ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი გუნდების მონაწილეობით, „ექვსქულიანად“ რომ ვაფასებთ ხოლმე...

...დაბოლოს, XX ტურის კიდევ ერთ სიახლეზეც: თბილისში, თემქაზე მდებარე სპორტკომპლექს „შატილის“ (ყოფილი „სიხარული“) სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის შეხვედრა პირველად ჩატარდება!

## დინამო–ზესტაფონი

Bwin: 2.10 3.10 3.20

19.02. თბილისი. ბ. პაიჭაძე **14:00**

არბიტრი: თ. გვანცელაძე; ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, გ. ჩიგოგიძე; მეოთხე მსაჯი: ხ. გაგნიძე

თებერვლის ბოლომდე ჩასატარებელ სამივე ტურში თითო-თითო მართლაც განსაკუთრებული შეხვედრა გველოდება, — ჩემპიონატის სამივე ფავორიტი თავის სიძლიერეს ერთმანეთთან დაპირისპირებაში გაარკვევს. ერთ-ერთი ასეთი „ბომბა-მატჩი“ დღეს ჩატარდება: წინა ტურში ქულადაკარგული „დინამო“... კარგად დასვენებულ „ზესტაფონს“ უმასპინძლებს. XXII ჩემპიონატის ფავორიტების პაექრობა რომ უდიდეს ინტერესს იწვევს, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება: დღევანდელი მეტოქეების ბოლო წლების თითქმის ყველა დაპირისპირება ხომ უაღრესად პრინციპულ ხასიათს ატარებს. თუმცა, სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, აღმოჩნდება, რომ „დინამოს“ საგრძნობი უპირატესობა აქვს „ზესტაფონთან“ შეხვედრებში: 11 მოგება, 3 ფრე და 5 წაგება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზედიზედ 5 მატჩია, „ზესტაფონი“ ქულის აღებასაც ვერ ახერხებს — უკანასკნელი ხუთივე დაპირისპირება „დინამოს“ გამარჯვებით დასრულდა! არანაკლებ შთამბეჭდავი მაჩვენებლით შეუძლია თავი მოიწონოს ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამაც:** ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით „დინამომ“ ექვსი მატჩი მოუგო „ზესტაფონს“ და მხოლოდ ერთ შეხვედრაში დამარცხდა!

სტატისტიკა იქით იყოს და დღევანდელი პაექრობა სატურნირო თვალსაზრისითაც უაღრესად მნიშვნელოვანია: „ზესტაფონი“ ქულით უსწრებს „დინამოს“, თანაც, იმერულ გუნდს ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. აქვე, არც ის უმნიშვნელო ფაქტორი დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელი მეტოქეები ამის შემდეგ რიგრიგობით უნდა დაუპირისპირდნენ ჩემპიონობის კიდევ ერთ რეალურ ფავორიტ „ოლიმპს“.



პირველ წრეში დინამომ ზესტაფონს 2:1 მოუგო

ზამთრის მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში „დინამოში“ მიმდინარე პროცესები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა: პირველი ეტაპი ახალი დასრულებული იყო, ჯერ კლუბში, მერე კი გუნდში სერიოზული საკადრო ცვლილებები რომ მოხდა. თუმცა, ისიც ცხადი იყო, რომ „დინამოს“ უამრავ ახალწვეულს ერთმანეთთან შესათამაშებლად გარკვეული დრო დასჭირდებოდა და ყოველივე ეს მეორე ეტაპის საწყისმა ტურმაც დაადასტურა. ყოველ შემთხვევაში, „დინამო“ რომ ცხრილის ბოლო საფეხურზე მყოფ „სპარტაკს“ ვერ დაამარცხებდა, ამას ბევრი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა. იმ შეხვედრაში „დინამოს“ შემადგენლობაში ერთდროულად ექვსმა ახალწვეულმა ითამაშა — **ჰომოლამ, მაროვიჩმა, ჰაჯიბულიჩმა, ტატანაშვილმა, ზარქუამ** და **კვეკვესკირმა.** დიდია იმის ალბათობა, რომ დღეს მასპინძელთა შორის კიდევ ორი დებიუტანტი ვიხილოთ: **პეტარ ელიჩი** და **ზურაბ არზიანი** და ამ ორი ახალწვეულის გამოჩენამ „დინამოს“ შემტევი პოტენციალი უნდა გააძლიეროს. არანაკლებ ინტერესს იწვევს მეორე ეტაპზე „ზესტაფონის“ სასტარტო შეხვედრაც; უფრო ზუსტად, იმერული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვის ვიხილავთ, აი რა გახლავთ პრინციპულ მეტოქეთა დაპირისპირების კიდევ ერთი ინტრიგა. ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, გუნდის ორი წამყვანი ფეხბურთელისა (**ნიკოლოზ გელაშვილი, გიორგი ხიდეშელი**) და „ზესტაფონის“ სამომავლო ურთიერთობასაც ვგულისხმობთ და იმასაც, რომ სტუმართა გუნდში, შესაძლოა, ახალწვეული **გიორგი ფოფხაძე** გამოჩნდეს. შეგახსენებთ, რომ ამ სატრანსფერო პერიოდში ფოფხაძის ... „დინამოში“ ჩარიცხვა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავი იყო; მაგრამ არცთუ ურიგო მონაცემების მქონე მარცხენა მცველმა ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და კარიერის გაგრძელება რუსულ პრემიერლიგაში გადაწყვიტა. თუმცა, მოვლენები შემდგომ სხვაგვარად განვითარდა და „კრილია სოვეტოვში“ დაწუნებული ფოფხაძე ამიერიდან **გია გეგუჩაძის** ხელმძღვანელობით იასპარეზებს.

## ოლიმპი–ტორპედო

Bwin: 1.20 6.00 9.00

19.02. რუსთავი. ფოლადი **14:00**

არბიტრი: ლ. სილაგავა; ასისტენტები: ზ. ფიფია, ზ. ჯვარიძე; მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

„ზესტაფონის“ მსგავსად, „ტორპედომაც“ დღეს უნდა განაახლოს სეზონი და ქუთათურთა გუნდის რუსთავში სტუმრობაც ისეთივე ინტრიგას გვპირდება, როგორც ტურის ცენტრალური მატჩი. თანაც, „დინამოსი“ არ იყოს, მეორე ეტაპის დაწყების წინ „ტორპედოშიც“ უამრავი ახალწვეული მივიდა და გუნდის მთავარი მწვრთნელის, **გია გიგატაძის** წინაშეც ფეხბურთელების ერთმანეთთან შეთამაშების პრობლემა რომ იქნება, ფაქტია.

დღევანდელი მეტოქეების წინა ორივე დაპირისპირება ამ სეზონში ფრედ დასრულდა, უმაღლეს ლიგაში „ოლიმპის“ სადებიუტო ჩემპიონატში კი ორივე მატჩი რუსთაველებმა მოიგეს - აი, სულ ეს არის დღევანდელ მეტოქეთა ურთიერთდაპირისპირების ისტორია. თუმცა, ოთხი-ხუთი წლისწინანდელ ამბებს რომ შევეშვათ, ორივე გუნდში პირველ-მეორე წრესთან შედარებითაც საკმაოდ ბევრი ცვლილება მოხდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ტორპედო“ შესამჩნევად გადახალისდა და ამჟამად გუნდში ისეთი კონტინგენტია შეკრებილი, ჩემპიონატის სამივე ფავორიტს მშვიდად ყოფნის საშუალება რომ არ უნდა ჰქონდეს. სხვათა შორის, „ტორპედოს“ შემადგენლობაში არაერთი ისეთი ფეხბურთელია, სხვადასხვა დროს „ოლიმპში“ რომ ასპარეზობდა: **გია მეგრელაძე, სევასტი თოდუა, თენგიზ ჩიკვილაძე, რევაზ გოცირიძე, ნოდარ მაჭავარიანი, ლაშა ქებაძე, დაჩი ფოფხაძე, ვახტანგ კვარაცხელია.**

მასპინძლებისთვის დღევანდელ მატჩს მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს: ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი ყველა ღონეს იხმარს ათმატჩიანი წაუგებელი სერიის გასაგრძელებლად; ამას გარდა, ახალგაზრდა მწვრთნელის, **თორნიკე მაისურაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ოლიმპს“ დღევანდელი მატჩის მერე „დინამოსთან“ და „ზესტაფონთან“ დაპირისპირებები ელოდება...

## სიონი–კოლხეთი

Bwin: 1.95 3.00 3.80

19.02. ბოლნისი. თ. სტეფანია **14:00**

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი; ასისტენტები: ი. უკლება, დ. კურტანიძე; მეოთხე მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

გუშინაც აღვნიშნეთ, რომ ამ ბოლო დროს „სიონს“ ერთობ წარუმატებელი პერიოდი აქვს — ბოლნისელებს 5 ნოემბრის მერე არ გაუმარჯვიათ! თუმცა, არც ის არის უმნიშვნელო ფაქტი, რომ „სიონის“ ძველ-ახალი მთავარი მწვრთნელი **გიორგი ყიფშიძე** მომავალს ოპტიმისტურად უყურებს და თავისი გუნდის მდგომარეობას კატასტროფულად ნამდვილად არ მიიჩნევს. ერთი მხრივ, მწვრთნელის ასეთი თავდაჯერებულობა საფუძველსმოკლებული არ უნდა იყოს: „სიონს“ ისეთი შემადგენლობა ჰყავს, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს; თანაც, ამ სეზონში ბოლნისური გუნდის წინაშე ხომ არასდროს დამდგარა მწვავედ ფინანსური პრობლემები, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით სტუმრებზე. თუმცა, „კოლხეთის“ გაჭირვებაზე უკვე არაერთხელ თქმულა და დაწერილა და ამ გუნდის პრობლემებზე ამჯერად აღარ ვისაუბრებთ; რაც მთავარია, **ბესიკ შეროზიას** გუნდმა მეორე ეტაპი გამარჯვებით დაიწყო და იმასაც შეეცდება, ბოლნისში სასურველი შედეგის მისაღწევად იბრძოლოს. მოგეხსენებათ, რომ უმაღლეს ლიგაში ყველაზე მეტი გამოცდილი ფეხბურთელი „სიონში“ ირიცხება, ერთ-ერთი მათგანი (**რევაზ ჯიქია**) პირველ ეტაპზე „კოლხეთის“ ღირსებას იცავდა და დღევანდელ მეტოქეთა მეორე წრის შეხვედრაში... მოედნიდან გააძევეს. საერთოდაც, ის მატჩი, რბილად რომ ვთქვათ, სკანდალური გამოდგა; უფრო ზუსტად, შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთობ არასასიამოვნო ფაქტ(ებ)ი მოხდა — მატჩის არბიტრსაც არ აკლდა მუქარა და ერთ-ერთი არხის ოპერატორსაც არ მისცეს პროფესიული საქმიანობის შესრულების უფლება. იმედი დავიტოვოთ, დღევანდელმა მატჩმა უექსცესოდ ჩაიაროს და ისიც ვისურვოთ, რომ „სიონისა“ და „კოლხეთის“ მესამე მატჩში მაინც ვიხილოთ გოლები - წინა ორივე დაპირისპირება ერთნაირი ანგარიშით (0:0) დამთავრდა...

## სპარტაკი–სამტრედია

Bwin: 1.91 3.20 3.70

19.02. გორი. ქართლი **14:00**

არბიტრი: ჯ. ხორავა; ასისტენტები: ა. კოკაია, ზვ. ერქვანია; მეოთხე მსაჯი: შ. ქუხილავა

სატურნირო ცხრილის ბოლო ორ საფეხურზე მყოფი გუნდების შეხვედრაში... უცხოური საბუქმეიქერო კანტორებიც კი ფავორიტად მასპინძლებს მიიჩნევენ: დღესდღეობით „სპარტაკი“ მართლაც აღემატება „სამტრედიას“ და **ბადრი კვარაცხელიას** გუნდის გამარჯვებაც არავის უნდა გაუკვირდეს. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ პირველი ეტაპის მიწურულს ამ ორივე გუნდს სხვადასხვა ფინიში ჰქონდა: ფინანსური პრობლემებით შეჭირვებული „სამტრედია“ ქვემოთ და ქვემოთ ეშვებოდა, „სპარტაკმა“ კი ქულების მოგროვება არა მხოლოდ უშუალო კონკურენტებთან, არამედ ჩემპიონატის ფავორიტებთანაც დაიწყო. ჰოდა, ერთ დროს უიმედო აუტსაიდერად შერაცხილ „სპარტაკს“ ახლა მშვენიერი შანსი აქვს, სეზონში პირველად მოსცილდეს... ცხრილის ბოლო საფეხურს. სამწუხაროდ, დისკვალიფიკაციის გამო მასპინძლებს „დინამოსთან“ მატჩში თავგამოჩენილი **ზვიად მეტრეველი** არ ეყოლებათ (ისე როგორც, ჭაბუკი ნახევარმცველი **კახაბერ კაკაშვილი**). თუმცა, „სპარტაკში“ მატებაც არის: გუნდში იჯარის წესით კიდევ ორი დინამოელი (**გიორგი მამუჩიშვილი, გიორგი ოთარიშვილი**) ითამაშებს და საერთოდაც, აუტსაიდერ გუნდში ამ ეტაპზე სერიოზული კონკურენციაა. „სამტრედიის“ ბოლოდროინდელი ფინანსური გაჭირვება რომ გუნდის ასპარეზობაზეც ადეკვატურად აისახებოდა, სამწუხაროდ, დიდი ხნის წინ ვივარაუდეთ და ჯერჯერობით სასიკეთო არც არაფერია...

## ვიტ ჯორჯია–ბაია

Bwin: 2.20 3.10 3.00

19.02. თბილისი. სიხარული (თემქა) **14:00**

არბიტრი: გ. ვადაჭკორია; ასისტენტები: დ. კვეტენაძე, ი. კაკაბაძე; მეოთხე მსაჯი: ბ. ნინუა

რა ვქნათ, ვერა და ვერ შევეგუეთ იმ ფაქტს, ბოლო ათწლეულის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ გუნდს „ვიტ ჯორჯიას“ ამ სეზონში პირველ ხუთეულს მიღმა რომ ვხედავთ; „ვეტერინართა“ სატურნირო მდგომარეობას საგანგაშო ნამდვილად არ ეთქმის, მაგრამ **მერაბ კოჭლაშვილის** ერთიანად ახალგაზრდულ გუნდს უკვე სამმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და უშუალო კონკურენტებთან ქულები თუ არ მოაგროვა, აი, მაშინ კი, შესაძლოა, არცთუ დალხენილი ფინიში ჰქონდეს. თუმცა, წინა ტურში „ოლიმპთან“ ნაჩვენები თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, „ვიტ ჯორჯიას“ შანსებს სკეპტიკურად ნამდვილად ვერ შევაფასებთ და უფრო მეტიც: ბოლო დროს მოყოჩაღებულ „ბაიასთან“ შეხვედრაში ფავორიტად სწორედ მასპინძლები მიგვაჩნია. თანაც, „ვიტ ჯორჯიას“ სამწვრთნელო შტაბსა თუ ფეხბურთელებზე, ალბათ, დამატებით სტიმულად უნდა იქცეს... ახალი სტადიონის ფაქტორიც. სამწუხაროდ, „ვეტერინარები“ კვლავაც ვერ ახერხებენ მცხეთაში მშობლიურ სარბიელზე ასპარეზობას, მაგრამ ამჯერად ახალ სტადიონს „დააჭაშნიკებენ“ - დღევანდელი მატჩი თბილისში, სპორტკომპლექს „შატილის“ მოედანზე ჩატარდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავჭალისა („მერანი“) და გლდანის („ამერი“) შემდეგ „დიდი ფეხბურთი“ თემქაზეც იქნება ხოლმე...

გვერდი მოამზადა გია **ტუხაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი

## მერებაშვილის პოზიცია პოზიციის თაობაზე: მე რა მინდა, ერთია, მთავარია, მწვრთნელს რა უნდა

### ქართველი შემტევი ბერძნული გრანდების სამიზნეზე იყო

სერბეთის ჩემპიონატში გიორგი მერებაშვილი თავს უკვე ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ნოვი სადის "ვოივოდინას" შემტევმა ნახევარმცველმა მიმდინარე სეზონის 14 მატჩში 6 გოლი გაიტანა და ამბობს, რომ წლის ბოლომდე გუნდს არ შეიცვლის. ნოვისადელები სერბეთის ჩემპიონატში პირველი წრის შემდეგ მესამე ადგილზე არიან, მდევარს ოთხი ქულით უსწრებენ და ევროთასებზე გასვლის რეალური შანსი აქვთ. გიორგის გუშინ დავუკავშირდით.

**- საკონტროლო შეხვედრებში ჯერ არ გაგიტანია.**

- მოსამზადებელ ეტაპზე თუ არ გავიტან, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარია, თავი სეზონის მსვლელობისას გამოვიჩინო და კარგად მოვემზადო. "ვოივოდინამ" უკვე გაიარა შეკრება ჩერნოგორიის ქალაქ ბუდვაში და ხუთი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა, თუმცა მე მხოლოდ სამი ვითამაშე, რადგან ერთი ნაკრებში გამოძახების გამო გამოვტოვე, ერთიც - მცირე ტრამვის გამო. გოლებს კი, იმედია, ჩემპიონატში გავიტან.

**– სომხეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ თემურ ქეცბაიამ მოედანზე მეორე ტაიმში შეგიშვა. ამ დროს გუნდი აირია და თავი ვერც შენ გამოიჩინე.**



- არ ვიცი, მიზეზი რა იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ცუდი მეორე ტაიმი ჩავატარეთ. საბედნიეროდ, ანგარიში შევინარჩუნეთ და მოვიგეთ. პირადად მე, ალბათ, კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი თამაში ჩავატარე და მიჭირს თქმა, რატომ. შესაძლოა, მიზეზი ისაა, რომ ჯერ სეზონი არ დაწყებულა, მოსამზადებელ ეტაპზე კი საუკეთესო ფეხბურთს ვერავინ აჩვენებს. ეს ჩემთვის ყველაზე დიდი პრობლემა იყო. ხომ გითხარით, მცირე ტრავმაც მაწუხებდა.

**– კლუბში საკმაოდ კარგად თამაშობ, ნაკრებში კი ბოლომდე ვერ გაშინაურდი. არადა, საერთო აზრით, გაცილებით მეტი შეგიძლია. ნაკრებში რა გემართება?**

- მართალს ამბობ, აშკარად ვგრძნობ, რომ კლუბში უფრო მეტად გახსნილი ვარ და უფრო აქტიურიც, მიზეზის ახსნა კი მიჭირს. მწვრთნელი შანსს მაძლევს და ძალიან მინდა, საქართველოს ნაკრებსაც ისევე გამოვადგე, როგორც "ვოივოდინას" და ჩემი წვლილი შევიტანო წარმატებაში. რატომღაც, ჯერ ეს არ გამომდის.

**- ფეხბურთელის გასახსნელად, შეიძლება, ერთმა გოლმაც იკმაროს.**

- ასეა და სანაკრებო შეხვედრებში რამდენჯერმე კიდეც მქონდა გატანის შანსი, თუმცა, სამწუხაროდ, ერთხელაც ვერ გამოვიყენე.

**– საკლუბო ამბებზეც ვთქვათ. კლუბში რა პოზიციაზე გათამაშებენ?**

- "ვოივოდინა" ჩვენი ნაკრების მსგავსი ტაქტიკით თამაშობს, მე კი თავდამსხმელის უკან მაყენებენ.

**- ნაკრებში კი ფლანგზე გათამაშებენ. სხვათა შორის, დაკვირვებული ვარ, მარცხენა ფლანგზე გაცილებით უკეთ თამაშობ, ვიდრე მარჯვენაზე. არადა, მემარჯვენე ხარ და ეს ცოტა უცნაურია.**

- გეთანხმები, ასეა. ეს იმიტომ, რომ ბურთის მარცხნიდან შუაში შეტანა და თამაშის გამწვავება უფრო მიადვილდება, ვიდრე მარჯვენა ფლანგიდან, თამაშსაც უფრო ხშირად მარცხნიდან ვამწვავებ. ფლანგზე ერთი სეზონი "დინამოშიც" ჩავატარე და მაშინაც მარცხნიდან ვთამაშობდი.

**- ნაკრებში მარჯვენა ფლანგზე გამწესებენ, შენს პოზიციაზე კი არასოდეს გითამაშია. გულახდილად თქვი, ფიქრობ, რომ ეს არის შენი ჩრდილში ყოფნის მიზეზი?**

- მიუხედავად იმისა, რომ ცენტრში თამაში მირჩევნია, ნაკრების მწვრთნელს ვერასოდეს ვეტყვი, აქ მირჩევნია თამაში-მეთქი. ეროვნულში მიწვევა დიდი პატივია და სადაც მწვრთნელი დამაყენებს, გუნდს იქ უნდა გამოვადგე. ნაკრებში გამოსვლა გაცილებით დიდი პასუხისმგებლობაა, ვიდრე - კლუბში და ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშებ, სადაც მწვრთნელი ჩათვლის საჭიროდ.

**- ნოვი სადსა და სერბეთში თავს როგორ გრძნობ?**

- გაცილებით უკეთ, ვიდრე ჩასვლისას. აღარც ენის ბარიერი მაწუხებს, ქალაქსაც შევეგუე და როგორც საკუთარ სახლში, ისე ვგრძნობ თავს.

**– ქართველების მანდ მიწვევაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ეს წლეულსაც გამოირიცხა.**

- ლაპარაკი მართლაც იყო, თუმცა არ ვიცი, ბოლოს რა მოხდა. არადა, რომელიმე ჩვენიანის ჩამოსვლა ძალიან გამახარებდა, თავს გაცილებით უკეთ ვიგრძნობდი.

**– "ვოივოდინაში" შენი გადასვლის შემდეგ სულ იმაზეა ლაპარაკი, რომ უკეთეს ლიგაში მიდიხარ, ეს შენც გითქვამს და გუნდის მენეჯერ მიხეილ ხუციშვილსაც, მაგრამ დღემდე მაგ კლუბში რჩები.**

- ნამდვილად იყო დაინტერესება და თან სერიოზულიც, თუმცა "ვოივოდინამ" ამ სატრანსფერო პერიოდში არ გამიშვა, ისევე, როგორც რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი.

**- მიზეზი რა იყო?**

- კლუბის ხელმძღვანელობას სურს, სერბეთის თასი მოვიპოვოთ და შუა სეზონში ლიდერების გაშვება გაუმართლებლად მიიჩნიეს. თუ ევროთასებზე გავედით, ამის მერე უფრო მეტი კლუბი დაინტერესდება. წინასწარ არ მინდა ლაპარაკი, თუმცა იმედი მაქვს, რომ ზაფხულში ჩემი ტრანსფერი განხორციელდება.

**- ახლა რომელ კლუბში გიწვევდნენ?**

- ჩემთან არც "ვოივოდინას" პრეზიდენტს ულაპარაკია და არც დაინტერესებულ კლუბებს, თუმცა ვიცი, ნოვისადელების ოფისში გამოაგზავნეს ფაქსი, რომ ჩემით დაინტერესებული იყვნენ "ოლიმპიაკოსი", "პანათინაიკოსი" და თელ ავივის "ჰაპოელი". ორი მათგანი, "პანათინაიკოსი" და "ჰაპოელი" ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა. არ ვიცი, საბოლოოდ რაზე ვერ მოილაპარაკეს.

**- ასეთი ტრანსფერების ჩაშლის შემდეგ „ვოივოდინაში" თამაში არ გიჭირს?**

- ცუდია, ასეთი კლუბები რომ დაინტერესდებიან და მიზეზთა გამო ვერ გადადიხარ. თუმცა წინასწარ ვიყავი შეგუებული იმ აზრს, რომ უკეთეს გუნდში გადასასვლელად სერბეთში კარგი სეზონი უნდა ჩამეტარებინა. მჯერა, ასეც მოხდება და წელიწადს უკეთეს გუნდში დავასრულებ. მთავარია, მეორე წრე პირველზე უარესად არ ჩავატარო და ჯანმრთელად ვიყო.

**მერაბ მამულაშვილი**

ქალთა ფეხბურთი

## ისტორიული გამარჯვება ბაქოში

აზერბაიჯანში შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 17-წლამდელ ქალ ფეხბურთელთა ნაკრებმა მასპინძელ თანატოლთა გუნდს 1:0 სძლია. გამარჯვების გოლი **ანა ჩემინავამ** გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი 17-წლამდელების ნაკრების ისტორიაში საერთაშორისო ასპარეზზე მისი პირველი გამარჯვებაა.

**გერონტი ნაჭყებიას** გუნდი აზერბაიჯანელებთან დღესაც ითამაშებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U17



ხიმენეს მელენდესი

## სამი ახალი და თითქმის კომპლექტი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ესპანეთში გამგზავრებამდე თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ვარჯიშობს. გუნდის თავკაცმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** გუშინ ის შემადგენლობა გაგვაცნო, რომელიც 22 და 24 თებერვალს მადრიდში ესპანელ 17-წლამდელებს ამხანაგურად შეხვდება.

მეკარეები: **გაბრიელ თებიძე** (ოლიმპი), **გიორგი ბერია** (მერანი, მარტვილი);

მცველები: **დაჩი ცნობილაძე** (ოლიმპი), **სულხან კახიძე** (ქობულეთი), **ნიკა სანდოხაძე** (დინამო), **ცოტნე მონიავა** (მერანი, მარტვილი), **სანდრო ჭილვარია, დავით მთივლიშვილი** (ორივე – 35-ე საფეხბურთო სკოლა);

ნახევარმცველები: **ლუკას ჰუფნაგელი** (ბაიერნი), **გოგი გოგიჩაიშვილი** (ქუთაისი), **ავთანდილ ენდელაძე** (ბაია), **ნიკა დიასამიძე** (ბათუმი), **თეიმურაზ მარკოზაშვილი** (მერანი თბილისი), **შალვა ექვთიმიშვილი** (35-ე საფეხბურთო სკოლა);

თავდამსხმელები: **ბაჩანა არაბული** (ოლიმპი), **გურამ სამუშია** (ბაია), **გიორგი ფანცულაია** (ოლიმპი), **ნიკა ტარყაშვილი** (ბეერსხოტი).

სამწვრთნელო შტაბმა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის 18-კაციან შემადგენლობაში სულ სამი ცვლილება განახორციელა – ნაკრებს დაემატნენ მარტვილის "მერანის" მეკარე გიორგი ბერია, 35-ე სკოლელი ნახევარმცველი შალვა ექვთიმიშვილი და ბელგიური "ბეერსხოტის" ფორვარდი ნიკა ტარყაშვილი. ბერიამ და ექვთიმიშვილმა ნაკრების მწვრთნელებზე კარგი შთაბეჭდილება ურეკულ შეკრებაზე ჩატარებულ საკონტროლო მატჩებში დატოვეს, ტარყაშვილს კი ჟორჟიკაშვილი ბელგიაში პირადად დააკვირდა და მისი საფეხბურთო შესაძლებლობებით კმაყოფილი დარჩა.

რაც შეეხება ბაიერნელ **ლუკას ჰუფნაგელს**, იგი საქართველოს ნაკრებს ესპანეთში შეუერთდება.

ელიტრაუნდამდე ბევრი დრო აღარ რჩება და, ბუნებრივია, ამ 18-კაციან შემადგენლობაში ბევრი ცვლილება აღარ მოხდება. მადლობა ღმერთს, სერიოზული ტრავმა არავის აწუხებს და თუ რომელიმე ფეხბურთელი ამ მიზეზით გამოგვაკლდა, სანაკრებო სია ამ შემთხვევაში თუ შეიცვლება...

როგორც ჟორჟიკაშვილმა გვითხრა, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები მადრიდში, არც მეტი, არც ნაკლები, ესპანეთის ეროვნული ნაკრების ბაზა "ლას როსასზე" დაბინავდება და მატჩებსაც იქვე გამართავს. ჩვენსავით ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებენ ესპანელი 17-წლამდელებიც, რადგან ელიტრაუნდი მათაც კარს მოადგათ და ექსპერიმენტების დრო აღარ აქვთ.

უკვე გაცნობეთ, რომ ესპანეთის 17-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ხიმენეს მელენდესს** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან მჭიდრო კავშირები აქვს და ჩვენი ნაკრები ამ სასარგებლო შეკრებას მისი ძალისხმევით აწყობს. მელენდესი საქართველოში A ლიცენზიისთვის სამწვრთნელო კურსებს ხელმძღვანელობდა და უახლოეს მომავალში კიდევ გვეწვევა. ისე კი, იგი მხოლოდ თეორიაში როდია წარმატებული – წლებია, ესპანეთის 17-წლამდელთა ნაკრებს უდგას სათავეში და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა მოუპოვებია. სხვა ქვეყნების უმეტესობისგან განსხვავებით, მწვრთნელები ერთი ასაკობრივი ნაკრებიდან მეორეში ფეხბურთელებთან ერთად კი არ გადადიან, ადგილზე რჩებიან და ახალ-ახალ თაობებთან მუშაობენ.

საქართველოს ნაკრები მადრიდში 21 თებერვალს გაემგზავრება და თბილისში 25-ში დაბრუნდება. შემდეგი სპარინგპარტნიორისა და შეკრების შესახებ დაზუსტებით ჯერ არაა ცნობილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

## ფლორა, ანუ კაქტუსი

### ბეგლარიშვილი დატოვეს და დასაჯეს

**ზაქარია ბეგლარიშვილი** იანვარში რუსთავის "ოლიმპთან" ერთად თურქეთში ემზადებოდა, საკონტროლო შეხვედრაში "სერვეტს" გოლიც გაუტანა და იმედოვნებდა, რომ მისი ამჟამინდელი კლუბი, ტალინის "ფლორა" იჯარით საქართველოში დააბრუნებდა. თურქული შეკრების შემდეგ 20 წლის შემტევი ნახევარმცველი ესტონეთში დაბრუნდა კლუბთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

*"დღეს კიდევ ერთხელ ვცადე "ფლორას" მწვრთნელების დათანხმება, მაგრამ არაფრის გაგონება არ უნდათ, ვერ გაგიშვებთ, უნდა დარჩეო. ასე რომ, კონტრაქტის დასრულებამდე ესტონეთში მომიწევს თამაში"* – ამბობს ბეგლარიშვილი, რომელიც არა მხოლოდ ამით არის უკმაყოფილო და გულდაწყვეტილი. როგორც გვითხრა, კლუბმა ფინანსური სანქციითაც "დაასაჩუქრა".

*"კლუბში რომ ვრჩები, ეს ერთი უბედურებაა, მეორე კი ისაა, რომ "ფლორამ" დამსაჯა და ცოტა ხნით დუბლებში უნდა ვითამაშო. თანაც, იანვრის ხელფასსაც ვერ ავიღებ. ეს იმიტომ, რომ თბილისში ყოფნის დროს კლუბის ვარჯიშები გააცდინეო. მე კი არ ვისვენებდი, "ოლიმპს" თურქეთში შეკრებაზე გავყევი და ტალინელებთან თითქმის ნახევარი თვე ამის გამო არ ვყოფილვარ. "ოლიმპში" ვარჯიში ესტონელებთან შეთანხმებული მქონდა, მაგრამ, ჩვენთან მაინც არ იყავი და ამ თვის ხელფასი არ გეკუთვნისო. ამის შემდეგ აქ რა გულით უნდა ვივარჯიშო".*

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთის წელი წდეული

## უკვე მეჩვიდმეტე

ამ დღეებში რუსეთიდან დარეკა, როგორც თავად გვითხრა, ფეხბურთის სტატისტიკოსმა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მონაცემები მსურს, თქვენლა დარჩით, ყველასგან მივიღეო, დაგვანამუსა, თანაც საქმიანობა-სამსახურის და გვარის გამხელა არ ინება. უტაქტობად (მეტი რომ არ ვთქვათ) ჩავთვალეთ მისი საქციელი და საკადრისად დავემშვიდობეთ. სტატისტიკოსი ჩვენც გვყავს, მისი სახელი და გვარი კი ჩვენშიც იციან და უცხოეთშიც — **რევაზ შენგელია.**

დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატები ავტორს თითო წიგნად აქვს გამოცემული და ეს მართლაც ძვირფასი საგანძურია ქართული ფეხბურთის ისტორიისთვის. ამ დღეებში მე-17 წიგნი გამოვიდა, რომელიც მიმდინარე საფეხბურთო სეზონს მოიცავს. ტრადიციისამებრ, წიგნში ანბანზეა გაწყობილი ფეხბურთელთა გვარები, გაეცნობით გუნდებს, წინა სეზონის შედეგებს და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ყველაზე საინტერესო სტატისტიკასაც კი.

წიგნი კვლავ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობითაა გამოცემული და, ასევე ტრადიციულად, პოლიგრაფიულად შესანიშნავ დონეზეა დაბეჭდილი.

**თენგიზ თომაშვილი**




ამბები

## მეთოფეები დიდხანს უმიზნებენ

კიევის „არსენალში" სეზონისთვის ემზადება **სანდრო კობახიძე**. 23 წლის ქართველმა შემტევმა ნახევარმცველმა რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაც ჩაატარა და თავიც გამოიჩინა.

თუმცა კიეველი „მეთოფეების" ხელმძღვანელები მასთან კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობენ.

*„ჯერ არც კონტრაქტი გამიფორმებია და, საერთოდაც, ამ თემაზე არც გვილაპარაკია. კიეველები ჩემს დატოვებას თუ გადაწყვეტენ, „დნიპროდან" იჯარით დამიმატებენ, კონტრაქტის გამოსყიდვას კი არ ჩქარობენ".*

დნეპროპეტროვსკელთა საკუთრებაში მყოფი **ბექა გოცირიძე** კვლავაც „დნიპროს" დუბლებში ვარჯიშობს, თბილისის "დინამოში" კი არ გაუშვეს. ჩვენი ინფორმაციით, უკრაინული კლუბი საქართველოში მხოლოდ იმ შემთხვევში გამოუშვებს, თუ „ზესტაფონში" ითამაშებს.

## ვოლგა: ყველა, საჯაიას გარდა

ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგამ" მეორე მოსამზადებელი ეტაპი დაასრულა, მთავარმა მწვრთნელმა **ომარ თეთრაძემ** ფეხბურთელები ორიოდე დღით დაასვენა, გუშინ კი ესპანურ მარბელაში მესამე შეკრება დაიწყო.

გუნდში ყველა ქართველია **ედიკ საჯაიას** გარდა, რომელიც ჰაიფას „მაქაბიდან" დაბრუნების შემდეგ კვლავ „ვოლგაში" ვარჯიშობდა, თუმცა ეს დროებითი იყო და 29 წლის საჯაია ახალ კლუბს ეძებს.

## რა ნიჭი... რა კარიერა

### ლაშა ჯაკობია ფახთაქორში გამოჩნდა

მარიუპოლის „ილიჩივეცი" არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ემზადება სეზონისთვის და მორიგი საკონტროლო შეხვედრა ტაშკენტის „ფახთაქორთან" გამართა. ამ შეხვედრამ იმით დაგვაინტერესა, რომ უკრაინელთა გუნდში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი **თორნიკე ოქრიაშვილი** თამაშობდა, უზბეკებში კი ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი **კახა მახარაძე**, რომელიც ტაშკენტურ კლუბში ამ სატრანსფერო შუალედში ჩაირიცხა.

„ილიჩივეცმა" 3:1 მოიგო, ორივე ქართველმა კი თავიანთი გუნდების ძირითად შემადგენლობაში ათამაშა - თორნიკე მეორე ტაიმში შეცვალეს, კახამ კი მატჩი ჩაამთავრა.

თუმცა ეს შეხვედრა ჩვენთვის სხვა ამბითაც აღმოჩნდა გამორჩეული - 58-ე წუთზე ტაშკენტელთა შემადგენლობაში საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **ლაშა ჯაკობია** გამოჩნდა. „ფახთაქორის" ვებგვერდზე არაბეთში გასამგზავრებელთა სიაში 30 წლის ქართველი არ ეწერა, როგორც ჩანს, მისი შემატება შეკრებისას გადაწყდა.

შეგახსენებთ, რომ ჯაკობია ბოლოს 2009 წელს კიევის „არსენალში" თამაშობდა, 26 სექტემბერს კი „არსენალისა" და ზაპოროჟიეს „მეტალურგის" მატჩის შემდეგ დოპინგტესტზე ჩავარდა. განმეორებით ტესტზე თავად თქვა უარი და, უკრაინული მედიის ცნობით, აღიარა, რომ საქართველოში ყოფნისას ლვინოში ნარკოტიკული ნივთიერება მეტადონი გააზავა, რაც სტრესის მოხსნის სურვილით ახსნა. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა ლაშას აღიარება და მხოლოდ ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია აკმარა, სხვა შემთხვევაში კი ერთწლიანი სასჯელი ეკუთვნოდა.

მას შემდეგ ჯაკობიას არსად უთამაშია, მხოლოდ ზაფხულში გამოჩნდა ცხინვალის „სპარტაკში", მაგრამ კლუბს მალევე დაშორდა. სანწყენია, რომ ასეთი ნიჭიერი ფეხბურთელის კარიერა ისე ვერ აეწყო, როგორც მის ნიჭს შეეფერებოდა.

შეგახსენებთ, რომ ლაშა 1998 წელს 17 წლისა ლიეჟის „სტანდარდში" მიიწვიეს, მაგრამ ტრავმების გამო ამ კლუბში მხოლოდ ორჯერ ითამაშა. შემდეგ გაანათხოვრეს ბელგიურ „ვიზეში" (18 თამაში, 14 გოლი), „ლიეჟში" (14 თამაში, 14 გოლი), 2000 წელს „აალსტში" გადავიდა (3 თამაში, 1 გოლი), იყო „მონსისა" და ბუქარესტის „რაპიდის" ფეხბურთელი. 2003 წელს ჯაკობია საქართველოში დაბრუნდა და ჯერ „თბილისში", შემდეგ „დინამოში" ჩაირიცხა, მაგრამ აქ დიდხანს ვერ გაძლო და მალე საბერძნეთის „იანინას" მიაშურა. 2004-09 წლებში თამაშობდა უკრაინაში, კიევის „არსენალსა" და ხარკოვის „მეტალისტში". ერთი პერიოდი „მეტალისტის" კაპიტანიც იყო, საქართველოს ნაკრებში კი 14 მატჩი ჩაატარა (1 გოლი).

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მატჩის ექო


ფაბრეგასი ყველაფრით კმაყოფილია

# საუკეთესო თამაში სესკის ცხოვრებაში

„არსენალის“ კაპიტანმა **სესკ ფაბრეგასმა** ოთხშაბათს, „ემირეიტ სთედიუმზე“ „ბარსელონასთან“ თამაში ასე შეაფასა: *„ეს იყო ყველაზე დიდი მატჩი, რომელშიც ოდესმე მიმიღია მონაწილეობა“.*

ყველას, ვინც ჩემპიონთა ლიგის ამ მერვედფინალური შეხვედრის რეპორტაჟი ნახა, ორი რამ დაამახსოვრდებოდა: დიდებული, შემოქმედებითი ფეხბურთი და „არსენალის“ უტეხი სული - პირველი ტაიმი ხომ სტუმრებმა მოიგეს. რასაკვირველია, **დავიდ ვილიას** გოლის შემდეგ უმეტესობას ეგონა, რომ გუნდი, რომელსაც თავად ფაბრეგასი მსოფლიოში საუკეთესოს უწოდებს, შანსს ხელიდან აღარ გაუშვებდა, მაგრამ „მეთოფეებმა“ ძალები მოიკრიბეს და **რობინ ვან პერსისა** და **ანდრეი არშავინის** გოლებით მოიგეს.

23 წლის ესპანელი ვარსკვლავი ამბობს: *„თამაშის ხარისხისა და ინტენსივობის თვალსაზრისით ასეთ შეხვედრაში მონაწილეობა არასდროს მიმიღია. როდესაც ბურთს ისინი ფლობდნენ, ისინი უტევდნენ, ხოლო, როდესაც ჩვენ ვფლობდით, ჩვენ ვუტევდით. შეტევას შეტევა ენაცვლებოდა. ასეთი მაღალი დონის თამაშს, როგორც გითხარით, ვერ ვიხსენებ და თან, განსაკუთრებით ის მახარებს, რომ შედეგი საჩვენო გამოვიდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო“.*

შეგახსენებთ, რომ ფაბრეგასი არის ფეხბურთელი, რომელმაც 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ითამაშა და მაღალი დონისა და დაძაბული შეხვედრების ამბავი კარგად მოეხსენება. შესაბამისად, ასეთი ფეხბურთელის შეფასება ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, თუმცა, ალბათ, გასაგებია, რატომაც მოეწონა „არსენალის“ კაპიტანს ოთხშაბათის თამაში მუნდიალის ფინალზე მეტად - აქ, ორივე გუნდი შეტევას ცდილობდა და შემოქმედებით ფეხბურთს თამაშობდა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში კი ჰოლანდიამ დაცვიდან ითამაშა და თან უხეშობის ზღვარს მიახლოებული ათლეტური ელემენტიც შესამჩნევად ჰქონდა შეზავებული.

გულშემატკივარს ჯერ კიდევ კარგად ახსოვს „ბარსელონასა“ და „არსენალის“ შარშანდელი დაპირისპირება. ის, იმავე შეჯიბრების, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი იყო და პირველმა შეხვედრამ მაშინაც დიდი მოწონება დაიმსახურა, მაგრამ წლევანდელი კიდევ უფრო ლამაზი გამოვიდა.

*„ვფიქრობ, ყველაფერი სამართლიანად გამოვიდა. ბურთს უპირატესად „ბარსელონა“ ფლობდა, მაგრამ ვან პერსის გოლმა ჩვენთვის ყველაფერი შეცვალა. რასაკვირველია, ეს შემთხვევით არ მომხდარა. შესვენებისას ჩვენ ვფიქრობდით, რომ თამაშის შემოტრიალება და მოგება შეგვეძლო. მესის ორჯერ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ჩვენც გვქონდა სახიფათო მომენტები. კერძოდ, პირველ ტაიმში ვან პერსი იყო მიზანთან ახლოს, კიდევ ჩემი პასი ერიკ აბიდალმა ჩაჭრა ბოლონამს, თორემ იმავე ვან პერსის გოლი გაჰქონდა. თეო უოლკოტსაც ჰქონდა გოლის შეგდების აშკარა შანსი.*

*ზოგადი სურათი, მე მგონი, მაინც ასეთი იყო: თამაშის თვალსაზრისით, ანუ დაცვაში, ნახევარდაცვასა და შეტევაში ჩვენ ვაჯობეთ. მათ მომენტები, რასაკვირველია ჰქონდათ. „ბარსელონაა“, ექნებოდა, აბა, რა.*

*თუმცა, ამ გამარჯვების მიუხედავად, ჩვენი მხრებიდან მძიმე ტვირთი ერთი თამაშის შემდეგ ვერაფრით მოიხსნება. გვიხარია, რომ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო გუნდს მოვუგეთ, თორემ საპასუხო შეხვედრა ჯერ წინ არის. გარდა ამისა, ამ ერთმა გამარჯვებამ ჩვენს გუნდს ძალიან ბევრი რამ შეიძლება მისცეს. ჩვენ მთელი გულით და სულით ვთამაშობდით, ვმოქმედებდით ჭკვიანურად, ალტაცებით და ამან საბოლოოდ შედეგი მოგვიტანა“.*

ფაბრეგასი იმაშიც მართალია, რომ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. არც იმით ღირს დიდად გახარება, რომ კატალონიელებს დაცვის ცენტრში **ჟერარდ პიკე** არ ეყოლებათ - „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მცველი მეორე ტაიმის შუაში სწორედ ფაბრეგასის წინააღმდეგ უხეშობისთვის გააფრთხილეს.

შარშან, „კამპ ნოუზე“ გამართულ შეხვედრაში ფაბრეგასს არ უთამაშია. მან პირველ თამაშში მოიტეხა ფეხი. არც რობინ ვან პერსი ყოფილა, ისიც დაშავებული იყო. ფაბრეგასი განაგრძობს:

*„წინ ჯერ კიდევ 90 წუთია. ჩვენ უდიდეს გუნდს ვეთამაშებით და კვლავ საოცარი თავდადება გვმართებს. დაცვაში ზედმიწევნით ყურადღებით უნდა ვიყოთ, თუმცა, ამ ყველაფერთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენც ჩინებულ გუნებაზე ვართ და თუ შარშანდელივით ტრავმებმა არ დაგვაბრკოლა, ძალიან კარგი იქნება.*

*„ბარსელონა“ რასაკვირველია კარგად ითამაშებს. ის ხომ ყოველთვის კარგად თამაშობს. მთავარია, რომ ჩვენ მათ შარშანდელივით დიდი სივრცეები არ ვაჩუქოთ და თავისუფლად თამაშის საშუალება არ მივცეთ.*

*პიკეს არყოფნა, რასაკვირველია, სერიოზული ფაქტორია, მაგრამ საპასუხო მატჩამდე ჯერ დიდი დროა და მანამდე ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, ასე რომ, დღეს დეტალებში ლაპარაკი ნაადრევი მგონია“.*

გეხსომებათ, შარშან ზაფხულზე ფაბრეგასს „ბარსელონაში“ უნდოდა გადასვლა, მაგრამ არსენ ვენგერმა გააჩერა. ვენგერი რომ არა, მას ოთხშაბათს შეიძლება სტუმრების შემადგენლობაში ეთამაშა. ახლა, პირიქით მოხდება, ფაბრეგასი თავისი მშობლიური ქალაქის ისტორიულ სტადიონზე ითამაშებს მეტოქის სტატუსით.

*„კამპ ნოუზე“ თამაში ჩემი ბავშვობისდროინდელი ოცნებაა და ახლა შევეცდები, რაც შეიძლება დიდი სიამოვნება მივიღო, თუმცა ჩემსა და ჩემს სიამოვნებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი „არსენალის“ გამარჯვება იქნება“.*

პრემიერლიგა

# კალენდარში არეულობაა

„ჩელსის“ მიზანს, შევიდეს პრემიერლიგის ოთხ საუკეთესო გუნდში, არეულ-დარეული კალენდარი ხელს ნამდვილად არ უწყობს. ინგლისის ჩემპიონი, რომელიც დღეისათვის მეხუთე ადგილზეა, შემდეგ კვირაში „ოლდ ტრეფორდზე“ „ბირმინგემს“ უნდა შეხვედროდა, მაგრამ ვინაიდან ბირმინგემელები „ქარლინგის“ თასის ფინალში არიან, ეს შეხვედრაც გადაიდო. ამას ემატება ის, რომ თუ დღეს „ლურჯები“ ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ევერტონს“ მოუგებენ, მათ 1 აპრილს ერთბაშად ორი თამაში ექნებათ: პრემიერლიგის გამოტოვებული მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ და თასისა „რედინგთან“. ესე იგი, ისეთი მნიშვნელოვანი შეხვედრა, როგორიც „სტემფორდ ბრიჯზე“ „ჩელსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ დაპირისპირებაა, „ბირმინგემის“ ადგილას უნდა გადმოახტუნონ, ამხელა მატჩებით ჟონგლირება კი ყველას თავ-გზას უბნევს.

თავ-გზის აბნევა იქით იყოს და, გამოდის, რომ **კარლო ანჩელოტის** გუნდს გადატვირთულ კალენდარში ორი თავისუფალი დღე არ მოეძებნება - სეზონის დამთავრებამდე „ჩელსის“ მაქსიმუმ 26 თამაშის ჩატარებამ შეიძლება მოუწიოს. დასავლეთლონდონელთა პრესმდივანმა თქვა: *„ჩვენ „ბირმინგემს“ ახალი თარიღის შესახებ ვუთანხმდებით“.*

სკანდალის კვალდაკვალ

# გატუზოს მისამართი შეეშალა


ჯო ჯორდანი მილანში თამაშისას

**ჯო ჯორდანი** სამი წლის განმავლობაში არც მეტი, არც ნაკლები, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი გახლდათ, მაგრამ ასეთი პატივის მიუხედავად ამბობს, რომ მისი კარიერის ყველაზე საამაყო მომენტი „მილანში“ გადასვლა იყო. ინგლისური პრესის თქმით, ჯორდანს იტალიური ცხოვრების სტილი და ფეხბურთი ისე შეუყვარდა, რომ ორი წლის შემდეგ, როდესაც „მილანიდან“ წამოვიდა, პირდაპირ ბრიტანეთში არ დაბრუნებულა - ერთი წელიწადი „ვერონაში“ აგორა ბურთი. მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა შოტლანდიელი ფორვარდი ინგლისურ ფეხბურთში, სადაც „საუთჰემპტონსა“ და „ბრისტოლ სიტიშიც“ ითამაშა, მაგრამ დღემდე შანსს არ უშვებს ხელიდან, თავის „მეორე სამშობლოში“ რომ არ დაბრუნდეს და ახლობლები არ მოინახულოს. საბაბი კი იცოცხლეთ, აქვს: მისი ორი ქალიშვილიდან ერთი მილანის ერთ-ერთ სკოლაში ინგლისურს ასწავლის.

და აი, ჯო ჯორდანი „დეილი მეილს“ ელაპარაკება, ცდილობს მოუყვეს, რას ნიშნავს მისთვის იტალია და განმარტოს, რომ ბრალდება, რომელიც სამშაბათს „სან სიროზე“ „მილანის“ ჭკუიდან გადასულმა კაპიტანმა **ჯენარო გატუზომ** წაუყენა, სრული ბოდვა და სისულელეა. შეგახსენებთ: ვეტერანმა ნახევარმცველმა ჯორდანს ჯერ ყელში ხელი წაუჭირა, თამაშის დამთავრების შემდეგ კი შუბლში შუბლი მიარტყა. მიზეზი: დამპალო იტალიელო ნაბიჭვარო მითხრაო.

*„ეს სისულელეა, წარმოუდგენელი სისულელე, - თქვა 59 წლის მწვრთნელმა - ეს გატუზოს ფანტაზიის ნაყოფია და თან, საკმაოდ არაჯანსაღი ფანტაზიისა. ბრალდება, რომელიც მან მე წამომიყენა, უბადრუკი სიცრუეა. გატუზოს თავისი საქციელის ახსნა, რასაკვირველია, მოუწევს, ხალხს თავი დავანებოთ, უეფასთანაც დასჭირდება თავის დაცვა, მაგრამ ის მიზეზი, რომელიც გამოიგონა, სრულიად მიუღებელია და არ გამოადგება, რადგან იტალია ჩემი საყვარელი ქვეყანაა. მას ჩემს ცხოვრებაში უდიდესი როლი აქვს ნათამაშები და დღემდე ასე გრძელდება.*

*„მილანი“ განსაკუთრებული კლუბია. მე უბედნიერესი კაცი ვარ, მისი მაისურით რომ მომიხდა თამაში. კარიერაში ბევრი წარმატებული წუთი მქონია, მაგრამ „მილანში“ გადასვლა ყველაზე ნათელ წერტილად და სწორ ნაბიჯად მიმაჩნია. ამ კლუბმა ჩემს საფეხბურთო ცხოვრებაში სწორედ ისეთი თავი ჩაწერა, როგორზეც ვოცნებობდი. მინდოდა ძალები უცხოეთში მომესინჯა და „მილანზე“ უკეთესს, აბა, ვის ვიპოვიდი. „მილანის“ შემდეგ ერთი წელიწადი „ვერონაშიც“ გავატარე და სულ იტალიაში სამი წელიწადი გამომივიდა, რაც ჩემთვის უდიდესი გამოცდილება იყო.*

*იტალიისა და იტალიური ცხოვრების სიყვარული ჩემგან ჩემს ქალიშვილს გადაეცა. ის მილანში ცხოვრობს, იტალიურს სრულყოფილად ლაპარაკობს და ადგილობრივ ბავშვებს სკოლაში ინგლისურს ასწავლის. მე მასთან ხშირად ჩამოვდივარ, თუმცა ამის გარეშეც ვინარჩუნებ ძალიან თბილ ურთიერთობას ხალხთან მილანსა და ვერონაში.*

*მე ძალიან მიყვარს იტალია და აქაურ ხალხთან სულიერ ნათესაობას ვგრძნობ. და ახლა, როდესაც ჩემ შესახებ ეს ყველაფერი შეიტყვეთ, როგორ ფიქრობთ, მე ოდესმე წამომცდებოდა ის, რაც გატუზომ დამაბრალა? საცოდავ კაცად გამოჩნდა... მართლა გეუბნებით“.*

გეხსომებათ, თუ არ გახსოვთ და ინტერნეტში შეგიძლიათ გადაამოწმოთ, თამაშის ბოლოს, როდესაც გატუზო ჯორდანს მივარდა და შუბლი შუბლზე მიარტყა, სქოთს წარბიც არ შეუხრია და სწორადაც მოიქცა. პასუხი რომ გაეცა, „ტოტენჰემის“ დიდებული გამარჯვება დაკნინდებოდა.

*„გატუზოსთვის მის საქციელზე ბევრი ლაპარაკი დიდი პატივისცემა იქნება. მე ეს ამბავი დავივიწყე, აი, მას კი თავისი საქციელის ახსნა მოუწევს და ლაქადაც გაჰყვება. მე დღეს შემდეგ სამშაბათს „ბლექპულთან“ გამოტოვებულ თამაშზე ვფიქრობ“.*

და მაინც, კორესპონდენტის დაჟინებულ შეკითხვაზე, რატომ მოიქცა მილანელთა კაპიტანი ასე, მან უპასუხა:

*„წარმოდგენა არ მაქვს. ვიცი, რომ ისეთი კაცის რეპუტაცია აქვს, რომელიც საკუთარ ქცევას ვერ მართავს. ისე ჩანდა, რომ მაინცდამაინც მე ვყავდი ამოჩემებული. შეიძლება იმ ორი შეტევის მიზეზი სხვადასხვაც კი იყო.*

*საბედნიეროდ, მილანში კიდევ ცხოვრობენ ჩემი ძველი თანაგუნდელები. რამდენიმე მათგანს თამაშის შემდეგ ველაპარაკე. კერძოდ რა ვუთხარით ერთმანეთს, ამას საჯაროდ არ მოვყვები, მაგრამ მეგობრები ვიყავით და მეგობრებად დავრჩით. ამდენწლიან ძმაკაცობას ვერაფერი დააკნინებს“.*

ამბები

## ევრა დარჩა


პატრის ევრა

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ფრანგ ვარსკვლავ **პატრის ევრას** სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაუფორმა. მოგეხსენებათ, 29 წლის მცველის შეძენა „რეალს“ სურდა. როგორც ჩანს, ამანაც ააჩქარა „იუნაიტედი“, რომელმაც ფრანგს ხელფასი გაუზარდა: კვირაში 70 ათასი ფუნტიდან 90 ათას ფუნტამდე. საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავი მანჩესტერში „მონაკოდან“ 2006 წლის იანვარში 5,5 მილიონ ფუნტად გადავიდა და მას მერე ძირითადი შემადგენლობის რეგულარული წევრია.

## მერფიმ მანჩინისთან იჩხუბა

„მანჩესტერ სიტიმ“ ოფიციალურ განცხადებაში დაწერა, რომ ფიზიოთერაპევტთა შეფმა **ჯეიმი მერფიმ** ისტლენდი კლუბის თანხმობით დატოვა. 37 წლის ყოფილი ფეხბურთელი „სიტიში“ სამუშაოდ მაშინ მივიდა, როდესაც გუნდს ჯერ კიდევ **მარკ ჰიუზი** წვრთნიდა. როგორც ამბობენ, გუნდის ახლანდელი მწვრთნელი **რობერტო მანჩინი** უკმაყოფილო იყო დაშავებულ მოთამაშეთა რაოდენობით და ამას ფიზიოთერაპევტთა ცუდ მუშაობას აბრალებდა.

*„ჩვენ ჯეიმის გაწეული სამსახურისთვის ძალიან დიდ მადლობას ვუხდით, ვაფასებთ სამსახურს, რომელიც მან კლუბს გაუწია და მომავალ საქმიანობაში წარმატებას ვუსურვებთ. გარდა ამისა, გვინდა უარვყოთ ჭორები, თითქოს კლუბმა ბოლო პერიოდში ის უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაიყვანა, მას „მანჩესტერ სიტის“ აკადემიაში ერთი დღეც არ უმუშავია“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



საფრანგეთი. ლიგა 1. XXIV ტურის წინ

# პროვინციათა ჭიდილი გრძელდება



რუდი გარსია

| გუშინ: | |
|---|---|
| ლიონი-ნანსი | 4:0 |
| **დღეს:** | |
| ოსერი-არლი | 22:00 |
| ბრესტი-მონაკო | 22:00 |
| კაენი-ვალანსიენი | 22:00 |
| ლანსი-სოშო | 22:00 |
| მარსელი-სტ. ეტიენი | 22:00 |
| ლორიანი-ბორდო | 24:00 |
| **ხვალ:** | |
| მონპელიე-ლილი | 20:00 |
| ნიცა-პსჟ | 20:00 |
| ტულუზი-რენი | 24:00 |

"რენის" ამბიციას, ისტორიაში პირველად მოიგოს საფრანგეთის ჩემპიონობა, ტულუზში სერიოზული გამოცდა ელის. ეს წყვილი ერთმანეთს ხვალ დაუპირისპირდება საფრანგეთის სამხრეთ დასავლეთში. წინა ტურშიც ასე იყო, ჩემპიონობის პრეტენდენტმა ფავორიტზე გვიან ითამაშა და "ლილის" მოგების შემდეგ, ფსიქოლოგიური წნეხის მიუხედავად, საკუთარი თამაში მანაც მოიგო. ამჟამად პირველსა და მეორე საფეხურებზე მოკალათებულ გუნდებს შორის სხვაობა 5 ქულაა. ბრეტონელებს ლიგა 1-ში ზედიზედ უკვე ორი შეხვედრა აქვთ მოგებული მშრალი ანგარიშით. **ფრედერიკ ანტონეტის** შეგირდებს მშვენივრად ესმით, რომ მათ ფეხის დაცდენის უფლება უფრო ნაკლებად აქვთ, ვიდრე ჩემპიონატის ლიდერებს. მით უფრო, რომ გუნდმა ბოლო შვიდიდან ვერც ერთი გასვლითი შეხვედრა ვერ მოიგო. ლიგა 1-ში სტუმრად ჩატარებული უკანასკნელი მატჩი კი სრული კოლაფსით დასრულდა - 1:5 "სოშოსთან". აი რა განაცხადა წინა ტურის დაპირისპირების შესახებ ანტონეტიმ, მწვრთნელმა, ვისაც "ბასტია", "სენტ ეტიენი" და "ნიცა" გაუწვრთნია: *"ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობა დიდი ბედნიერების საფუძველია. ხომ ნახეთ, მეორე ტაიმის პირველივე წუთებზე შევძელით მატჩის ბედის გადაწყვეტა, თუმცა, ვწუხვარ, რომ ჩემმა ბიჭებმა მეტი კონტრშეტევა ველარ გამოიყენეს. საბოლოო ჯამში, ბიჭებს ვერ ვეტყვი, რომ მათი თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ.*

*მუდამ იმას ვამტკიცებდი, რომ საფრანგეთში ხუთი დიდი გუნდია, ვისაც სხვებთან შედარებით ამოუწურავი რესურსები აქვს. იმასაც მუდმივად ვიმეორებდი, რომ მაშინ, როცა ამ ხუთეულიდან რომელიმეს საქმეები არ მისდის, სწორედ ჩვენნაირ გუნდებს ეძლევათ ცხრილში მათი ადგილის დაკავების შანსი. ჯერჯერობით იმის მტკიცება, რომ ამ შანსს უეჭველად ჩვენ გამოვიყენებთ, შეუძლებელია. წინ ჯერ კიდევ სეზონის 1/3 გვაქვს გასავლელი".*

ანტონეტისგან განსხვავებით, 23-ე ტურის შემდეგ თავისი შეგირდების გარჯით მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ გამოიყურებოდა ტულუზელთა თავკაცი **ალენ კაზანოვა**: *"სათქმელი არაფერი მაქვს. "ლილი" უბრალოდ ერთი თავით ჩვენზე მაღლა იდგა. შეხვედრა ნორმალურად დავიწყეთ, მაგრამ მერე პრობლემებმა იჩინა თავი. ბურთს ძალზე გაუფრთხილებლად ვეპყრობოდით. ამას გარდა, ძალიან დიდი დოზით გვქონდა ტექნიკური წუნიც".*

თუმცა მასპინძლებს იმის იმედი აქვთ, რომ მშვენიერ საშინაო სერიას გააგრძელებენ. გუნდმა ბოლო ხუთიდან ოთხი მატჩი მოიგო და მოგებულ მატჩებში ერთი გოლიც არ გაუშვია. ევროპის ლიგაში "ეინდჰოვენთან" უმძიმესი დაპირისპირების შემდეგ 72 საათიც კი არ იქნება გასული, როცა "ლილი" საფრანგეთის სამხრეთით გაემგზავრება და მონპელიეს დაუპირისპირდება. სწორედ სამხრეთელები იყვნენ ისინი, ვინც ჩემპიონატის ლიდერს ბოლო მარცხი აგემეს ლიგის თასის გათამაშებაში. ეს ნოემბერში მოხდა. მას მერე ჩრდილოელები უკვე 14 მატჩია დაუმარცხებლად მიიწევენ დასახული მიზნებისკენ, რამაც განაპირობა კიდეც ის, რომ ისინი ცხრილს სათავეში მოექცნენ და მწვერვალზე ფეხი საკმაოდ მყარად მოიკიდეს. ბოლო შეხვედრაში **რუდი გარსიას** შეგირდებმა მცირე შოკი გადაიტანეს, როცა პსჟ-მ მათთან ორბურთიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა. გარსია არ მალავს, რომ მისი გუნდისთვის პრიორიტეტი შინაური ასპარეზია და სწორედ ამ მიზეზით იყო, მისი გუნდი ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერთან ლამის დუბლიორებით რომ გავიდა საასპარეზოდ. ერედივიზიელებს ძირითადი შემადგენლობიდან მხოლოდ **ლანდრო, დებიუში** და **ჩედჯუ** დაუხვდნენ. *"პსჟ-სთან ჩემი ბიჭების თავდადებით კმაყოფილი ვარ. ჩვენ მეტოქეზე უკეთ გამოვიყურებოდით. სასტარტოში მოხვედრილებმა აშკარად მიმანიშნეს, რომ სამომავლოდ მათზეც შეიძლება დაყრდნობა. მნიშვნელოვანია, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან თავდადებისთვის".*

უმთავრესი პრობლემა, რაც რუდი გარსიას გუნდს აქვს, ეს ტრავმირებული **ადილ რამის** არყოფნაა. თუმცა "ეინდჰოვენთან" დასვენებული **ბალმონი, მავუბა, ჰაზარდი, ჟერვინიო** და **მუსა სოუ** მზად არიან სასტარტოში თამაშის დასაწყებად. თავის მხრივ საკადრო პრობლემები მიეძალა "მონპელიეს". **რენე ჟირარი** საგონებელშია ჩავარდნილი. მას საუკეთესო ბომბარდირი **ოლივიე ჟირო** დააკლდება. მინდორზე ვერ ვიხილავთ ვერც ძირითად მარჯვენა მცველ **გარი ბოკალის**. რაც შეეხება **ჰასან კაბზეს**, მას ლიგის თასის შეხვედრაში აქლემის როლის მორგება და ფურთხება არ აპატიეს – თურქს წამლად ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. *"ჩვენ აშკარად გვაკლია საკუთარი ძალების რწმენა. ხანდახან მეჩვენება, რომ ზედმეტად შებოჭილები ვთამაშობთ"*, - განაცხადა ჟირარმა მწვრთნელს ეთანხმება **ჟეფრი დერნი**, ფორვარდი, რომელსაც 13 შეხვედრაში ჯერ ერთი გოლიც არ გაუტანია: *"ყველანი ცალ-ცალკე ვცდილობთ გმირები ვიყოთ და არ გამოგვდის. ჩვენ კოლექტიური სული გვაკლია. უმთავრესი პრობლემა სწორედ ეს არის. გაღიზიანებული ვარ, რადგან ვიცი, რომ უკეთ გარჯა შეგვიძლია".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 23 | 12 | 9 | 2 | 42-22 | 45 |
| 2. ლიონი | 24 | 11 | 8 | 5 | 38-24 | 42 |
| 3. რენი | 23 | 11 | 7 | 5 | 26-17 | 40 |
| 4. მარსელი | 23 | 10 | 9 | 4 | 32-19 | 39 |
| 5. პსჟ | 23 | 10 | 8 | 5 | 34-24 | 38 |
| 6. სტ. ეტიენი | 23 | 9 | 8 | 6 | 32-28 | 35 |
| 7. მონპელიე | 23 | 9 | 7 | 7 | 20-23 | 34 |
| 8. ტულუზი | 23 | 10 | 3 | 10 | 25-24 | 33 |
| 9. ბორდო | 23 | 7 | 10 | 6 | 28-25 | 31 |
| 10. ბრესტი | 23 | 8 | 7 | 8 | 23-24 | 31 |
| 11. ლორიანი | 23 | 9 | 4 | 10 | 27-30 | 31 |
| 12. ვალანსიენი | 23 | 7 | 8 | 8 | 28-25 | 29 |
| 13. სოშო | 23 | 8 | 4 | 11 | 36-29 | 28 |
| 14. ნანსი | 24 | 8 | 4 | 12 | 26-39 | 28 |
| 15. კაენი | 23 | 7 | 6 | 10 | 24-32 | 27 |
| 16. ნიცა | 23 | 6 | 8 | 9 | 15-24 | 26 |
| 17. ოსერი | 23 | 4 | 13 | 6 | 28-29 | 25 |
| 18. მონაკო | 23 | 4 | 12 | 7 | 23-24 | 24 |
| 19. ლანსი | 23 | 5 | 9 | 9 | 22-35 | 24 |
| 20. არლი | 23 | 1 | 6 | 16 | 11-43 | 9 |

**ლევან ბიბილაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა



# უემბლი ძვირად ფასობს

მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი დაპირისპირება "უემბლიზე" 28 მაისს უნდა გაიმართოს. ის ფინალური შეხვედრების ისტორიაში ყველაზე დასწრებადი და ყველაზე ძვირად ღირებული გახდება, რის შესახებაც უეფას საიტი იუწყება. ბილეთების გაყიდვა 24 თებერვალს დაიწყება და 18 მარტს დასრულდება. იმის გათვალისწინებით, რომ ბილეთების დიდ წილს (25-25 ათასს) შეხვედრის მონაწილეები გაინაწილებენ და სოლიდურ რაოდენობას თავად უეფა დაარიგებს, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ნეიტრალურ ფანობას სულ რაღაც 11 ათასიღა რჩება. აღნიშნული ბილეთები მხოლოდ უეფას ოფიციალური საიტის მეშვეობით გაიყიდება. რაც შეეხება დარჩენილ 25 ათასამდე სანატრელ საშვს სტადიონზე, ის ეროვნულ ფედერაციებზე, სპონსორებსა და სამაუწყებლო კომპანიებზე გადანაწილდება. ცოცხლად თამაშის ნახვის ბედნიერება 86 ათას ადამიანს შეეძლება. რაც შეეხება ფასებს: მესამე კატეგორიის, ანუ ყველაზე იაფი ბილეთის ფასი 150 ფუნტი სტერლინგი იქნება. მეორე კატეგორია 225 ეღირება ან 338 ორი ბილეთი ერთად, თუკი ერთით სტადიონზე არასრულწლოვანი ისარგებლებს. პირველი კატეგორიის ადგილებზე დასწრების უფლება 300 გირვანქაა. 80 ფუნტი დაუჯდება სტადიონზე მოხვედრა უნარშეზღუდულ ადამიანს სპეციალური სავარძლით. ბილეთის დაჯავშნა დამატებით 26 ფუნტი ღირს.

უკანასკნელად "უემბლიმ" ანალოგიურ შეხვედრას 1992 წელს უმასპინძლა. ეს იყო ჩემპიონთა ლიგის გათამაშების პირველი ფინალი, სადაც "ბარსელონამ" **რონალდ კუმანის** ნაგვიანები გოლით "სამპდორიას" 1:0 მოუგო. მხოლოდ ერთი თამაშით უეფა 14 მილიონი ფუნტის (16 180 000 ევროს) მოგებას ელოდება. შედარებისთვის გეტყვით, რომ ეს 3 მილიონით მეტია შარშანდელი ფინალის მოგებაზე. ბუნებრივია, ამ მაჩვენებლით მომავალმა შეხვედრამ უკვე დაამხო ყველა დროის რეკორდი.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები



სემ რიკეტსი

# ტრავმები პრემიერლიგაში

"ბოლტონისა" და უელსის ნაკრების მცველი **სემ რიკეტსი** "უიგანთან" სათასო შეხვედრაში მძიმედ დაშავდა. მას აქილევსის მყესები გაუწყდა და ფეხბურთის თამაშს უახლოესი 6 თვის განმავლობაში ვერ შეძლებს. "ბოლტონის" საიტის ცნობით, ფეხბურთელისთვის გუშინ ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ. *"ეს უზარმაზარი დარტყმაა ჩვენი გუნდისთვის. სემი მიმდინარე სეზონში ძალიან კარგად გამოიყურებოდა. ერთი უხერხული მოძრაობა და... სამწუხაროა, რომ მის გარეშე მთელი 6 თვის გატარება მოგვიწევს,"* – განაცხადა "ბოლტონის" დამრიგებელმა **ოუენ კოილმა**. 2010-11 წლების სეზონში უელსელის ანგარიშზე 17 პრემიერლიგური შეხვედრა იყო. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ დაიმტვრა "ბოლტონის" მეორე წამყვანი მცველი **ზეტ ნაიტიც**.

აქვე გეტყვით, რომ სერიოზულად დაშავდა "ასტონ ვილას" ესპანელი მცველი **კარლოს კუელიარიც**. მართალია მთლად ისეთ ფორმებში არა, როგორც რიკეტსი, მაგრამ მაინც. ექიმების წინასწარი დასკვნით, კარლოსი მუხლის მყესის დაჭიმულობის გამო მწვანე მინდორს მიღმა მთელ თვეს გაატარებს. მან დაზიანება "ბლეკპულთან" პრემიერლიგურ შეხვედრაში მიიღო.

**ლევან ბიბილაშვილი**

# პიქსი და ჯილეტი ბრძოლას აგრძელებენ

ლონდონის სასამართლომ გააუქმა ქვედა ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ბიზნესმენებს, **ტომ ჰიკსსა** და **ჯორჯ ჯილეტს** "ლივერპულის" წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანაზე უარი ეთქვათ. ამერიკელები კლუბისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ. მათი შეფასებით თანხა მილიარდ დოლარს შეადგენს. შეგახსენებთ, რომ საქმოსნები ჯერ კიდევ ოქტომბერში ცდილობდნენ სასამართლოს ძალით "ლივერპულის" გაყიდვის დაბლოკვას, მაგრამ მათ ეს რიგი მიზეზების გამო ვერ მოახერხეს.

საინტერესოა, რომ ოქტომბერში ტეხასის სასამართლოში წარდგენილ დოკუმენტებში ისინი უთითებდნენ, რომ კლუბის 300 მილიონ გირვანქად გაყიდვის შემთხვევაში მათი ზარალი 140 მილიონი (160 180 000 ევრო) იქნებოდა. ამ თვეებში რანაირად "იბარტყა" აღნიშნულმა თანხამ და როგორ მიაღწია 1 მილიარდს, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ალბათ შეუძლებელია. მას შემდეგ, რაც ჰიკსი და ჯილეტი ახალ სარჩელს მოამზადებენ და საქმეს სასამართლო მსვლელობას მისცემს, მათი მოპასუხეები გახდებიან "შოტლანდიის სამეფო ბანკი" და "ლივერპულის" ყოფილი პრეზიდენტი **მარტინ ბროტონი**.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

# სოშოშ დევისი გაანათხოვრა

„სოშოს" ამერიკელი ფორვარდი **ჩარლი დევისი** სამშობლოს დაუბრუნდა. 24 წლის ფორვარდმა „დი სი იუნაიტედთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და იქ არენდით ისპარეზებს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში დევისს არც ერთ მატჩში არ მიუღია მონაწილეობა. შეგახსენებთ, რომ ამერიკელმა ფეხბურთელმა კონფედერაციის თასზე თავი გამოიჩინა და ამერიკის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად იქცა. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ჩარლი 2009 წლის ოქტომბერში ავტოკატასტროფაში მოყვა, რის გამოც, სამხრეთ აფრიკაში გამართულ მუნდიალზე მონაწილეობა არ მიუღია. უფრო მეტიც, მისი მოედანზე დაბრუნების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, მაგრამ დევისმა მოახერხა გამოჯანმრთელება, გაიარა რეაბილიტაცია და წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ მზადაა, მოედანს დაუბრუნდეს.

# მარსელს ციგლერი მოუნდა

მარსელის „ოლიმპიკი" მარცხენა გარემარბის, „სამპდორიას" შვეიცარიელი ფეხბურთელის, **რეტო ციგლერის** შეძენითაა დაინტერესებული. ციგლერი 2007 წლიდან თამაშობს „სამპდორიაში" და იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა გარემარბია. ზამთარში შვეიცარიელით „მილანი" იყო დაინტერესებული, მაგრამ საბოლოოდ „როსონერიმ" **ურბი ემანუელსონი** გადაიბირა. თავად ფეხბურთელმაც გამოთქვა გუნდის დატოვების სურვილი. „მარსელის" მთავარი კონკურენტი „რომის ლაციოა", რომელიც ასევე სერიოზულადაა დაინტერესებული ციგლერის შეძენით. ფეხბურთელს თავად მოუწევს არჩევანის გაკეთება, დარჩება სერია A-ში თუ საფრანგეთის ჩემპიონატს მიაშურებს.

# მიშელ ბაშტოშს გული ტურინისკენ მიუწევს

ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, **მიშელ ბაშტოშის** ხელში ჩასაგდებად არაერთი გრანდი იბრძოდა, მაგრამ ბრაზილიელმა საფრანგეთში დარჩენა ამჯობინა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი მომავალი გადაწყვეტილია. მან უკვე იცის, სად სურს კარიერის გაგრძელება. ეს გუნდი არც პრემიერლიგის ლიდერი „მანჩესტერია" და არც პრიმერა დივიზიონის სათავეში მყოფი „ბარსელონა" - მას გული ტურინის „იუვენტუსისკენ" მიუწევს.

„ლიონმა" მოახერხა და სატრანსფერო პერიოდი კიდევ ერთხელ „გადააგორა" ისე, რომ ბასტოსი არსად გაუშვა, მაგრამ სავარაუდოდ, ზაფხულში ლიონელები ბრაზილიელის შენარჩუნებას ველარ მოახერხებენ, რადგან მას მსურველების გრძელი რიგი უდგას. მიშელ ბაშტოშმა „გაძეტა დელო სპორტს" ინტერვიუ მისცა, სადაც შემდეგს ამბობს: *„კარგი იქნებოდა „ბარსელონა" რომ გამოსულიყო, პეპ გვარდიოლას გვერდით მუშაობა საინტერესოა, მაგრამ „ბარსელონაში" მხოლოდ რეზერვის ფეხბურთელი ვიქნებოდი. აი, „იუვეში" კი უფრო მომეცემა თავის გამოჩენის შანსი. „იუვე" ჩემით დაინტერესებულია და მათ შემოთავაზებას სიამოვნებით დავთანხმდები".*

**გიორგი ბუაჩიძე**



მიშელ ბაშტოში

იტალია. სერია A. XXVI ტურის წინ

# მილანს კასანოსი ეიმედება

## დონადონი ინტერს ემუქრება

SERIE A

**დღეს, 21:00**
**ბოლონია – პალერმო**
**დისკვალიფიკაცია:** კამოციერი, ბალცარეტი (პალ).
**ტრავმა:** ეკდალი, გარიჩი - კასანი, პინილია, გოიანი, დარმიანი, პაოლუჩი.

**დღეს, 23:45**
**ინტერი – კალიარი**
**დისკვალიფიკაცია:** კივუ (ინტ).
**ტრავმა:** მარიგა, ლუსიო, სამუელი, მილიტო (ინტერი).

**ხვალ, 15:30**
**ლეჩე – იუვენტუსი**
**დისკვალიფიკაცია:** გუსტავო, ოლივერა, ჯედა, ჯაკომაცი - სისოკო.
**ტრავმა:** ჯულიატო, ოფერე, ტომოვიჩი - რინაუდო, დე ჩელიე, კვალიარელა, ტრაორე.

**ხვალ, 18:00**
**კიევო – მილანი**
**დისკვალიფიკაცია:** მანდელი, სარდო (კიე).
**ტრავმა:** ბოლიაჩინო, ლუჩანო, მარკოლინი - პირლო, ძამბროტა, ინძაგი, ბონერა, ამბროზინი, აბიატი.

**ხვალ, 18:00**
**ფიორენტინა – სამპდორია**
**ტრავმა:** ვარგასი, სანტანა, კროლდრუპი, იოვეტიჩი, ფრეი - სემიოლი, პოცი, ბიაბიანი.

**ხვალ, 18:00**
**ჯენოა – რომა**
**დისკვალიფიკაცია:** როზი, დე როსი, კასეტი (რომა).
**ტრავმა:** ბოზელი, დესტრო, კონკო - პიზარო, ადრიანო.

**ხვალ, 18:00**
**ლაციო – ბარი**
**ტრავმა:** ლიხტშტაინერი, როკი, დიაკიტე, მაური - ბარეტო, ს. მაზიელო, კუტუზოვი, ბელმონტე.

**ხვალ, 18:00**
**პარმა – ჩეზენა**
**დისკვალიფიკაცია:** პაროლო (ჩეზ).
**ტრავმა:** კალვო, მარკესი - ფატიჩი.

**ხვალ, 18:00**
**უდინეზე – ბრეშა**
**დისკვალიფიკაცია:** სანჩესი (უდინ).
**ტრავმა:** ბასტა, ფერონეტი, ლანჯელა - დალამანო.

**ხვალ, 23:45**
**ნაპოლი – კატანია**
**დისკვალიფიკაცია:** კამპანიარო, ლავეცი (ნაპ).
**ტრავმა:** გრავა, ვიტალე - კაპუანო, ბიაჯანტი, ისკო, ბელუში, კარბონი, ტერლიცი.



ანტონიო კასანო

ყველაზე კარგ განწყობაზე XXVI ტურს „ინტერი" ხვდება - მაშინ, როდესაც იტალიურმა გუნდებმა ევროარენაზე ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგეს, მილანელებმა სერია A-ს გამოტოვებული პაექრობა გამართეს და „ფიორენტინა" მისსავე მოედანზე დაამარცხეს. საერთო იტალიური განწყობა კი მეტად მძიმეა, რაც სულაც არ გახლავთ გასაკვირი - თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, 2012-2013 წლების სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაში ბუნდესლიგას ექნება ოთხი ადგილი, სერია A-ს კი სამი დარჩება. ეს ყველაფერი აპენინური გუნდების წარუმატებელი ასპარეზობის ბრალია - ამ ფონზე, „ინტერის" ევროპული და მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის სათავეში ყოფნა თითქოს ამოვარდნილიც კია კონტექსტიდან. აქვე კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე იტალიელებმა საშინაო მარცხები იწვნიეს - „მილანი" „ტოტენჰემთან" შერცხვა, „რომა" კი „შახტართან". რაც შეეხება ევროპის ლიგის გათამაშებას, იქ მხოლოდ „ნაპოლია" შემორჩენილი და ისიც უგოლო ფრეს დასჯერდა „ვილიარეალთან" პაექრობაში. მომდევნო შეხვედრა ესპანეთში გაიმართება და ფავორიტად სწორედ პირენეული გუნდი ითვლება. ამ ყველაფერმა ძალიან იმოქმედა იტალიელთა თავმოყვარეობაზე, მილანშიც და რომშიც ხმამაღლა აცხადებენ, რომ გასვლით პაექრობებში თავს დადებენ და სასურველ რეზულტატს მიაღწევენ - ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო. იქამდე კი სერია A-ს მომდევნო ტურის მატჩებია გასამართი, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ...

დღევანდელი შეხვედრებიდან „ინტერის" პაექრობა იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს. მილანს „კალიარი" სტუმრობს, გუნდი, რომელიც ალმავლობის გზაზეა და იოლად არაფერს თმობს. **რობერტო დონადონი** იმუქრება, რომ მრისხანე მეტოქეს სამ ქულაზე შეებმება: *„უნდა ვაღიარო, რომ ფავორიტი „ინტერია", მაგრამ მილანში სამი ქულის ასაღებად ჩავდივართ. გუნდი საკმაოდ კარგ ფორმაშია და ვგრძნობ, რომ გრანდებთან ტოლსწორად თამაში ხელგვეწიფება. ამასთან, ვფიქრობ, რომ „ნერაძური" დღეს საუკეთესო ფეხბურთ თამაშობს მთელს იტალიაში".*

„ინტერის" ლაზარეთი ნელნელა შეთხელდა და **ლეონარდოსაც** ასარჩევად აქვს საქმე. „გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, შეტევის წინა ხაზზე **სამუელ ეტოოსა** და **ჯამპაოლო პაცინის** ვიხილავთ, მათ უკან კი **ვესლი სნეიდერი** ითამაშებს. კვლავ ძირითადში მოიაზრება **ხარჯა**, რომელსაც **ესტებან კამბიასო** და **ტიაგო მოტა** დაუმშვენებენ გვერდს. კითხვის ნიშნებია დაცვის ხაზში, რადგან ამ რგოლში ლეონარდოს საკადრო პრობლემები აქვს. **ლუსიო** და **ვალტერ სამუელი** დაშავებულნი არიან, **კრისტიან კივუს** კი დისკვალიფიკაცია აქვს. **ანდრეა რანოკია** რომ ძირითადში იქნება, წყალი არ გაუვა, მის მხარდამხარ კი ცენტრში ან **ივან კორდობა** იასპარეზებს, ანაც **მარკო მატერაცი**. მარჯვნივ **დუგლას მაიკონი** დადგება, ხოლო მარცხნივ **ხავიერ ძანეტი**. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება.

„მილანი" ვერონაში შეეცდება ხასიათის გამოკეთებას, სადაც „კიევოსთან" მოუწევს თამაში. იტალიური პრესა იუწყება, რომ **ანტონიო კასანო** ბრწყინვალე ფორმაშია - ვარჯიშებზე თურმე საუკეთესოა და „მფრინავ ვირებს" პირველივე წუთიდან შეერკინება. სათადარიგოთა სკამზე მოიაზრება **ალეშანდრე პატო**, კასანოს მხარდამხარ კი **რობინიო** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გაირჯებიან. „კიევო" საკუთარ მოედანზეა განსაკუთრებულად სახიფათო და წესით, დიდი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს. **მასიმილიანო ალეგრის** შემდეგი მოსაზრება აქვს: *„გარკვეული პერიოდით უნდა დავივიწყოთ ჩემპიონთა ლიგა და სერია A-ზე გადმოვერთოთ. ვერონაში რთული თამაში გველის, რომელიც აუცილებლად ჩვენს სასარგებლოდ უნდა დავასრულოთ. კასანო მართლაც ძალიან კარგ ფორმაშია და მასზე დიდ იმედებს ვამყარებ. პირველ ნომრად უნდა ვითამაშოთ და სტრატეგიასაც შესაბამისს ავირჩევთ".*

ტურის უკანასკნელი შეხვედრა „სან პაოლოს" სტადიონზე გაიმართება, სადაც „ნაპოლი" „კატანიას" მიიღებს. სტადიონი ალბათ პირთამდე გაივსება და „ნაპოლი" აუცილებლად შეუტევს - ამაზე **ვალტერ მაძარის** სიტყვები მეტყველებს: *„მგონი ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მიზნად სამი ქულის მოპოვება გვაქვს დასახული. „კატანია" კონტრშეტევებზე მეტად სახიფათოა, ამიტომ, მცველებს ყურადღებით მართებთ ყოფნა. ევროპის ლიგაზე რთული მატჩი ჩავატარეთ, მაგრამ შეგირდები ფიზიკურ მომზადებას არ უჩივიან. ეს მაიმედებს და ვფიქრობ, რომ მიზანს მივაღწევთ".*

„ნაპოლის" **ესეკიელ ლავეცის** გარეშე მოუწევს ასპარეზობა, რომელსაც დისკვალიფიკაცია აქვს. თავდასხმაში **მარეკ ჰამშიკთან** და **ედინსონ კავანისთან** ერთად **ჯუზეპე მასკარა** გაირჯება. ვნახოთ, რა მოხდება „სან პაოლოზე"...

„შახტართან" მატჩის წინ ამბობდა **ფილიპ მექსე**, რომ ჩემპინთა ლიგის თამაში „რომასთვის" წამალია - წამალი, რომელმაც გუნდი ვერ განკურნა და ძველებურად დაავადებული გაუშვა გენუაში. **კახა კალაძე** და მისი თანაგუნდელები კი პირიქით, შესანიშნავ განწყობაზე არიან, რადგან შუა კვირაში გენუური დერბი მოიგეს. თუ რომაელებმა ვერც ამ თამაშში მოახერხეს სამი ქულის აღება, უკიდურესად რთულ მდგომარეობაში ჩაიგდებენ თავს. „იუვენტუსი" „ლეჩეს" სტუმრობს და შეეცდება მოგებათა სერია სამამდე გაზარდოს. **ლუიჯი დელ ნერი** ფორვარდების სათამაშო კონდიციით გახლავთ კმაყოფილი - **ლუკა ტონი** და **ალესანდრო მატრი** სასტარტოში მოიაზრებიან, **ალესანდრო დელ პიერო** კი რეზერვში დარჩება. **ვინჩენცო იაკვინტა** ჩადგა მწყობრში და ისიც თადარიგში იქნება. „ინტერის" არ იყოს, „იუვეს" ლაზარეთიც ცარიელდება, რაც ტურინელებს ძალიან ახარებთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 25 | 15 | 7 | 3 | 44-19 | 52 |
| 2. ნაპოლი | 25 | 15 | 4 | 6 | 40-22 | 49 |
| 3. ინტერი | 25 | 14 | 5 | 6 | 46-29 | 47 |
| 4. ლაციო | 25 | 13 | 6 | 6 | 32-22 | 45 |
| 5. უდინეზე | 25 | 13 | 4 | 8 | 42-30 | 43 |
| 6. იუვენტუსი | 25 | 11 | 8 | 6 | 41-30 | 41 |
| 7. პალერმო | 25 | 12 | 4 | 9 | 44-35 | 40 |
| 8. რომა | 24 | 11 | 6 | 7 | 35-32 | 39 |
| 9. კალიარი | 25 | 10 | 5 | 10 | 32-27 | 35 |
| 10. ფიორენტინა | 25 | 8 | 8 | 9 | 28-28 | 32 |
| 11. ჯენოა | 25 | 8 | 8 | 9 | 20-22 | 32 |
| 12. კიევო | 25 | 7 | 10 | 8 | 27-27 | 31 |
| 13. სამპდორია | 25 | 7 | 9 | 9 | 23-27 | 30 |
| 14. ბოლონია | 24 | 8 | 8 | 8 | 26-33 | 29 |
| 15. პარმა | 25 | 6 | 8 | 11 | 23-34 | 26 |
| 16. კატანია | 25 | 6 | 8 | 11 | 22-33 | 26 |
| 17. ლეჩე | 25 | 6 | 6 | 13 | 26-46 | 24 |
| 18. ბრეშა | 25 | 6 | 4 | 15 | 20-33 | 22 |
| 19. ჩეზენა | 25 | 5 | 6 | 14 | 17-34 | 21 |
| 20. ბარი | 25 | 4 | 6 | 15 | 14-39 | 15 |

**ბომბარდირები:** 20 – კავანი (ნაპოლი); 16 – დი ნატალე (უდინეზე); 15 – ეტოო (ინტერი); 14 - დი ვაიო (ბოლონია), მატრი (იუვენტუსი); 13 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

**ლაშა ნიკლაური**

## კვირის ფრაზები

### ერთნაირი პრობლემა

„მანჩესტერ სიტის" თავკაცმა **რობერტო მანჩინიმ** განაცხადა, **ფერნანდო ტორესსა** და **ედინ ჯეკოს** ერთნაირი პრობლემა აწუხებთ, რის გამოც ჩვეულ ბომბარდირულ სტილში ვერ თამაშობენ – წერს „დეილი მეილი". იტალიელმა სპეციალისტმა თქვა: *„ჯეკოსა და ტორესს, როგორც ორ წვეთ წყალს, ერთნაირი პრობლემა აწუხებთ. ისინი უნდა შეეჩვიონ ახალ კლუბსა და პარტნიორებს. ადაპტაცია მათთვისაც კი რთული აღმოჩნდა. თუ სურთ, რომ თავიანთ გუნდებს სარგებელი მოუტანონ, მალე უნდა გაიარონ შეჩვევის პერიოდი".*

### ჰოდლის ბოდიში

ინგლისის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა **გლენ ჰოდლიმ**, რომელიც „სქაი სპორტსში" მუშაობს კომენტატორად, ბოდიში მოიხადა იმ სიტყვისთვის, რომელიც მან „ფულჰემი" - „ჩელსის" კომენტირებისას წარმოთქვა. როდესაც ფერნანდო ტორესმა ვერ შეძლო ბურთის მიღება, ჰოდლიმ ასე წამოიძახა: *„თუ ბურთი თქვენსკენ არ მოდის, ესე იგი, არ მოვა. თქვენ არ შეგიძლიათ ფეხის რომელიმე ნაწილით ბურთის მიღება. თქვენ ისე ხართ, როგორც იაპონელი ფეხბურთელი ნი შინ ტოუ".* ბოდიში კი ასე ჟღერს: *„მე მათთვის, ვინც მიყურებდა, ბოდიშის მოხდა შემიძლია, ამ საქციელს გამართლება არ აქვს. ეს უბრალოდ საფეხბურთო აზრია, მაგრამ ვიცი, რომ ესეთები ეთერში დაუშვებელია".*

### კარიერის საუკეთესო თამაში

„არსენალის" ლიდერმა, კაპიტანმა და ნახევარმცველმა **სესკ ფაბრეგასმა** განაცხადა, რომ „ბარსელონას" წინააღმდეგ გამართული საჩემპიონთალიგო შეხვედრა მის კარიერაში საუკეთესო იყო. შეგახსენებთ, რომ „არსენალი" **დავიდ ვილიას** გოლით აგებდა, მაგრამ **რობინ ვან პერსიმ** და **ანდრეი არშავინმა** ეს თამაში „მეთოფეებს" მოაგებინეს. 23 წლის კაპიტანი კი „სანთან" საუბარში აცხადებს: *„ეს არის ჩემს კარიერაში უდავოდ საუკეთესო თამაში, ასეთი მატჩი არასდროს მითამაშია. ჩვენ დავამარცხეთ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი და დამსახურებულადაც გავაკეთეთ ეს. ამაში მთელი სული და გული ჩავდეთ და აი, შედეგიც".*

### უნდა გჯეროდეს

ბრემენის „ვერდერის" ცენტრალური მცველი **პერ მერტეზაკერი** არ აპირებს გუნდის ღალატს და „მუსიკოსების" ბოლომდე სჯერა. *„ჩვენს დროში ფეხბურთელები მალ-მალე იცვლიან კლუბებს, რისი წინააღმდეგიც გახლავართ. მიმაჩნია, რომ რაც არ უნდა ცუდი დროება ედგას კლუბს, მაინც ბოლომდე უნდა გჯეროდეს მისი",* - განმარტა პერმა.

### ჩემპიონთა ლიგა? დაეშვით მიწაზე!

იტალიური „უდინეზეს" მთავარმა მწვრთნელმა **ფრანჩესკო გვიდოლინიმ** ჟურნალისტებს სთხოვა, ოთხეულში შესვლაზე არაფერი მკითხოთო. სენიორ ფრანჩესკომ ასე ბრძანა: *„ჩემპიონთა ლიგა? დაეშვით მიწაზე! ამ ეტაპზე „ინტერი", „მილანი" და „ნაპოლი" მიუწვდომლები არიან. ჩვენი ამჟამინდელი კონკურენტები „რომა", „ლაციო", „პალერმო" და „იუვენტუსი" არიან. მოვა დრო და, ოცნებებიც ახდება".*

### კვირის სიმბოლური გუნდი

(4-4-2): **პეტრ ჩეხი** (ჩელსი) - **ბენედიქტ ჰიოდევესი** (შალკე), **ვინსენტ კომპანი** (მანჩესტერ სიტი), **მარსელო** (რეალი), **ბრედე ჰანგელანდი** (ფულჰემი) – **გონსალესი** (ლაციო), **ივან რაკიტიჩი** (სევილია), **ჯეკ უილშირი** (არსენალი), **არიენ რობენი** (ბაიერნი) – **ედინსონ კავანი** (ნაპოლი), **რობინ ვან პერსი** (არსენალი).

### კვირის გოლი

მანჩესტერული დერბი, მოგეხსენებათ, 2:1 დამთავრდა „იუნაიტედის" გამარჯვებით და ეს გამარჯვება **უეინ რუნის** შედევრი გოლის წყალობით მოიპოვა, რომელსაც ჩვენ, რასაკვირველია, კვირის გოლად ვასახელებთ.

**გიორგი ფულარიანი**

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIII ტურის წინ

# ბაიერნი: ინტერამდე მაინცში!

## მეორე წრის ლიდერი ზანკტ პაული ნაღდ ლიდერს სტუმრობს

წინა ტურის მიმოხილვაში ვწერდით, რომ გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა ცოტათი დაიძაბა. საკმარისია, დორტმუნდის „ბორუსიამ" ბოლო დროს ძალიან კარგ ფორმაში მყოფ „ზანკტ პაულისაც" ვერ მოუგოს, დაძაბვა მერე იკითხეთ. ფაქტია, მიუნხენის „ბაიერნს" მაინცში მხოლოდ სამი ქულა დააკმაყოფილებს და თანაც, რეკორდმაისტერს თომას ტუხელის გუნდზე შურისძიება სურს - ხომ გახსოვთ, პირველ წრეში „ალიანს არენაზე" მოიგო. მხოლოდ მოგებაზე ფიქრობს მეორეადგილოსანი „ლევერკუზენიც", რომელიც ხვალ „შტუტგარტს" ხვდება. ხვალვე, აუტსაიდერი „გლადბახი" ახალ მწვრთნელ ლუსიენ ფავრთან ერთად „ბორუსია პარკზე" „შალკეს" ელოდება.

**დღეს, 18:30**

**ბორუსია (დ) VS ზ.პაული**

**დისკვალიფიკაცია:** სუბოტიჩი - სამბრანო
**ტრავმა:** ოვომოიელა, ბლაშჩიკოვსკი, კაგავა - ლეხნერი, მორენა, როთენბახი, ასამოა

**დღეს, 18:30**

**ჰამბურგი VS ვერდერი**

**დისკვალიფიკაცია:** ვიზე (ვერ)
**ტრავმა:** დიკმაიერი, კასტელენი - ფანდერი, ბიონიში, ნალდო, დ. იენსენი, პისარო

**დღეს, 18:30**

**ჰოფენჰაიმი VS კიოლნი**

**დისკვალიფიკაცია:** ბრააფჰაიდი (ჰოფ)
**ტრავმა:** გულდე, ობასი - მაკენა, შორხი, სანუ

**დღეს, 18:30**

**ფრაიბურგი VS ვოლფსბურგი**

**დისკვალიფიკაცია:** კიაერი (ვოლ)
**ტრავმა:** პუპლინი, კრმასი, იეგერი, შუსტერი, ვილიამსი, ბეხმანი - ჩიგერჩი, მანჯუკიჩი

**დღეს, 18:30**

**ჰანოვერი VS კაიზერსლაუტ.**

**დისკვალიფიკაცია:** შმიდებახი (ჰან)
**ტრავმა:** ავევორი, ანდრეასენი - შიმუნეკი, კირხი

**დღეს, 21:30**

**მაინცი VS ბაიერნი**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** სვენსონი, შალაი - ოლიჩი

**ხვალ, 18:30**

**ლევერკუზენი VS შტუტგარტი**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** გიფერი, ბარნეტა - ბოკა, აუდელი, გებჰარდტი, გენტნერი, პოგრებნიაკი

**ხვალ, 20:30**

**ბორუსია (მ) VS შალკე**

**დისკვალიფიკაცია:** დე კამარგო (ბორ)
**ტრავმა:** ჟორე - ჰუგლანდი, პანდერი, პაპადოპულოსი, აველარი, ყენია, მორიტცი, ხარისტეასი

**გუშინ**

**ნიურნბერგი-აინტრახტი 3:0**

### რა ბიჭია წმინდა პავლე?

ერთი კვირის წინ დორტმუნდელთა დაცვის ბურჯმა **მატს ჰუმელსმა** „კაიზერსლაუტერნთან" 1:1-ის შემდეგ თქვა, ბოლო წამზე გაშვებული გოლი პირდაპირ გულში მომხვდა ისარივითო. ფაქტია, რომ „ფრიც-ვალტერ-შტადიონზე" ვერმოგებამ დორტმუნდში ბევრი დაამწუხრა და ზოგადად გერმანიაში ბევრს აფიქრებინა, რომ BVB-ს კრიზისი ეწყება. დღეს **იურგენ კლოპის** ბიჭები „ზანკტ პაულის" მასპინძლობენ და მეორე ცენტრალური მცველის, **ნევენ სუბოტიჩის** გარეშე მოუწევთ ფონს გასვლა, რადგან სერბი უკანახაზელი წინა ტურში მოედნიდან გააძევეს და ახლა დისკვალიფიცირებულია. სუბოტიჩს **ფელიპე სანტანა** შეცვლის. ზემოთაც ვთქვით, რომ „ზანკტ პაული" ძალიან კარგ ფორმაშია. **ჰოლგერ სტანისლავსკის** შეგირდებმა ეს შუა კვირაშიც დაადასტურეს, როცა „ჰამბურგს" გადადებული დერბი მოუგეს (1:0, **ჯერალდ ასამოას** გოლით). ამ გამარჯვების შემდეგ „პაული" მეორე წრის სატურნირო ცხრილში სულაც პირველ ადგილზეა, ეს კი „დორტმუნდისთვის" იმის ნიშანია, რომ „შავ-ყვითლები" ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ. „პაულის" დღეს ტრავმირებული ჯერალდ ასამოა არ ეყოლება.

„ჰანოვერმა" წინა ტურში ბრემენიდან ქულა წაიღო (1:1), რაც **მირკო სლომკას** გუნდს აუცილებლად წარმატებაში უნდა ჩავუთვალოთ (მერე რა, რომ „ვერდერი" საშინელ დღეშია). „წითლებს" საკადრო პრობლემები შეუმცირდათ: თავდამსხმელები **ია კონანი** და **აბდელაუ** სრულიად ჯანმრთელები არიან, წამყვანი ფეხბურთელებიდან კი მხოლოდ **პინტუს** თამაშია კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი დიდიე ია კონანის ჯანმრთელობაა, რადგან რამდენჯერაც გუნდს გამოაკლდა, ჰანოვერელებმა იმდენჯერ წააგეს. სლომკას გუნდის მეტოქე დღეს „კაიზერსლაუტერნია" - გუნდი, რომელმაც ერთი კვირის წინ „დორტმუნდთან" ფრეს მიაღწია.

### დიეგო ბრუნდება, კალენბერგი განაცხადს მიღმა

„ვოლფსბურგს" მწვრთნელის შეცვლამ ჯერჯერობით ვერაფერი უშველა. **სტივ მაკლარენის** ნაცვლად სეზონის ბოლომდე დანიშნულმა **პიერ ლიტბარსკიმ** სადებიუტო მატჩი წააგო (0:1 ჰამბურგთან), მეორე შანსი კი „მგლებს" დღეს ფრაიბურგში მიეცემათ. აღსანიშნავია, რომ **დიეგო**, რომელიც წინა ტურში ლიტბარსკის მიერ დასჯილი იყო, განაცხადში ბრუნდება. სამაგიეროდ, „ლიტიმ" ამ კვირაში ნახევარმცველი **კალენბერგი** და მცველი **მადლუნგი** დასაჯა. ჩვენი გერმანელი კოლეგები ფიქრობენ, რომ პიერმა ამით ავტოგოლი გაიტანა, რადგან „ვოლფებს" ცენტრალური მცველი **სიმონ კიაერი** დისკვალიფიცირებულია და ის წესით სწორედ მადლუნგს უნდა შეეცვალა. რაკი „ვოლფსბურგმა" იანვარში იტალიელი **ანდრეა ბარძალი** „იუვენტუსში" გაყიდა და გუნდში **არნე ფრიდრიხის** გარდა სხვა ცენტრალური მცველი აღარ ირიცხება და საინტერესოა, რას მოიფიქრებს ლიტბარსკი. რაც შეეხება „ფრაიბურგს": **რობინ დუტის** ბიჭები წინა ტურში „შალკესთან" 0:1 დამარცხდნენ, რის შემდეგაც „ფრაიში" ცოტა უიმედობამ დაისადგურა, მაგრამ სატურნირო ცხრილის მიხედვით (დუტის გუნდი მე-6 ადგილზეა) ბრაისგაუელებს საწუწუნო არაფერი აქვთ. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ფრაიბურგს" „ვოლფსბურგთან" საკუთარ მოედანზე აქამდე არასდროს წაუგია (4/3/0).

„ბაიერნთან" განცდილი კრახის (0:4) შემდეგ, „ჰოფენჰაიმი" ცხრილის შუაში მოექცა. ამ ეტაპზე „სოფლელები" ვერც საუკეთესო ხუთეულში მოხვედრაზე აცხადებენ პრეტენზიას და არც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებათ. დღეს კი „ჰოფე" „კიოლნს" მასპინძლობს. „თხები" კი ძალიან კარგ ფორმაში არიან: ჯერ „ბაიერნი" დაამარცხეს (3:2), ერთი კვირის წინ კი „რაინენერგიშტადიონიდან" „მაინციც" კუდამოძუებული გაუშვეს (4:2). ახლა „თხების" გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ მათი საყვარელი გუნდი სტუმრადაც შეძლებს მოგებას. მიმდინარე სეზონში „კიოლნის" ბალანსი გასვლით მატჩებში ასე გამოიყურება: 1 მოგება, 2 ფრე, 8 წაგება.

### კიდევ ჩრდილოეთის დერბი

...ოღონდ, ამჯერად კლასიკური, „ჰამბურგსა" და „ვერდერს" შორის. HSV-მ ერთი კვირის წინ ვოლფსბურგში 1:0 მოიგო, შუა კვირაში კი „ზანკტ პაულისთან" დერბი წააგო. მოკლედ, როგორც ყოველთვის, „ჰამბურგი" ძალიან არასტაბილურია. „ვერდერი" კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება - „ჰანოვერთან" 1:1-ის შემდეგ ბრემენული კლუბი მე-14 ადგილზეა და მე-16 ადგილამდე სულ რაღაც ერთი ქულა აშორებს. „ჰამბურგთან" კლასიკურ დუელში კი „მუსიკოსებს" მთავარი თავდამსხმელი **კლაუდიო პისარო** არ ეყოლებათ.

### იძიებს შურს ბაიერნი?

„მაინცმა" სეზონი იდეალურად დაიწყო, ბუნდესლიგის ცხრილს დიდხანს ლიდერობდა და სუპერრეკორდამდე ძალიან ცოტა დააკლდა. მას მერე ბევრი რამ შეიცვალა, მაინცელები დღეს უკვე მეხუთე ადგილზე არიან და ყველა ხვდება, რომ თომას ტუხელის გუნდი მაღალი მიზნებისთვის ვერ იბრძოლებს. არადა, „მაინცმა" სტაბილურობა გარკვეულწილად შეინარჩუნა - ბევრი ფიქრობდა, რომ კარნავალელები სეზონის მეორე ნახევარში უარეს დღეში ჩავარდებოდნენ. ასეა თუ ისე, მაინცელები უდიდესი სიამოვნებით იხსენებენ ხოლმე იმ დიად გამარჯვებას, რომელიც მათმა უსაყვარლესმა გუნდმა პირველ წრეში მიუნხენში მოიპოვა: თუ გახსოვთ, ტუხელის გუნდმა „ალიანს არენაზე" 2:1 მოიგო. ფაქტია ისიც, რომ „ბრუხვეგშტადიონზე" შესანიშნავი ატმოსფერო იქნება.

მაგრამ როგორც შესავალშიც ვთქვით, „ბაიერნს" ამ მატჩში მხოლოდ სამი ქულა დააკმაყოფილებს. თანაც, პირველი წრის მატჩისგან განსხვავებით, მიუნხენურ გრანდს ახლა **არიენ რობენიც** მწყობრში ჰყავს და **ფრანკ რიბერიც**.



ბაიერნი-მაინცი: მიულერისა და ფუხსის ორთაბრძოლა - პირველ წრეში მაინცელებმა მიუნხენში 2:1 მოიგეს

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომავალ კვირაში „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ჯახი ელის მილანის „ინტერთან".

### შტუტგარტი შავ დღეში, ფავრის დებიუტი შალკესთან

„ლევერკუზენი" და „შტუტგარტი" ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავებულ მდგომარეობაში არიან. თუკი „ბაიერი" მეორე ადგილზეა და „დორტმუნდის" მთავარ კონკურენტობას ცდილობს, „შტუტგარტს" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება და რაც ყველაზე მთავარია, შვაბებისთვის გვირაბის ბოლოს სინათლე ჯერ კიდევ არ ჩანს. თუ „ლევერკუზენი" ხვალაც ისე კარგად ითამაშებს, როგორც წინა ტურში (3:0 „აინტრახტთან") და ხუთშაბათს ევროპის ლიგაში (4:0 ხარკოვში, „მეტალისტთან"), ასეთ შემთხვევაში **ბრუნო ლაბადიას** გუნდს ნაღდად შავი დღე დაადგება. სხვათა შორის, ევროპის ლიგაზე „შტუტგარტიც" თამაშობდა და ლისაბონში, „ბენფიკასთან" 1:2 დამარცხდა.

ტურის ბოლო შეხვედრაში კი მიონხენგლადბახის „ბორუსია" „შალკეს" უმასპინძლებს. ორშაბათის შემდეგ ბუნდესლიგის აუტსაიდერს ახალი მწვრთნელი ჰყავს: გათავისუფლებული **მიხაელ ფრონტცეკის** ნაცვლად „გლადბახში" შვეიცარიელი **ლუსიენ ფავრი** დაინიშნა, რომელიც შარშან ბერლინის „ჰერტას" ხელმძღვანელობდა. „შალკეს" შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის თამაში ჰქონდა (1:1 ვალენსიასთან).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 22 | 16 | 4 | 2 | 47-13 | 52 |
| 2. ლევერკუზ. | 22 | 12 | 6 | 4 | 44-30 | 42 |
| 3. ბაიერნი | 22 | 11 | 6 | 5 | 46-26 | 39 |
| 4. ჰანოვერი | 22 | 12 | 2 | 8 | 30-31 | 38 |
| 5. მაინცი | 22 | 12 | 1 | 9 | 34-26 | 37 |
| 6. ნიურნბერგი | 23 | 10 | 5 | 8 | 33-31 | 35 |
| 7. ფრაიბურგი | 22 | 10 | 4 | 8 | 29-29 | 34 |
| 8. ჰამბურგი | 22 | 10 | 3 | 9 | 30-31 | 33 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 22 | 8 | 8 | 6 | 39-32 | 32 |
| 10. შალკე | 22 | 8 | 5 | 9 | 27-26 | 29 |
| 11. ზტ. პაული | 22 | 8 | 4 | 10 | 27-35 | 28 |
| 12. აინტრახტი | 23 | 8 | 3 | 12 | 24-32 | ს |
| 13. კიოლნი | 22 | 7 | 4 | 11 | 29-41 | 25 |
| 14. ვერდერი | 22 | 6 | 6 | 10 | 28-44 | 24 |
| 15. ვოლფსბურ. | 22 | 5 | 8 | 9 | 26-31 | 23 |
| 16. კაიზერსლ. | 22 | 6 | 5 | 11 | 32-38 | 23 |
| 17. შტუტგარტი | 22 | 5 | 4 | 13 | 38-43 | 19 |
| 18. ბორუსია (მ) | 22 | 4 | 4 | 14 | 32-56 | 16 |

**ბომბარდირები:** 17 - გომესი (ბაიერნი); 15 - სისე (ფრაიბურგი); 14 - გეკასი (აინტრახტი); 11 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), ია კონანი (ჰანოვერი), 10 - რაული (შალკე), შიურლე (მაინცი).

**ამბები**

### გიოტცეს რიგი დაუდგა

გაირკვა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" დორტმუნდის „ბორუსიას" 18 წლის ვარსკვლავის, ნახევარმცველ **მარიო გიოტცეს** შეძენა უნდა. სხვადასხვა ინგლისურ გამოცემაში ვკითხულობთ, რომ „იუნაიტედის" სკაუტები გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს ორ თვეზე მეტია აკვირდებიან და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „მანჩესტერს" გიოტცე სჭირდება. მართალია, დორტმუნდელთა მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** ამბობს, მარიო არ იყიდებაო, მაგრამ კარგად ხვდება, რომ თუ „მანჩესტერი" გიოტცეს კონკრეტული წინადადებით მიმართავს, „ბორუსიას" მისი შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება.

*„მარიომ ჩვენთან კონტრაქტი 2014 წლამდე გააფორმა და ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ მის გაყიდვას არ ვაპირებთ. გიოტცემ ზუსტად იცის, რომ ახლა მისთვის საუკეთესო გუნდი „დორტმუნდია,"* - მაინც შეუვალია „ბორუსიას" შეფი. „მირორი" წერს, რომ გიოტცეთი ლონდონის „არსენალიც" დაინტერესდა, „ბორუსიამ" კი „მეთოფეებს" მარიოს სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო მოსთხოვაო.

### ბალაკმა ვარჯიში დაიწყო

**მიხაელ ბალაკმა** გუშინ სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ხვალ, „შტუტგარტთან" მატჩში განაცხადში იქნება. 34 წლის ნახევარმცველმა ტრავმის გამო ევროპის ლიგის მატჩი (ხარკოვში, „მეტალისტთან") გამოტოვა, თუმცა „ფარმაცევტებმა" მის გარეშეც იოლად მოიგეს (4:0).

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXIV ტურის წინ

# მოუეს 9 წელი: ეს მატჩი უმნიშვნელოვანესია მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგია

## პეპის 100 მატჩი და სატკივარი - დავიდ ვილია

**დღეს, 21:00**
**ვალენსია – სპორტინგი** VS
**დისკვალიფიკაცია:** ბარალი (სპორ)
**ტრავმა:** სტანკევიჩიუსი, მოია - გრეგორი (?), ეგურენი (?)

**დღეს, 23:00**
**რეალი – ლევანტე** VS
**დისკვალიფიკაცია:** კასილიასი - ვენტა
**ტრავმა:** დუდეკი (?), იგუაინი - ლარეა, პალიარდო, გონსალესი

**დღეს, 01:00**
**სარაგოსა – ატლეტიკო** VS
**დისკვალიფიკაცია:** ანდერი - გოდინი
**ტრავმა:** ლაფიტა, ობრადოვიჩი (?) - ფ. ლუიში, აგუერო (?)

**ხვალ, 20:00**
**ალმერია – დეპორტივო** VS
**დისკვალიფიკაცია:** მიჩელი (ალმ)
**ტრავმა:** ხუანიტო (?), ნიეტო, ხუანმა ორტისი - საული, ურეტა, გუარდადო

**ხვალ, 20:00**
**ხეტაფე – რასინგი** VS
**დისკვალიფიკაცია:** გომესი - ფერნანდესი
**ტრავმა:** მორალი, მარიო, არისმენდი (?) - ციოლისი, კოლტორტი, დიოპი, სერანო

**ხვალ, 20:00**
**ოსასუნა – ესპანიოლი** VS
**დისკვალიფიკაცია:** დამია, ფლანიო (ოსას)
**ტრავმა:** სეხუდო, რუპერი, რობერტო, სერხიო, არანდა - ლ. გარსია, ალონსო, მატიონი, როდრიგესი, მოლინა

**ხვალ, 20:00**
**ვილარეალი – მალაგა** VS
**ტრავმა:** კარლოსი, ა. ლოპესი - რუბენი, დუდა, მალაგუენო, ასენხო

**ხვალ, 22:00**
**სევილია – ჰერკულესი** VS
**ტრავმა:** დრაგუტინოვიჩი, ჩიგარინი (?), ზოკორა, რენატო, კანუტე, გუარენტე - პენია, ვალდესი, დრენტე, სარი, კრუსი

**ხვალ, 00:00**
**ბარსელონა – ბილბაო** VS
**ტრავმა:** ჟეფრენი, პუიოლი (?), ვილია (?) - აურტენეჩე, გომესი, სან ხოსე (?), გაბილონდო (?)

**ზეგ, 00:00**
**სოსიედადი – მაიორკა** VS
**ტრავმა:** ხ. ლორენტე - ვიქტორი, პინა



ამ ტურში ჩემპიონობისთვის მებრძოლნი შინ ითამაშებენ, მდევარი „რეალი" ჩემპიონთა ლიგის მატჩამდე „ლევანტეს" მასპინძლობს, ხოლო კვირას ლონდონში დამარცხებული „ბარსელონა" „კამპ ნოუზე" ბილბაოს „ატლეტიკს" მიიღებს. როგორც ხედავთ, ისეთი სიტუაციაა, რომ ლა ლიგის საჩემპიონო რბოლის კიდევ უფრო დაძაბვის პროგნოზირება სულაც არ იქნება მკრეხელობა. ბოლოსდაბოლოს, „ბლაუგრანას" ხომ 5 თებერვლის შემდეგ არ მოუგია...

დღევანდელი მატჩი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ჟოზე მოურინიოსთვის** - თუკი დღეს „განსაკუთრებულის" „რეალი" არ წააგებს, პორტუგალიელი ზუსტად 9-წლიან წაუგებელ სერიას შეასრულებს ეროვნული ჩემპიონატების საშინაო მატჩებში. ბოლო გუნდი (და ერთადერთი!), რომელმაც მოურინიოს დამარცხება მისსავე მოედანზე შეძლო, მოკრძალებული „ბეირა მარია". საოცარი შედეგია, რომელიც, არა გვგონია, რომელიმე მწვრთნელმა ოდესმე გააუმჯობესოს ფეხბურთში (არ დაგავიწყდეთ, რომ 9 წლის განმავლობაში მოურინიო ლიგა საგრეში, პრემიერლიგაში, სერია A-სა და პრიმერადივიზიონში მოღვაწეობდა). და, რამ შეიძლება შეუშალოს ხელი დღეს რეკორდის დამყარებას? ძნელი წარმოსადგენია, რომ ის „ლევანტე", რომელსაც „სამეფო თასზე" „სამეფო კლუბმა" ახლახან (დეკემბერში) 8:0 მოუგო, „ბერნაბეუზე" გმირობის ჩადენას შეძლებს. ვალენსიელთა სასარგებლოდ მხოლოდ ერთი არგუმენტი მოქმედებს - მადრიდში **ლუის გარსიას** გუნდი (24 ქულა, მე-15 ადგილი) 3-მატჩიანი გამარჯვების სერიით მიდის. „ბარსას" 16-მატჩიან სერიასთან, აბა ეს რა მოსატანია, მაგრამ „ლევანტესთვის" კი ნამდვილად საამაყო ფაქტია.

თავად ჟოზე მოურინიო კი არ აღიარებს, რომ „ლევანტესთან" მატჩს რაიმე განსაკუთრებული დატვირთვა აქვს - „ლევანტესთან" შეხვედრას ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანესად მხოლოდ იმიტომ მივიჩნევ, რომ ის შემდეგია", - განაცხადა პორტუგალიელმა თავკაცმა „რეალის" ოფიციალურ საიტზე.

„ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან რთული შეხვედრები ჩამოვიტოვეთ და, ვფიქრობ, ფორმის პიკს დავუახლოვდით. განსაკუთრებით მოხიბლული „ესპანიოლთან" მატჩით ვარ, რადგან ამ თამაშში ფეხბურთელებმა შესაძლებლობების ზღვარზე ითამაშეს. აი, ზუსტად ეს მაინტერესებს ახლა, როცა ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

„ლევანტე" სახიფათო გუნდია, მას ჩვენ ამ სეზონში სამჯერ შევხვდით და მხოლოდ ერთხელ ვაჯობეთ. მეტოქე ახლა მართლაც კარგ ფორმაშია, სხვანაირად „ვილიარეალის" დამარცხება შეუძლებელია. ვალენსიელებმა თავი დააღწიეს გავარდნის ზონას. გუნდიდან ფელიპე კაისედოს გამოვყოფ, სახიფათო ფორვარდია. არც სტუანისა და ხორდას დავიწყება შეიძლება, კარის სიახლოვეს ისინი ძალიან სახიფათოები არიან - ფეხითაც კარგად ურტყამენ და საჰაერო ორთაბრძოლებშიც ყოჩაღობენ.

ჩემი საშინაო რეკორდი ამ შემთხვევაში ნაკლებად მაინტერესებს, მის გასაგრძელებლად სპეციალურად არაფერს ვაკეთებ. როგორ ფიქრობთ, ხვალ თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ფრე რომ იყოს, არ გავრისკავ და არ შევუტევ რეკორდის გამო? ეს ხომ გამორიცხულია, ამ თამაშში მჭირდება გამარჯვება და არაფერი გამარჯვების გარდა. რომელ რეკორდზე ვიფიქრო, როცა თითოეულ ქულას ვითვლი. ქულები, აი, ეს არის მთავარი, მათ შეუძლიათ ტიტულების მოტანა, რეკორდებს - ნაკლებად.

ძალიან ბევრს მეკითხებიან „ლიონთან" საჩემპიონთალიგო მატჩის შესახებ. მოდით, შევთანხმდეთ, ამ შეხვედრის დროც მოვა და მაშინ ვილაპარაკოთ. „ლევანტესთან" მატჩში ორ



ცვლილებას ვაპირებ წინა შეხვედრასთან შედარებით, მაგრამ ეს არ იქნება მნიშვნელოვანი ცვლილებები. გუნდის ხერხემალი, სტრუქტურა და, რაც მთავარია, ხარისხი იგივე დარჩება: ალბიოლი დაიკავებს პეპეს ადგილს. ამაში ახალი არაფერია. უბრალოდ, ვცდილობ დავინდო ფეხბურთელი, რომელმაც ტრავმის გამო თვე გააცდინა, მეორე ცვლილება კი იძულებითია, მოგეხსენებათ. დაცვაში სერხიო, ალბიოლი, კარვალიო და მარსელო ითამაშებენ. ასევე ვაპირებ კრიშტიანო რონალდოს გამოყვანას, რა საჭიროა ისეთი ფეხბურთელის დასვენება, რომლის ორგანიზმი ამას არ საჭიროებს. კრიშტიანო ხარივით ჯანმრთელია და არ მესმის, რატომ მოვაკლო გუნდს უმნიშვნელოვანესი ფიგურა, თუ ის დაღლილი არ არის. როცა იქნება, მასაც დავასვენებ, მაგრამ ახლა არა", - განაცხადა მოურინიომ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე.

**ლასანა დიარა** მიიჩნევს, რომ „რეალს" სეზონის ბოლომდე ყველა თამაშის მოგება ესაჭიროება, ტიტულის მოსაპოვებლად: „საშინაო მატჩებში გამარჯვება ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა ახლა ჩვენ ყველა დარჩენილი მატჩი უნდა მოვიგოთ, თუ ჩემპიონობა გვინდა. მართალია, „ლევანტეს" 8:0 მოვუგეთ თასზე, მაგრამ, არ დაგვავიწყდეს, რომ ჩემპიონატში მათ ქულები დაგვაკარგვინეს. „ლევანტე" გუნდური თამაშით ძლიერია, ხოლო კაისედო მათი ყველაზე საშიში ფეხბურთელია, ის ბევრ პრობლემას შეგვიქმნის. თუმცა ჩვენ უკვე კარგად შევისწავლეთ ისინი და, წესით, უნდა დავამარცხოთ კიდეც. ადებაიორი ძმასავით მიყვარს, ჩვენ ერთმანეთს „არსენალში" დავუახლოვდით. ერთად ბევრი რამ გვიკეთებია და მოედანზე ერთმანეთს კარგად ვუგებთ. ვცდილობ ენის შესწავლაში დავეხმარო, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია „რეალში". მსურს, ბილბაოელებმა „კამპ ნოუზე" გაიმარჯვონ. ეს მართლა ძალიან მაგარი იქნება".

„რეალმა" უკვე დაასრულა „ლევანტესთან" მატჩისთვის მზადება, „ვალდებებასის" ბაზაზე 23-მა ფეხბურთელმა ივარჯიშა გუშინ. არ უვარჯიშია მხოლოდ ტრავმირებულ **გონსალო იგუაინს**. გადაწყვეტილების გამოტანის დრო მოვიდა და „განსაკუთრებულმა" განაცხადს მიღმა **პეპე, გრანერო, კანალესი** და **პედრო ლეონი** დატოვა. კასილიასის დისკვალიფიკაციის წყალობით, თამაშის არა და, სათადარიგოთა სკამზე მოხვედრის შანსი ახალგაზრდა გოლკიპერ **ტომას მეხიასს** გაუჩნდა.

„ლევანტეს" ბანაკში მცირე პრობლემებია, გამოცდილი მცველი **ხავი ვენტა** დისკვალიფიცირებულია, ხოლო ტრავმის გამო „რეალთან" დაპირისპირებას **მიგელ პალიარდო, სერხიო გონსალესი** და **გორკა ლარეა** გამოტოვებენ.

„ბარსას" თავკაცს **პეპ გვარდიოლას** კი ჩემპიონთა ლიგაზე წარუმატებელმა თამაშმა საფიქრალი მოუმატა. წარმოიდგინეთ, მოკლე ხანში ასეთი დიდი წარმატებების მიმღწევ მწვრთნელს ჯერ ჩემპიონთა ლიგაში საგარეო მატჩში არ მოუგია.

პეპს კვლავ არ ეყოლება **ჟეფრენ სუარესი**, საეჭვოა კაპიტნის, **კარლეს პუიოლის** თამაშიც. მაგრამ ამ ორის შესახებ ისედაც ყველამ იცოდა, გუშინ „ბარსას" ვარჯიში **დავიდ ვილიამ** გამოტოვა - „ელ გუახემ" მარცხენა ფეხის კოჭი დაიზიანა. „ბილბაოსთან" თამაში რომ დღეს იყოს, ვილიას შანსი არ ექნებოდა, მაგრამ, რადგან თამაში კვირასაა, „ბარსას" ექიმები იმედს არ კარგავენ, რომ ფორვარდი ბასკების კარს შეუტევდნენ. პეპმა გუნდთან ერთად სარეზერვო გუნდის სამი ფეხბურთელი ავარჯიშა: **აბრაამი, სერხი რობერტო** და **დალმაუ**.

ჩვენ სათანადო ყურადღება დავუთმეთ ჟოზე მოურინიოს სავარაუდო რეკორდს, თუმცა უნდა ვთქვათ, რატომაა ეს მატჩი გამორჩეული ხოსეპ გვარდიოლასთვის: ხვალ, როცა „ბარსას" თავკაცი სათადარიგოებს გვერდში მიუჯდება, ეს მისი მე-100 შეხვედრა იქნება ლა ლიგაში მთავარი მწვრთნელის სტატუსით. ყველაფერი კი „ნუმანსიასთან" გასვლითი მატჩით დაიწყო და მას მერე პეპმა ბევრი რეკორდიც დაამხო. 2008 წლის 31 აგვისტოდან 2011 წლის 12 თებერვლის ჩათვლით, „ბარსელონამ" 99 მატჩი გამართა, „ბლაუგრანამ" აქედან 78 მოიგო, 14 ფრედ დაასრულა და მხოლოდ 7 მატჩი წააგო. „ბარსამ" სულ 274 გოლი გაიტანა. ყველა ეს მაჩვენებელი კლუბის ისტორიაში საუკეთესო გახლავთ. და ყველაზე მთავარი, რითაც ნებისმიერი მწვრთნელი იამაყებდა - გვარდიოლა მწვრთნელი 5-ჯერ დაუპირისპირდა „რეალს" და ხუთჯერვე დაამარცხა, მათ შორის ისეთი ფანტასტიკური ანგარიშებით, როგორიც 6:2 („ბერნაბეუზე") და 5:0-ია („კამპ ნოუზე").

„ბილბაოს" „კამპ ნოუზე" არ ეყოლება **იბაი გომესი** და **იონ აურტენეჩე**, ჯგუფთან ერთად არ უვარჯიშიათ **მიკელ სან ხოსეს** და **იგორ გაბილონდოს**, მათი თამაში საეჭვოა.

ღრმა კრიზისში მყოფი „ატლეტიკო" ერთ-ერთ აუტსაიდერ „სარაგოსას" სტუმრობს. წარმოდგენაც კი გვიჭირს, რა შეიძლება მოხდეს, იმ შემთხვევაში, თუკი დედაქალაქელები კვლავ დამარცხდებიან. ამ შემთხვევაში, ალბათ, **კიკე ფლორესს** თანამდებობის დატოვება მოუწევს, მიუხედავად კლუბის პრეზიდენტის გარანტიისა, რომ კიკე სეზონის ბოლომდე დარჩება. კიკეს არ ეყოლება ბრაზილიელი მარცხენაფლანგელი **ფილიპე ლუიში**, საეჭვოა **სერხიო აგუეროს** თამაშიც. სხვათა შორის, ტრავმა ბოლომდე არც **დავიდ დე ხეას** მოურჩენია, თუმცა ახალგაზრდა გოლკიპერი არაგონის დედაქალაქში აუცილებლად ითამაშებს - მოკლედ დღევანდელი „ატლეტიკოს" ყოფა ასეთია: პრობლემები, პრობლემები და პრობლემები...

ორიოდ სიტყვით სხვა მატჩებზეც გავჩერდებით: მესამე ადგილზე გადასული „ვალენსია", რომელიც **რაულმა** საკუთარ „მესტალიაზე" დაჭრა, იქვე წინა ტურის გმირ გუნდს, ხიხონის „სპორტინგს" მასპინძლობს, რომელსაც დისკვალიფიკაციის გამო არ ეყოლება „ბარსას" კარში ცნობილი გოლის ავტორი **დავიდ ბარალი.** „ოსასუნა" ახალი მწვრთნელით უმასპინძლებს „ესპანიოლს", „ვილიარეალი" კი პოზიციების დაბრუნებას „მალაგასთან" მატჩში შეეცდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 23 | 20 | 2 | 1 | 71-12 | 62 |
| 2. რეალი | 23 | 18 | 3 | 2 | 53-19 | 57 |
| 3. ვალენსია | 23 | 14 | 5 | 4 | 38-25 | 47 |
| 4. ვილიარეალი | 23 | 14 | 3 | 6 | 41-23 | 45 |
| 5. ბილბაო | 23 | 12 | 2 | 9 | 37-32 | 38 |
| 6. ესპანიოლი | 23 | 12 | 1 | 10 | 30-31 | 37 |
| 7. ხეტაფე | 23 | 9 | 4 | 10 | 35-37 | 31 |
| 8. სევილია | 23 | 9 | 4 | 10 | 35-38 | 31 |
| 9. სოსიედადი | 23 | 10 | 1 | 12 | 34-37 | 31 |
| 10. მალიორკა | 23 | 9 | 4 | 10 | 25-30 | 31 |
| 11. ატლეტიკო | 23 | 9 | 3 | 11 | 32-31 | 30 |
| 12. ერკულესი | 23 | 7 | 4 | 12 | 24-37 | 25 |
| 13. რასინგი | 23 | 6 | 7 | 10 | 20-33 | 25 |
| 14. დეპორტივო | 23 | 6 | 7 | 10 | 20-34 | 25 |
| 15. ლევანტე | 23 | 7 | 3 | 13 | 24-34 | 24 |
| 16. სპორტინგი | 23 | 5 | 8 | 10 | 23-31 | 23 |
| 17. სარაგოსა | 23 | 5 | 8 | 10 | 22-36 | 23 |
| 18. ოსასუნა | 23 | 5 | 7 | 11 | 21-30 | 22 |
| 19. ალმერია | 23 | 4 | 8 | 11 | 23-39 | 20 |
| 20. მალაგა | 23 | 5 | 4 | 14 | 30-49 | 19 |

**ბომბარდირები:** 24 - რონალდო (რეალი), მესი (ბარსელონა); 15 - ვილია (ბარსელონა); 13 - ფ. ლორენტე (ბილბაო); 12 - როსი (ვილიარეალი), პედრო (ბარსელონა); 10 - ტრეზეგე (ერკულესი), ნილმარი (ვილიარეალი).

გვერდი მოამზადა

ჭიდაობა

# ბათუმის ახალგაზრდული...

დღეს ბათუმში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ჩემპიონატი იწყება. იასპარეზებს ნაკრების წევრობის ყველა კანდიდატი ორი გამონაკლისის გარდა - მწვრთნელთა საბჭომ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილი** (84) ეროვნული ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე გაათავისუფლა. მათ წლეულს საქართველოს ჩემპიონატი მოიგეს უფროსებში და მარტის ბოლოს მთავარი გუნდის შემადგენლობაში შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატზე უნდა გამოვიდნენ. წინა კვირაში ხინჩეგაშვილმა იაშარ დოგუს ძალიან ძლიერი ტურნირიც მოიგო სტამბოლში, სადაც ფინალში ბულგარელი მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **რადოსლავ მარინოვ ველიკოვი** ორ პერიოდში დამაჯერებლად დაამარცხა.

მარსაგიშვილს მაინც სურდა ჭიდაობა, მაგრამ ამის ნება მწვრთნელებმა არ დართეს, რაც ახალგაზრდულის თავკაცმა **ნუგზარ სხირელმაც** დაადასტურა. აქ შეგახსენებთ შარშანდელ ისტორიას - ივნისში მარსაგიშვილმა თავისი ინიციატივით **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის „ოქროს დიდ პრიზზე" იასპარეზა, თუმცა სხირელი ამის ნებას არ აძლევდა. მაშინ სპორტსმენი მეორეზე კი გავიდა, მაგრამ გადაილალა თუ რა იყო, შემდეგ ახლგაზრდულსა და ეროვნულ ნაკრებში უკლებლივ ყველა შეჯიბრება წააგო საქართველოს პირველობის გარდა. ალბათ, სხირელი შარშანდელ გამოცდილებასაც იშველიებს, როცა ამჯერად ჭიდაობის უფლებას არ აძლევს.

ხინჩეგაშვილისა და მარსაგიშვილის გარდა, ნაკრები მაინც სერიოზული დანაკარგების წინაშეა, რაც თაობათა ცვლითაა გამოწვეული - ასაკის გამო გუნდი ერთბაშად ოთხმა ფალავანმა დატოვა. ესენია **დავით ხუციშვილი** (74), **თორნიკე ხიდეშელი** (96), **გიორგი საკანდელიძე** და **ლევან ბერიანიძე** (ორივე - 120). ამათგან სამი იმდენად წარმატებული იყო, ყველა მწვრთნელი ინატრებს - ხუციშვილმა შარშან დუბლი შეასრულა - ევროპაც მოიგო და მსოფლიოც, საკანდელიძე ევროპის ჩემპიონი გახდა, მსოფლიოზე კი ბრინჯაო ხვდა წილად (ალსანიშნავია, რომ შარშანწინ ორივე ამ შეჯიბრებაში ვერცხლი მოიპოვა), ხოლო ბერიანიძეს, მართალია, ახალგაზრდულ გუნდში არ უასპარეზია, მაგრამ უფროსებში გახდა მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი.

წლეულს ევროპის პირველობა 21-26 ივნისს სერბულ ზრენჯანინში ჩატარდება, მსოფლიოსი - სულ რაღაც ერთ თვეში, 26-31 ივლისს ბუქარესტში. ბათუმში დღეს პირველი ოთხი წონითი კატეგორიის - 50, 55, 60 და 66-ის ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები - ხვალ.

ბოლოს, ეროვნულ ნაკრებებზე ვთქვათ. ბერძენ-რომაელები გუშინ დაბრუნდნენ ნახკაძორიდან, სადაც ფიზმომზადების შეკრება გაიარეს, „თავისუფლები" კი დღეს დუშეთში დაიწყებენ შეკრებას. ბერძენ-რომაელებისთვის ეს პირველი შეკრება იყო, „თავისუფლებისთვის" კი მეორეა. პირველი მათაც ნახკაძორში გაიარეს. უახლოესი გეგმები ასეთია - ბერძენ-რომაელები 25-27 მარტს ბულგარულ ბურგასში ნიკოლა პეტროვის მემორიალში იჭიდავებენ, „თავისუფლთა" ნაწილი კი 4-5 მარტს მინსკში **ალექსანდრ მედვედის** სახელობის საერთაშორისო ტურნირში გამოვა, ნაწილი კი 20 მარტს მახაჩყალაში მსოფლიოს თასზე იასპარეზებს. „თავისუფლებს" ჯერ ბოლომდე არ გაურკვევიათ შემადგენლობა, ბერძენ-რომაელებმა კი ადრევე დაასახელეს: **ლაშა გოგიტაძე** (55), **რევაზ ლაშხი** (60), **არჩილ თურმანიძე** (66), **გენადი გოგიშვილი**, **ანტონ მამაგეიშვილი** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **სოსო ჯაბიძე**, **ალექსანდრე დიხამინჯია** (96), **დიმიტრი ჯავახიშვილი** (120), თუმცა ჯავახიშვილის ჭიდაობა ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი - ტრავმა აწუხებდა და მისი საკითხი ნახკაძორში უნდა გარკვეულიყო. არაა გამორიცხული, მწვრთნელმა ცვლილებები სხვა წონებშიც შეიტანოს.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. დიუსელდორფის დიდი პრიზი

# ნილი ყარეს

დღეს დიუსელდორფში „დიდი პრიზის" გათამაშება იწყება 68 ნაკრების მონაწილეობით. რაოდენობა კია შთამბეჭდავი, მაგრამ სიძლიერით არც ისე ძლიერი ტურნირი იქნება – გუნდების უმეტესობა გადახალისებულია, ბევრს აკლია ლიდერები. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **დავით ასუმბანი**, **ამირან პაპინაშვილი** (60), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი**, **ლევან წიკლაური** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ირაკლი ცირეკიძე** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი**, **ნოდარ მეტრეველი** (+100).

წილისყრით 60-ში ორივე ქართველი ბადის ერთ მხარეს მოხვდა, ოღონდ ნახევარფინალამდე ერთმანეთს ვერ შეხვდებიან. პაპინაშვილი მეორე წრიდან ჩაებმება და ფინელ **ვალტერ იოკინენს** დაეჭიდება. მოგებულის მეტოქე მონგოლი **ბოლბაატარ ჩმედ-იონდონის**, თბილისის წლევანდელი მსოფლიოს თასის ლატვიელ ბრინჯაოს პრიზიორ **ანდრეას მაჯერსის** და გერმანელი **ტობიას ენგლმაიერის** შეხვედრებში გაირკვევა, ოღონდ სამეულიდან ჯერ ერთმანეთში მასპინძელი და ლატვიელი იჭიდავებენ. ასუმბანის სავარაუდო მეტოქეები, ჩვენი ტურნირის ყაზახი ვიცე-ჩემპიონი **იერკებულან კოსაიევი** და მაროკოელი **ალაე იდრისი** პირველივე წრეში გავლენ ტატამზე. თუ ასუმბანი ამათ გასცდება, შესაძლოა, მერვედფინალში უკრაინელთა ქართველ მსოფლიოს ჩემპიონ **გიორგი ზანთარაიას** დაეჭიდოს. პირველ წრეში ზანთარაიაც ისვენებს, მისი მეტოქე კი პერუელი **იან პოსტიგოსა** და ბრაზილიელი **ბრუნო ალვეშის** შეხვედრაში გამოვლინდება. შეგახსენებთ, რომ პერუელს წინა კვირას, ბუდაპეშტში, **ბეთქილ შუკვანმა** იპონით მოუგო.

ტატალაშვილი გერმანელ **რენე შნაიდერთან** შერკინებით დაიწყებს შეჯიბრებას. მოგებულის სავარაუდო მეტოქეებიდან ჯერ თურქი **ჰასან ვანლიოღლუ** და პორტუგალიელი **ჟორჟე ფერნანდესი** გაარკვევენ შემდეგ წრეში გამსვლელს, რომელსაც ესტონელი ევროპის პრიზიორი **კინტერ როტბერგი** ელოდება. აი, სწორედ როტბერგთან შეხვედრის გამარჯვებულს დაეჭიდება ტატალაშვილი. ჩვენებურის სიახლოვეს ორი ევროპის ჩემპიონია – 2009 წლის თბილისური ტრიუმფატორი უკრაინელი **ვოლოდიმირ სოროკა** და იაპონური წარმოშობის ესპანელი, 32 წლის **კიოში უემაცუ** (ეს მსოფლიოს პრიზიორიცაა), თუმცა ჩვენებურთან შეხვედრამდე ჯერ მათი გზები გადაიკვეთება.

ყველაზე მეტი მონაწილე 81 კილოგრამშია – 50 სპორტსმენი, თუმცა წიკლაურს უჩვეულოდ გაუმართლა და მესამე წრემდე თავისუფალია. მასთან შესახვედრად მეორე წრეში შვეიცარიელი **მიშა ეგერი** და ლატვიელი **კონსტანტინს ოვჩინიკოვსი** იბრძოლებენ. ჭრიკიშვილი იტალიელ **ფრანჩესკო ბრიუერეს** ხვდება, მოგებულს კი მოლდოველი **სერგეიუ ტომა** ელოდება. მესამე წრიდან იჭიდავებს ლიპარტელიანიც, რომელსაც მეტოქედ ან ტუნისელი **მედ-ფადელ გაზოუანი** ეყოლება, ან – 23-წლიანებში პოლონელი ევროპის ჩემპიონი **კრშიშტოფ ვეგლარცი**. სავარაუდოდ, უფრო ვეგლარცი, რომელსაც ლიპარტელიანმა წლეულს პარიზშიც მოუგო (მაშინ პოლონელი ხელით შესვლისთვის მოხსნეს) და შარშან – როტერდამშიც. ბადის ამავე მხარეს არიან უკრაინელი ევროპის სამგზის ჩემპიონი **ვალენტინ გრეკოვი**, იაპონელი **იუია იოშიდა** და ის შვედი **მარკუს ნიმანი**, ვისთანაც ჩვენებურმა შარშან ვენაში ევროპის ჩემპიონატის ფინალი წააგო. პირველ წრეში ისვენებს ცირეკიძეც, რომელიც უკრაინელი **ვიაჩესლავ დენისოვისა** და ჩინელი **ნინგ შაოს** შეხვედრას მიადევნებს თვალს – მერე იმათში მოგებულს უნდა ეჭიდავოს. იმედია, ჩვენებური ამათგან ნებისმიერს მოუგებს, მერე კი მეტოქედ, სავარაუდოდ, ბუდაპეშტის ტურნირის მონგოლი ვიცე-ჩემპიონი **ტამუულენ ბატულგა** ეყოლება, რომელსაც მანამდე ახალზელანდიელი **იასონ კოსტერის** ძლევა არ უნდა გაუჭირდეს. ნახევარფინალამდე ცირეკიძის სავარაუდო მეტოქეები ახალგაზრდებში მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონი, ჩეხი **ლუკაშ კრპალეკი**, აქამდე უცნობი ყაზახი **აკრამჯან მარაზიკოვი**, ანგარიშგასაწევი ფრანგი **ფრედერიკ შტიგელმანი** და გერმანელი **ბენჯამინ ბერლა** არიან. ამათგან ცირეკიძემ ფრანგს შარშან პარიზის „დიდ მუზარადზე" მოუგო.

მძიმე წონაში ხანჯალიაშვილი აზერბაიჯანელ **ემილ ტაჰიროვს** ხვდება და, წესით, მასთან მოგება არ უნდა გაუჭირდეს. მეტრეველი თურქ **ენსარ ტამას** ხვდება, ამათში მოგებულს კი სლოვენიელი **მატიას სერაი** ელოდება.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი

# შეკრება, მერე შეჯიბრება

გუშინ საქართველოს ტყვიის მსროლელთა ნაკრები გერმანიაში გაფრინდა, სადაც მიუნხენის ახლოს, ქალაქ უნტერვოსენში 10-დღიან შეკრებას გაივლის, თვის ბოლოს კი იქიდან იტალიურ ბრეშიაში გადავა და 1-6 მარტს პნევმატური პისტოლეტით სროლაში ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს. იქ ჩვენი გუნდი 6 მსროლელით წარსდგება. ქალთა შორის კვლავაც ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** ისვრის, ვაჟებში - **ლევან ქადაგიძე**. ახალგაზრდების ჩემპიონატში ბიჭებში მსოფლიოს ჩემპიონ **თამაზ იმნაიშვილის** ვაჟი **თენგიზ იმნაიშვილი** იასპარეზებს, გოგოებში კი სრული გუნდი გვეყოლება - **ნინო ფანჩულიძე**, **თეონა იაშვილი** და **ანა გაგილაძე**. ცუდია, რომ ქალთა ნაკრები დაიშალა (არადა, მათ ამავე პირველობაზე გუნდურში ვერცხლის მედლებიც კი მოუპოვებიათ - 2005 წელს, ორჯერ კი ბრინჯაომდე თითო ქულა დააკლდათ), მაგრამ მისასალმებელია გოგონათა სრული ნაკრების გამოჩენა.

ევროპის პირველობა ბრეშიაში 1 მარტს იწყება, თუმცა ჩვენები ჩემპიონატში 3 მარტიდან ჩაებმებიან - ამ დღეს იმნაიშვილი ისვრის. 4-ში ცეცხლის ხაზზე გაგილაძე, იაშვილი და ფანჩულიძე დადგებიან, 5-ში ქადაგიძის ჯერია, ჩვენი უმთავრესი იმედი - ნინო სალუქვაძე კი 6 მაისს ისვრის.

ეს ტურნირი ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიებს არ იძლევა. ამ მხრივ ჩვენთვის საყურადღებო ზაფხულში, 31 ივლისიდან 14 აგვისტოს ჩათვლით სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ბელგრადში გასამართი ევროპის პირველობა იქნება - იქ საგზურებიც გაიცემა. სამწუხაროდ, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სალუქვაძის გარდა, ჩვენში ამ დისციპლინაში თითქმის არც ვარჯიშობს არავინ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# თურქეთი საქართველოს დაუპირისპირდა

## ჩვენი მეზობლები ბებერ კონტინენტს ფულით ხიბლავენ

ბრძენთა თამაშის ქომაგებმა იციან, რომ თურქეთის ჭადრაკის ფედერაციამ ევროპის საჭადრაკო კავშირთან კონტინენტის ქალთა 2011 წლის ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებული კონტრაქტი დაარღვია. მასპინძლობის სურვილი თბილისმა გამოთქვა და საპრიზო ფონდიც დაასახელა - 100.000 ევრო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ევროპელ მოჭადრაკეთა თავკაცი ბულგარელი **სილვიო დანაილოვიც** გვეწვია და...

აი, მეზობლებმა ჩვენთან ჯიბით გაჯიბრება გადაწყვიტეს - თურქეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **ალი ნიხატ იაზიჯიმ** ღია წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც გამოთქვა მზადყოფნა, 2011 წლის ქალთა ევროპის ჩემპიონატს 19 მარტიდან 1 აპრილამდე უმასპინძლოს რაპიდსა და ბლიცში პირველობებთან ერთად. მთავარი ტურნირის საპრიზო ფონდი გაზარდა 112 ათას ევრომდე, რომელიც 18 საუკეთესო შედეგის მქონე მოჭადრაკეზე გადანაწილდება: ჩემპიონი - 21 ათასს, ვერცხლის პრიზიორი - 16 ათასს, მესამეადგილოსანი კი 12 ათას ევროს მიიღებენ. დანარჩენები, ცხადია, ნაკლები თანხით დაჯილდოვდებიან.

ახალი ტენდერის ვადა წუხელ 12 საათზე ამოიწურა. იმედია, ჩვენები თურქებს ვალში არ დარჩებიან. ბოლო სიტყვა, რა თქმა უნდა, ევროპის საჭადრაკო კავშირზე იქნება.

**ვაჟა დანელია**

# ქალები ხუთოსნობენ

ირანში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალის A ჯგუფში 5 ტურის შემდეგ 4,5 ქულით ერთპიროვნულად რუსი **სერგეი ვოლკოვი** მეწინავეობს. 0,5 ქულა მას მე-4 ტურში **ლევან ფანცულაიამ** დააკარგვინა. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით 5 მოჭადრაკე ჩამორჩება, მათ შორის ქუთაისელი **გიგა ყუფარაძე**, რომელსაც ახლახან საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა. დღეს იგი თეთრი ფიგურებით ირანელ **ჰომეინი ტოუფიგის** დაუპირისპირდება.

ტურნირზე ჩვენებურთაგან 3,5-3,5 ქულას ლევან ფანცულაიამ, **შოთა აზალაძემ**, **მალხაზ სულაშვილმა**, **გაიოზ ნიგალიძემ**, **დავით ჯოჯუამ** და **დავით მაღალაშვილმა** მოუყარეს თავი. 0,5-0,5 ქულით ნაკლები აქვთ **კონსტანტინე შანავას**, **ივერი ჭილაძეს**, **დავით ბენიძეს**, **დავით ლომსაძეს** და საქართველოს წლევანდელ ჩემპიონ **დავით ზარქუას**.

ქალებში 5 ტურის შემდეგ მხოლოდ ორი მოჭადრაკე მიიწევს წინ უდანაკარგოდ და ორივე ქართველია - **ბელა ხოტენაშვილი** და **ნინო ბაციაშვილი**, რომლებმაც გუშინ აზერბაიჯანელებს - **ნარმინ კაზიმოვასა** და **ხაიალა აბდულას** სძლიეს. დღეს ჩვენებურები ერთმანეთს შეხვდებიან. 4,5 ქულით მესამე ადგილზეა ფრანგი **კარელ ბოლონი**.

**ვაჟა დანელია**

სამთო თხილამურობა

# 50-ეულში შევიდნენ

გუშინ გერმანულ გარმიშ-პარტენკირხენში, სამთო მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვაჟთა გიგანტური სლალომი გაიმართა. ფინალურ ეტაპზე 97-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის კი ორი ქართველი იყო, რომელთაც წინა დღით საკვალიფიკაციო ბატალიები გამოიარეს. ბუნებრივია, ჩვენებურები ფავორიტთა შორის არ ყოფილან.

პირველი ჩამოსრიალების შემდეგ 60-მა საუკეთესომ ბრძოლა მედლებისთვის გააგრძელა. სასიხარულოა, რომ მათ შორის ორივე ქართველი მოხვდა, **იასონ აბრამაშვილიც** (1:05,97 წთ) და **ალექსი ბენიაიძეც** (1:08,27). მეორე ცდაზე მათ დაახლოებით ერთნაირი შედეგი აჩვენეს. საბოლოოდ, იასონ აბრამაშვილმა 2:18,55 წუთი შედეგით 46-ე ადგილი დაიკავა, ხოლო ალექსი ბენიაიძემ (2:20,92) - 49-ე.

მსოფლიოს ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში 2 წელიწადში ერთხელ იმართება. იასონ აბრამაშვილმა პირველად ბორმიოში (იტალია) 2005 წელს, 17 წლის ასაკში იასპარეზა. მისთვის სადებიუტო ტურნირში ქართველმა გიგანტურ სლალომში 46-ე ადგილი დაიკავა. ორი წლის შემდეგ არეში მან საკვალიფიკაციოში 28-ე ადგილი დაიკავა და ფინალში ვერ გავიდა. ასე რომ, მისთვის რიგით მეოთხე მსოფლიოს ჩემპიონატზე იასონმა თავისი საუკეთესო მიღწევა გაიმეორა. 19 წლის ბენიაიძისთვის ეს მსოფლიოს მეორე ჩემპიონატია, ორი წლის წინათ ვალ დ'იზერში (საფრანგეთი) მას მეორე საკვალიფიკაციო ცდაზე დისკვალიფიკაცია მისცეს. ასე რომ, გერმანიაში ალექსიმ საუკეთესო შედეგი აჩვენა.

დღეს გარმიშ-პარტენკირხენში ქალთა სლალომია, სადაც **ნინო წიკლაური** მონაწილეობს, ხვალ კი მსოფლიოს ჩემპიონატი ვაჟთა სლალომით დაიხურება, სადაც იასონისა და ალექსის გარდა, **დიმიტრი გედევანიშვილი** და **კოტე ვახტანგიშვილი** გამოვლენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**88 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს სპორტის ფსიქოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ვეტერანი ტანმოვარჯიშე, უმაღლესი კატეგორიის მსაჯი, საქართველოს სპორტის აკადემიის პროფესორი**



**გივი დვალი**

ღვაწლმოსილი პედაგოგი და სპორტის მუშაკი 25 წელიწადი იყო სპორტის აკადემიის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კათედრის გამგე. ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. დაწერა 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი, სამი მონოგრაფია და ოთხი სახელმძღვანელო, მონაწილეობდა საერთაშორისო ფორუმებში. მისი შრომები თარგმნილია რამდენიმე ენაზე. 80-იან წლებში ხელმძღვანელობდა ოლიმპიური ნაკრები გუნდების ფსიქოლოგიური მომზადების ჯგუფს, ფსიქოლოგად მუშაობდა „დინამოს" საფეხბურთო გუნდში.

**პანაშვიდი:** 19.02; დაკრძალვა 20.02; მისამართი: ქავთარაძის, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო და ევრობასკეტი — დარჩა 193 დღე

# გრინი, ელისი თუ...

## ვინ ითამაშებს ნაკრებში?

17 თებერვალს „ოლიმპია"-"მაქაბის" საევროლიგო შეხვედრაში ფარქვეშ საუკეთესო **გიორგი შერმადინი** იყო, ხოლო პერიმეტრზე - **ჯერემი პარგო** („მაქაბი"). სწორედ პარგოს თამაშის შემყურეს გამახსენდა, რომ შარშან საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა კალათბურთელმა მკითხა: **ტაირონ ელისის** ნაცვლად მართლა პარგო ჩამოყავთო? ფედერაციაში ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს, ზაფხულის დადგომასთან ერთად კი გაცხადდა, რომ 2010 წლის შესარჩევში **იგორ კოკოშკოვის** კრებულს **ტორინ გრინი** დაეხმარებოდა. დაეხმარა კიდეც, თუმცა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შემდეგ ბევრი ალაპარაკდა, გაცილებით ძლიერი უკანახაზელი გვჭირდებაო. მაინც როგორი? პასუხი ერთმა ვეტერანმა კალათბურთელმა გაგვცა: ფიზიკურად ძლიერი, მეტოქის კალათისკენ სავალ გზაზე ყველაფერს რომ ქელავდეს, თან გუნდზე თამაშიც ეხერხებოდეს. დაახლოებით ისეთი, როგორიც **შემონდ უილიამსი** იყოო.

*ამბობს, რადგან ახალი ამერიკელის ნატურალიზებამ შეიძლება სასურველი შედეგი არ მოგვცეს. საკითხავია, იგი როგორ შეეწყობა გუნდს, აქაურობას. ევროპის ჩემპიონატის წინ კი ასეთი ცვლილების განხორციელება შეიძლება მიზანშეუწონელი იყოს.*

როგორც ვხედავთ, იგორ კოკოშკოვი ტორინ გრინის შემცვლელის ძიებას არ აპირებს. თუ შემონდ უილიამსის მაგალითს გავითვალისწინებთ, ევროპის ჩემპიონატის წინ უცხო კაცის დამატება, შესაძლოა, მართლაც არ იყოს სასარგებლო. შემონდის მაგალითიდანაც ნათელია: რაც უფრო მაღალი კლასისაა კალათბურთელი, მით მეტი თავისებური პრინციპი აქვს და ლიდერობის პრეტენზიაც გააჩნია, ქართველებს კი ლიდერობა არანაკლებ გვიყვარს...

თუნდაც აქედან გამომდინარე, ტორინ გრინი საქართველოს ნაკრებისთვის შესაფერისი ვარიანტია: შედარებით ახალგაზრდაა (25 წლის), კლუბში („გრან კანარია") ერთპიროვნული ლიდერი არ არის, საშუალოდ 24 წუთს თამაშობს. ასე მეტოქის ნახევარზე გადაიტანა და შორი მანძილიდან ზუსტი ტყორცნით თამაში მოიგო. მეორე დასამახსოვრებელი ეპიზოდი ბულგარეთის ნაკრებთან სტუმრად გამართული შეხვედრის ბოლო წუთები იყო: მწვრთნელის დავალებით ბურთს გრინი აკონტროლებდა, მეტოქეები ჯარიმდებოდნენ და ტორინიც უშეცდომოდ ისროდა. ზემოთ მოყვანილ ორივე ეპიზოდში იგი გამთამაშებელი იყო. დაგვანახვა, რომ ამ პოზიციაზე უფრო სასარგებლოა, ვიდრე მსროლელად. თუმცა, თავდახრილი ასრულებდა მწვრთნელის დავალებებს.

როგორც ვთქვით, სასტარტო პლეიმეიქერი გიორგი ცინცაძე იყო, რომელსაც ტრავმამ და საკლუბო სათამაშო პრაქტიკის არქონამ 2010 წლის შესარჩევ ტურნირში სათანადოდ თამაშში ხელი შეუშალა. იგორ კოკოშკოვს ახსოვდა „ბუს" მიერ ჩატარებული 2008-09 წლების მატჩები და იმედი ჰქონდა, რომ 2010-შიც გაიხსნებოდა...

როგორი იქნება საქართველოს ნაკრების უკანა ხაზი ლიტვაში გასამართ ევრობასკეტზე, ჯერ ძნელი სათქმელია.



ტორინ გრინი (21)



ტაირონ ელისი (21)

მაქაბელი პარგოც სწორედ ასეთია - ღონიერია, ბურთსაც მშვენივრად ათამაშებს და მეტოქის ფარისკენ თუ დაიძრა, მისი ჯარიმით შეჩერებაც კი შეუძლებელია. ხუთშაბათს, „მაქაბიმ" მას შემდეგ ჩამოიტოვა მასპინძელი „ოლიმპია", რაც ჯერემი პარგომ სისწრაფეს უმატა და თამაში საკუთარ თავზე აიღო.

გრინის ნაცვლად პარგო, როგორია? ერთი შეხედვით ურიგო ვარიანტი არ არის, მაგრამ მხოლოდ სათქმელადაა იოლი. საკითხავია, აპირებს კი საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ახალი ამერიკელის დამატებას? ან, რატომ მაინცდამაინც პარგო? აქ უნდა დავამუხრუჭო, რადგან აშკარად ევროლიგური მატჩის შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. ჯერ გავარკვიოთ, სჭირდება თუ არა იგორ კოკოშკოვს ახალი უცხოელი. ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** აღნიშნა:

*- ამ საკითხთან დაკავშირებით იგორს ჩვენი ვარიანტები შევთავაზეთ. დაისვა კითხვა ტორინ გრინის შესახებაც. მაგრამ მწვრთნელი მასზე უარს არ*

რომ, არც საქართველოს ნაკრებში ჩამოვა გადამეტებული პრეტენზიებით. თუმცა, კლასი ნამდვილად არ დაეწუნება: დეკემბერში იგი კანარელთა გმირად იქცა - ბოლო წამებზე ჩაგდებული სამქულიანით მადრიდის „რეალი" დაამარცხა.

გრინთან ინტერვიუ ბელარუსთან ამხანაგური მატჩის შემდეგ ჩავწერე (2010 წლის ივლისში) და უბრალო ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. როგორც ჩანს, სანაკრებოდ ამერიკელთა შერჩევისას კოკოშკოვისთვის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი პიროვნული თვისებები იყო. როცა პრეტენზიებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გრინს სიტყვაც არ დასცდენია, როცა მწვრთნელი ნაკრებში მსროლელად ათამაშებდა. არადა, იგი ფლორიდის კოლეჯშიც (**ელ ჰორფორდთან** და **იოაკიმ ნოასთან** ერთად სასტარტოში თამაშობდა) გამთამაშებელი იყო, „სარაგოსაშიც" და აეკ-შიც. მწვრთნელი ხუთეულში, პლეიმეიქერად **გიორგი ცინცაძეს** ათამაშებდა, მსროლელად - გრინს... აბა, გავიხსენოთ საუკეთესო ორი მომენტი გრინის მონაწილეობით: უკრაინასთან ამხანაგურ მატჩში ბოლო წამებზე ბურთი ყველაფერი დამოკიდებული იქნება, ვინ როგორ კონდიციებში შეხვდება 31 აგვისტოს.

ამას წინათ, ინტერვიუში ვეტერანმა **გივი ბიჭიაშვილმა** თქვა: ნაკრებში მსროლელების დეფიციტია, კარგი სნაიპერი მხოლოდ **მანუჩარ მარკოიშვილიაო**... გრინი მსროლელის პოზიციაზე თამაშობდა, მაგრამ ტაირონ ელისისა და მანუჩარ მარკოიშვილისგან განსხვავებით, მიჯრით ორი-სამი სამქულიანი არ ჩაუგდია. ალბათ იმიტომ, რომ გრინი ამპლუით გამთამაშებელია.

დაკვირვებული მკითხველი წინა აბზაციდან ერთ გვარს მოინიშნავდა - ტაირონ ელისი. ...და გაიკვირვებდა: თუ მსროლელი გვჭირდება, მაშ, გრინის ნაცვლად ევროპის ჩემპიონატზე ელისი რატომ არ მიგვყავსო?!

მით უმეტეს, რომ ტაირონი საქართველოს ნაკრებში 4 წელიწადი თამაშობდა და 2009 წელს ქართველობაც დაიჩემა. მეტსაც გეტყვით: ელისს დღემდე ხშირი მიმოწერა აქვს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან და ლიადაც აფიქსირებს: მზად ვარ ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდო. ოთხი წლის განმავლობაში ნაკრებსაც ძალიან დაეხმარა და ქართველ ქომაგსაც შეაყვარა თავი. ევრობასკეტი არ ეკუთვნის?

...ეკუთვნის, მაგრამ გრინის ტიპის კალათბურთელიც რომ გვჭირდება?! გრინი თუ ელისი? ელისი თუ გრინი? „ორივენიცა"! - ესეც გამოსავალი.

*- არ არის გამორიცხული, მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა ლიტვაში ტორინ გრინიც იახლოს და ტაირონ ელისიც. რადგან ამა თუ იმ მატჩის განაცხადში მხოლოდ ერთი ნატურალიზებულის შეყვანა შეიძლება, მწვრთნელი თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვეტს - რომელ მატჩში რომელი ამერიკელიც დასჭირდება, იმას ათამაშებს,* - ეს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა გვითხრა.

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ევრობასკეტზე თითოეული ნაკრების მწვრთნელს 14 კალათბურთელის წაყვანის უფლება აქვს. მათგან ყოველი მატჩის წინ 12 კაცი უნდა შეარჩიოს.

**ვლადიმერ ბოისას** მოედანზე დაბრუნების შემდეგ **ქუინტონ ჰოსლის** ნაკრებში გამოძახებაზე ლაპარაკიც არ არის, თუმცა, თუ მწვრთნელს დასჭირდა, ჰოსლიც ჩამოვა, ამას კონტრაქტი ავალდებულებს.

ინტერვიუ გიორგი შერმადინთან

## ტოპებში



ევროლიგაზე „მაქაბისთან" მატჩში **გიორგი შერმადინმა** 23 წუთში 13 ქულა, 7 მოხსნა და 3 დაფარება მიითვალა. მან მეტოქეებს წესები 5-ჯერ დაარღვევინა, ხოლო მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით საუკეთესო ოლიმპიელი იყო.

გიორგის კარგი თამაში არ გამოპარვიათ ევროლიგის ექსპერტებს და ამ შეჯიბრების ოფიციალურ საიტზე ტოპ-კალათბურთელთა ჩამონათვალში ქართული გვარიც მოხვდა.

ტურის MVP „პანათინაიკოსის" ფორვარდი **ანტონის ფოცისი** გახდა, რომელმაც 22 ქულა, 11 მოხსნა მოაგროვა და „მწვანეებს" „კაჰა ლაბორალი" დაამარცხებინა. ფოცისის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 40-ს მიაღწია. ამ მაჩვენებლით მეორე იყო მაქაბელი **ჯერემი პარგო** - 28. მან „ოლიმპიას" ძლევაში 16-ქულიანი (7 პასი) წვლილი შეიტანა. შემდეგ ჩამოთვლილია სხვადასხვა კომპონენტში საუკეთესონი. გიორგი შერმადინს ტოპ-16-ში საშუალოდ ყველაზე მეტი დაფარება აქვს - საშუალოდ 2.3. ამ კომპონენტში მეორეა ნესტეროვიჩი - 1.8.

გუშინ გიორგის სლოვენიაში ველაპარაკეთ.

**- „მაქაბისთან" წაგებით პლეი ოფში გასვლის შანსი დაკარგეთ...**

- გული ძალიან დამწყდა. არადა, პირველი ტაიმი კარგად ჩავატარეთ. ასევე რომ გაგვეგრძელებინა, გავიმარჯვებდით კიდეც, მაგრამ მეორე ტაიმი მაქაბელებმა კარგად დაიწყეს, არაერთი ბურთი ჩაჭრეს და რაც პირველ ტაიმში სამქულიანები გააცუდეს, მეორეში აინაზღაურეს.

**- მატჩის ბედი, ფაქტობრივად „მაქაბის" ამერიკელებმა ინდივიდუალური მოქმედებებით გადაწყვიტეს...**

- პარგომ და პერკინსმა გადამწყვეტ მომენტში არაერთი ბურთი ჩაგვიგდეს, ჩვენ კი სათანადოდ ვერ ვუპასუხეთ. სამქულიანი ტყორცნა არც ოუბოლტს წაუვიდა, არც ილიევსკის, არც იაგოდნიკს.

**- სწორედ მაშინ შენკენ რამდენიმე პასი წამოვიდა. ეს იურე ზდოვჩმა დაავალა?**

- მწვრთნელმა უთხრა, ჰენდრიქსს ჩვენი ცენტრის წინააღმდეგ უჭირს და ბურთი სამწამიან ზონაში ჩაუგდეთო. ამიტომაც მივიღე რამდენიმე პასი, თუმცა საერთო საქმეს ვერც ამან უშველა.

**- ერთ ეპიზოდში შენთან ჭიდილში „მაქაბის" გოლიათმა სოფოკლის შორციანიტისმა ტრავმა მიიღო...**

- ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო - ის კორპუსით მომაწვა, გავიწიე და უხერხულად დაეცა. მატჩის შემდეგ ვკითხე - ხომ კარგად ხარ-მეთქი. სერიოზული არაფერიაო.

**- მოედანზე ჩვეულად ვერ გადაადგილდებოდი. ფეხი გაწუხებს?**

- „შიროკისთან" ადრიატიკის ლიგის მატჩზე ბურთის ჩატენვისას მოწინააღმდეგე უხეშად დამეჯახა, სარეკლამო აბრას შევასკდი და ბარძაყსზემოთა კუნთი დავიზიანე. თავიდან ყურადღება არ მივაქციე, თუმცა ტკივილი ნელ-ნელა მომემატა და ახლა გადაადგილებაც მიჭირს. დღეს არ მივარჯიშია. ალბათ, შაბათს „ცედევიტასთან" გასამართ მატჩს გამოვტოვებ.

სუპერლიგა. მე-14 ტური

18 თებერვალი. რუსთავი

ენერჯი–სოხუმი 55:73

10:21, 27:16, 11:9, 7:27

**ენერჯი:** მაჭავარიანი (15ქ), გ. ბერუაშვილი, აბაიშვილი (10ქ) გუგავა (5ქ), ხმელიძე (8ქ), ლამუ (15ქ, 11მ), თვარაძე, არაბული (2ქ).

**სოხუმი:** ფარლალავა (19ქ), ჰარისი (20ქ), ჩლაიძე (1ქ), კვეტენაძე (3ქ), შანიძე (7ქ), სორდია (5ქ), კანკია, კ. დამუსი (8ქ, 9მ), რ. დამუსი (10ქ, 15მ)

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

**კომისარი:** გ. სანაძე

სპორტის სასახლე

19 თებერვალი

| | |
|---|---|
| შსს – ბათუმი | 12:00 |
| თსუ – თსსუ | 14:00 |
| სსაუ – დინამო | 16:00 |
| არმია – სტუ | 18:00 |

ხელი ხელსა

# 160 000 ნატახტარისგან

გუშინ სპორტის სამინისტროში მნიშვნელოვანი ხელშეკრულება გაფორმდა - კომპანია „ნატახტარი" კალათბურთის ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორი გახდა. კარგად მახსოვს, შარშან სანაკრებოდ სპონსორების მოძიება ძალიან რთული საქმე იყო. წლეულს მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა და ეროვნულმა გუნდმაც ძლიერი პარტნიორი შეიძინა. თავის მხრივ, „ნატახტარიც" მოგებული უნდა დარჩეს, რადგან საკმაოდ წარმატებულ „პროდუქტზე" დადო „ფსონი" - საქართველოს ნაკრები ხომ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი გუნდია.

„ნატახტარის" კალათბურთში შესვლასთან დაკავშირებით სპორტის სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მინისტრის მოადგილე **დავით ნამგალაურმა** გახსნა:

*- საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ლოგიკურიც იყო, რომ ამ წარმატებას სერიოზული კომპანია გამოეხმაურა. „ნატახტარი" ფეხბურთისა და რაგბის ნაკრებების სპონსორია და დღეიდან ამ ნუსხას კალათბურთელთა ეროვნული გუნდიც დაემატა.*

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** დასძინა:

*- მოხარულები ვართ, რომ „ნატახტარი" ჩვენს ნაკრებსაც ამოუდგა მხარში. იგი გუნდის გენერალური სპონსორი იქნება. სახელმწიფო ყოველმხრივ გვერდში გვიდგას, შეკრებების მოწყობაშიც გვეხმარება და სხვა საკითხებშიც, თუმცა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება და იქ გამოსვლა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და „ნატახტართან" პარტნიორობა ძალიან მნიშვნელოვანია.*



კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის მენეჯერმა **თორნიკე ნიკოლაიშვილმა** აღნიშნა:

*- 2008 წელს „ნატახტარი" ფეხბურთის ნაკრების სპონსორი გახდა, 2009-ში - რაგბის ნაკრების, დღეიდან კი კალათბურთელებსაც ამოვუდექით მხარში: ნაკრების სპონსორი „ნატახტარი ქარვა" იქნება და იმედი მაქვს, ევროპის ჩემპიონატზე ერთად ვიზეიმებთ წარმატებებს. გათვლილი გვაქვს ბონუსების სისტემა, ხოლო წლეულს ჩვენი კომპანია ფედერაციას 160 ათას ლარს გადასცემს.*

- „ნატახტარის" გამოჩენა ჩვენთვის, კალათბურთელებისთვის დიდი სტიმულია. ვეცდებით, ამ კომპანიასაც და გულშემატკივარსაც იმედები გავუმართლოთ - თქვა საქართველოს ნაკრების წევრმა **ანატოლი ბოისამ**.

პრესკონფერენციის აკორდი სამწლიან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა იყო.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## ● ცნობილთა ბავშვობა

### არიენ რობენი



**არიენ რობენს** უამრავი ფანი ჰყავს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. დღეს იგი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება და იცავს მიუნხენის „ბაიერნის" ღირსებას.

დაიბადა 1984 წლის 23 იანვარს ჰოლანდიის პატარა ქალაქ ბედუმში. ფეხბურთს ბავშვობიდან დაუკავშირდა. ფიზიკურად სუსტი იყო (დღემდე რჩება ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ტრავმირებად ფეხბურთელად). თავიდან სპეციალურ სავარჯიშო დარბაზში მეცადინეობდა **ვილ კურვერის** ხელმძღვანელობით. არიენს გააჩნდა ბრწყინვალე უნარი ბურთის ფლობისა და ორივე ფეხით ჩინებულად მუშაობდა. მალევე ჩაირიცხა თავის პირველ კლუბ „გრონინგემში", სადაც 1999-2000 წლებში ითამაშა და 2 გოლიც გაიტანა. 2001-2002 წლებში უკვე 28 მატჩი ჩაატარა და ექვსი გოლიც შეაგდო. მერე გადავიდა პსვ-ში (33 თამაში12 გოლი). ასე დაიწყო მისი დიადი წარმატებების ეპოქაც დიდ ფეხბურთში.

მოამზადა
**გიორგი ფულარიანმა**




**1984 წელი.
ლოს ანჯელესი (აშშ).
XXIII ოლიმპიური თამაშების
აფიშა და მედალი**

## ● თარიღი. 19 - 25 თებერვალი

**19.02. 1928 წ.** სანკტ-მორიცში (შვეიცარია) დაიხურა ზამთრის II ოლიმპიური თამაშები.

**19.02. 1984 წ.** სარაევო (იუგოსლავია). დაიხურა ზამთრის XIV ოლიმპიური თამაშები.

**19.02. 1954 წ.** დაიბადა **სოკრატესი**-ფეხბურთი (ბრაზილია).

**20.02. 1940 წ.** დაიბადა ჯიმი **გრივსი**-ფეხბურთი (ინგლისი).

**21.02. 1949 წ.** დაიბადა **ჰელსტრიომი** — ფეხბურთი, მეკარე (გერმანია)

**22.02. 1991 წ.** „მანჩესტერ იუნაიტედმა" დააზლვია გუნდის გულშემატკივართა კლუბის ყველა 50 ათასი წევრი.

**23.02. 1992 წ.** ალბერვილი (საფრანგეთი). დაიხურა ზამთრის XVI ოლიმპიური თამაშები.

**23.02. 1958 წ.** ჰავანაში ფიდელ კასტროს მეამბოხეებმა გაიტაცეს მსოფლიოს ჩემპიონი „ფორმულა-1"-ში **მანუელ ფანხიო** და 28 საათის შემდეგ გაათავისუფლეს.

**24.02. 1980 წ.** ლეიკ-პლესიდი (აშშ). დაიხურა ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები.

**25.02. 1952 წ.** ოსლოში (ნორვეგია) დაიხურა ზამთრის VI ოლიმპიური თამაშები.

**25.02. 1951 წ.** ბუენოს-აირესში საზეიმოდ გაიხსნა პირველი პანამერიკული თამაშები.

## ● ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

**1. თავდაპირველად რაგბის თამაში შეიძლებოდა მხოლოდ:**

ა – ფეხით
ბ – ხელით
გ – ხელითაც და ფეხითაც

**2. რომელ წელს აიკრძალა საბოლოოდ ფეხბურთში ხელით თამაში?**

ა – 1869 წელს
ბ – 1872 წელს
გ – 1879 წელს

**3. ფეხბურთის ისტორიაში პირველს ვის უბოძა ბრიტანეთის დედოფალმა რაინდის წოდება?**

ა – ბობი ჩარლტონს
ბ – სტენლი მეტიუზს
გ – ბობი მურს

**4. ჩატარდა თუ არა რიგგარეშე ოლიმპიური თამაშები?**

ა – დიახ, ჩატარდა
ბ – არ ჩატარებულა
გ – ჩატარდა 1906 წელს, მაგრამ არ აღიარეს.

**5. ვის ეკუთვნის სიტყვები „მე უდიდესი ვარ"?**

ა – პელე
ბ – კასიუს კლეის
გ – ბობი ბიმონს

პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-ბ, 4-გ, 5-ბ

## ● ვინ რა თქვა

„ჩემზე რაც ვთქვა, ყველას ქრისტეც კი არ მოსწონს. არის ხალხი, რომელიც გამარჯვების შემდეგ ზეიმობს. მე ამისათვის დრო არ მრჩება. გადმოდი ჩემს გუნდში და არასოდეს იქნები მეორე. მე ფეხბურთის ფილოსოფიის შეცვლა მინდა. მსოფლიოში სხვა ასეთი მწვრთნელი არ არსებობს. „ჩელსი" პირველი ინგლისური გუნდია, ვინც 4-3-3 ტაქტიკით ითამაშა. ამ სქემას „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „არსენალმა" მერე მიმართეს. ესე იგი, ტაქტიკაცა და საწვრთნელი მეთოდებიც ინგლისში ჩემი გამოჩენის შემდეგ შეიცვალა".

**ჟოზე მოურინიო**

მოგვაწოდა **გიორგი ფულარიანმა**

## ● იყო ასეთი შემთხვევა...

1947 წლის 17 მარტს „ბარსა"-„ლეჩეს" საფეხბურთო მატჩის მსვლელობისას მაყურებელთა შორის დიდი არეულობა გამოიწვია საკამათო გოლმა. ვითარება ისე დაიძაბა, რომ პოლიციამ ხალხში ისროლა. დაიღუპა 15 ადამიანი, მათ შორის 7 პოლიციელი იყო. მსაჯმა, რომელიც ამ აურზაურის მიზეზი გახდა, კაბინაში დამალვით უშველა თავს.

## ● პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** ველორბოლა ტრეკზე მოეწყო 1868 წელს ინგლისში იპოდრომის მსგავს ოვალურ მინდორზე. სპორტის ეს სახეობა ფართოდ გავრცელდა ევროპაში, ამერიკაში, ავსტრალიაში.

**პირველმა** ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში 100 მეტრიანი ზღვარი გადალახა ავსტრიელმა **ზეპ ბრადლმა** 1936 წლის 15 მარტს.

**პირველად** საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) ოლიმპიური თამაშების უვადოდ გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო 1940 წლის 6 მაისს, მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით. თამაშების განახლების შესახებ კი სოკ-მა მსოფლიოს აუწყა 1946 წლის 4 აგვისტოს.

## ● საინტერესო ამბები

**მესოპოტამიაში** ნაპოვნია ტელ-აჰრაბის სპილენძის კვადრიგა. ეს არის დღემდე ცნობილი უძველესი პლასტიკური გამოსახულება სარბოლო ეტლისა, რომელშიც შებმულია ონაგრები (გარეული ვირები).

**ეგვიპტეში** ბენი ჰასანის სამარხებში აღმოჩენილია ძვ. წ. 2600 წლის წინანდელი კედლის მხატვრობის პირველი ნიმუშები ნადირობის სცენებით, გოგონებისა და ბიჭების ბურთაობა, ცეკვა, ჭიდაობა, კრივი, რბენა, ფარიკაობა, ვარჯიში წონასწორობის დაცვაში.

**დაახლოებით 2500 წელს** (ძვ. წ.) განეკუთვნება მესოპოტომიაში მიკვლეული სპილენძის სკულპტურა — ორი მოჭიდავე, რომლებსაც თავზე მოზრდილი ლარნაკები ადგათ.

**მოჭიდავეთა** ბრინჯაოს ფიგურები და მოცურავეთა რელიეფური გამოსახულებებია აღმოჩენილი დაახლოებით 2400 (ძვ. წ.) წლის წინანდელ სარგონ აქადელის დიდი სემიტური სამეფოს ტერიტორიაზე.

## ● ლვთისავარ ანთაძის კუთხე

### ფეხბურთი ახლო ხედით

# მოთამაშეთა ტრავმები

ფეხბურთელს, რომელიც მსუბუქად დაშავდა, დახმარება უნდა აღმოუჩინონ სათამაშო მოედნის გარეთ. ამიტომ მსაჯი ხშირად არ შეაჩერებს თამაშს, ხოლო ტრავმირებულ ფეხბურთელს ანიშნებს, რომ დაუყოვნებლივ გავიდეს სათამაშო მოედნიდან.



თუ ფეხბურთელი სერიოზულად დაშავდა, მსაჯი თამაშს შეაჩერებს და დაუყოვნებლივ ანიშნებს, რომ მოედანზე შემოვიდეს ექიმი ან სამედიცინო სამსახურის მუშაკი, თუ აუცილებლობა მოითხოვს — სანიტრები საკაცით. ისინი ვალდებულნი არიან ტრავმირებული ფეხბურთელი შეუფერხებლად სათამაშო მოედნის გარეთ გაიყვანონ სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. მსაჯი თამაშს აგრძელებს, როგორც კი ყველა ის პირი, ვინც თამაშში არ მონაწილეობს, დატოვებს სათამაშო მოედანს. ამ შემთხვევით გამოწვეულ გაცდენილ დროს მსაჯი დაუმატებს შესაბისად მატჩის პირველ ან მეორე ნახევარს.

თუკი მოედანზე დაშავებული მოთამაშე წევს, მაგრამ მსაჯი თვლის, რომ ის წესების დარღვევით არ არის გამოწვეული, შეუძლია მატჩი მაშინვე არ შეაჩეროს, დაელოდოს მომენტის დამთავრებას და მხოლოდ შემდეგ შეაჩერებს თამაშს. ტრავმირებული მოთამაშეების გვარისა და დაზიანების სახეობის აღნიშვნა ხდება მატჩის ოქმში და გადაეცემა გუნდის კაპიტანს ხელმოსაწერად, ხოლო თუკი დაშავებულ ფეხბურთელს დახმარება აღმოუჩინა ექიმმა, მაშინ კაპიტნის ხელმოწერა საჭირო არ არის.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ლეგენდარული ლატვიელი კალათბურთელი; 4. "ბარსელონასა" და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი; 8. გამოჩენილი კანადელი ჰოკეისტი; 10. მსოფლიოს 2010 წლის საუკეთესო მძლეოსანი ქალი; 12. გერმანიის "ვერდერისა" და ბრაზილიის ნაკრების მცველი; 13. გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო; 14. ლეგენდარული შვედი მოთხილამურე; 16. ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ესპანური ფეხბურთის ისტორიაში; 18. "არსენალის" მცველი; 21. "რეალ სარაგოსას" და სერბეთის ნაკრების მცველი; 22. "ტოტენჰემის" თავდამსხმელი; 24. საბჭოთა ფეხბურთელი, მოსკოვის ცსკა-ს მცველი; 27. იტალიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი; 28. მსოფლიოს მესამე ჩოგანი მამაკაცთა შორის; 29. ქართული სპორტული გაზეთი; 30. "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი; 31. ჰოლანდიელი მწვრთნელი, "ტოტალური ფეხბურთის" მამამთავარი.

**შვეულად:** 1. ლეგენდარული იტალიელი საფეხბურთო მსაჯი; 2. ჩოგბურთის უძველესი და ყველაზე პრესტიჟული ტურნირი; 3. კიევის "დინამოს" მეკარე; 5. სათხილამურო სპორტის სახეობა; 6. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი; 7. მადრიდის "რეალის" თავდამსხმელი; 9. "ინტერისა" და კამერუნის ნაკრების თავდამსხმელი; 11. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 15. ლეგენდარული ამერიკელი სიგრძეზე მხტომელი; 17. "რეალ სოსიედადის" ჩილელი მეკარე; 18. ყოფილი ესპანელი ფეხბურთელი და მწვრთნელი; 19. პარაგვაის საფეხბურთო ნაკრების მეკარე; 20. იტალიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი; 23. ლეგენდარული უელსელი ფეხბურთელი; 25. ბოლნისის საფეხბურთო კლუბი; 26. ... ილიადისი, იგივე ჯარჯი ზვიადაური.

პასუხები მომდევნო ნომერში

შეადგინა ლალი ქიქინაძემ

## ● თავსატეხი „ანთა"

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

*შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.*

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | | | | | | | | 5-1 | 6 | I |
| B | | ■ | | | | | | | 5-1 | 6 | II |
| C | | | ■ | | | | | | 3-2 | 6 | III |
| D | | | | ■ | | | | | 1-10 | 0 | IV |

### წინა ამოცანის პასუხი

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | 1:0 | 1:0 | 1:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 3-0 | 9 | I |
| B | 0:1 | ■ | 3:1 | 1:0 | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 | II |
| C | 0:1 | 1:3 | ■ | 0:0 | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 | III |
| D | 0:1 | 0:1 | 0:0 | ■ | 3 | 0 | 1 | 2 | 0-2 | 1 | IV |

გვერდი მომზადებულია **თენგიზ თომაშვილის** პროექტით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# პლეი ოფისთვის ბრძოლა მწვავდება


ბურთით ბექა შეყლაშვილი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის დასრულებამდე შვიდი ტური დარჩა. ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან ოთხი მოწინავეთა შორისაა და პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის, სულ კი მედლებისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი ერთბაშად ათ გუნდს აქვს. ორი „ქართული გუნდი" სახიფათო ზონაში იმყოფება და თავდაუზოგავად ცდილობს ელიტაში ადგილის შენარჩუნებას.

მე-19 ტური **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივის" საშინაო მატჩით გაიხსნება. ჩვენებურთა გუნდის მეტოქე ფრანგული რაგბის ერთ-ერთი გრანდი, პარიზული „სტად ფრანსე" იქნება. ბრიველებს ძალიან ცუდი სატურნირო მდგომარეობა აქვთ. ისინი 27 ქულით ბოლოსწინა ადგილზე არიან და ელიტური დივიზიონიდან გავარდნა ემუქრებათ.

არადა, „ბრივმა" სეზონი შესანიშნავად დაიწყო და პირველ წრეში „სტად ფრანსეს" სტუმრად 29:27 მოუგო. მერე გუნდში რაღაც მოიშალა და ბოლო 12 მატჩში მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა. ჩვენებურთა გუნდმა ეს ერთადერთი წარმატება საფრანგეთის ჩემპიონ „კლერმონთან" იზეიმა, რაც ბრიველთა დიდი პოტენციალის დამადასტურებელია.

„სტად ფრანსეს" დიდი ხანია, პრობლემები აქვს, მაგრამ დივიზიონიდან გავარდნა არ ემუქრება. ბოლო ხუთ ტურში, პარიზელებმა მხოლოდ ერთხელ წააგეს, ყველაზე შთამბეჭდავ გამარჯვებას კი ბასკურ „ბიარიცთან" მიაღწიეს.

ჩვენებურთა გუნდის მეტოქეს დააკლდება ახლახან 20 დღით დისკვალიფიცირებული მგეზავი **ლიონელ ბოქსი.** სადისციპლინო კომიტეტმა 30 დღით აუკრძალა გუნდის ხელმძღვანელობა პარიზელთა ავსტრალიელ მწვრთნელ **მაიკლ ჩეიკას.** „ბრივი" წამყვანი მოთამაშეების, ტრავმირებული **ალექსის პალისონისა** და **ფაბრის ესტებანესის** გარეშე ითამაშებს.

ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იქნება, კაკოვინი, რომელსაც მიკროტრავმა აწუხებს, სათადარიგოთა შორის დაიკავებს ადგილს.

planetrugby-ს პროგნოზით, „სტად ფრანსე" მინიმალური სხვაობით მოიგებს.

ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან ყველაზე კარგი სატურნირო მდგომარეობა **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს" აქვს, რომელიც 52 ქულით მესამე ადგილზეა. მონპელიელები მე-19 ტურში სტუმრად ეთამაშებიან **აქვსენტი გიორგაძისა ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს".

„მონპელიემ" წინა მე-18 ტურში შინ დაამარცხა ქვეყნის ჩემპიონი „კლერმონი", რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი ლიდერთა მარაქაში გარევა შემთხვევითობა არაა. „ვულკანების" წინააღმდეგ ბრწყინვალედ ითამაშა შუამარბმა **სანტიაგო ფერნანდესმა,** რომელმაც ეროვნულ ნაკრებში მივლინებული მგეზავის, **ფრანსუა ტრინ-დუკის** პოზიცია დაიკავა.

პირველ წრეში „მონპელიემ" შინ 23:12 მოიგო და ამჯერადაც ყველაფერს ილონებს, რათა ლიდერებში ადგილი დაიმკვიდროს. გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში მამუკა გორგოძე და გიორგი ჟღენტი არიან დასახელებული. შველიძე, ჩხაიძე და ნარიაშვილი განაცხადში არ არიან.

„კასტრს", რომელიც 47 ქულით მე-8 ადგილზეა პლეი ოფში გასვლის ამბიცია აქვს. ამ გუნდის ყველაზე საშიში იარაღი ფულბეკი **რომენ ტულეა,** რომელიც ფეხჩუბინობით გამოირჩევა. კასტრელებმა წინა ტურში დიდი ბრძოლა გაიმართეს სტუმრად მეორეადგილოსან „მეტრო რასინგს", თუმცა მაინც დამარცხდნენ.

planetrugby-ს მიაჩნია, რომ „კასტრი" სულ მცირე სამი ქულით მოიგებს.

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" შინ ეთამაშება ბოლო ჟამს მოღონიერებულ ბასკურ „ბაიონს". ბასკებმა შარშანდელი წელიწადის ბოლოს ზედიზედ ხუთი მარცხის შემდეგ, შვიდი თამაშიდან ექვსი მოიგეს და 48 ქულით მე-6 ადგილზე არიან.

„ვულკანებს" ერთი ქულით მეტი აქვთ და მეტოქეს მხოლოდ ერთი საფეხურით უსწრებენ. თამაში ფიცხელი უნდა გამოდგეს. თუმცა სტუმართა გუნდს ხუთი წამყვანი მოთამაშე აკლია. ტრავმირებულები ჰყავს „კლერმონსაც" - **სიონე ლაუკის** ახლა **გევინ ვილიამსი** და **ტიი პაულოც** შეუერთდნენ.

წინა ტურში ზირაქაშვილი და კომპანია მონპელიეში დამარცხდნენ. თუმცა ტრავმირებულების გარდა იმ დღეს გუნდს საფრანგეთის ნაკრების წევრებიც აკლდნენ. **ტომას დომინგო, ჟულიენ პიერი, მორგან პარა და ორელიან რუჟერი** ამჯერად „ვულკანების" რიგებში არიან.

„კლერმონმა" პირველ წრეში სტუმრად 16:18 წააგო და რევანშის ასაღებად მზადაა.

planetrugby ფიქრობს, რომ მასპინძლები, მინიმუმ, რვა ქულით მოიგებენ.

**ბექა შეყლაშვილის** „აჟენი", რომელიც „ბრივის" მსგავსად დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონს" უმასპინძლებს. ტულონელებს 49 ქულა აქვთ და მე-4 ადგილზე არიან. მულტიმილიონერ **მურად ბურჯელალის** გუნდი ინგლისის ნაკრებიდან მობრუნებულმა **ჯონი ვილკინსონმა** გააძლიერა, ურომლისოდაც „ტულონი" აბსოლუტურად სხვა გუნდია.

თუმცა, ამასთან ერთად, ქუბრიაშვილს და კომპანიას „აჟენთან" მატჩში დააკლდება სამი ლიდერი - **ჯო ფანიკერკი, ფილიპე კონტეპომი** და **გევინ ჰენსონი.**

პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა „ტულონმა" დიდი ანგარიშით მოიგო - 41:10 და იმავეს გამეორებას ახლაც შეეცდება. შეყლაშვილი „აჟენის" სათადარიგოთა შორის იქნება. ქუბრიაშვილი „ტულონის" გაფართოებულ შემადგენლობაში იყო დასახელებული.

planetrugby-ს პროგნოზით, „ტულონს" ძალიან გაუჭირდება, თუმცა მინიმალური სხვაობით მაინც მოიგებს.

### XIX ტური

ბრივი-სტად ფრანსე, ბურგუენი-პერპინიანი, ლა როშელი-მეტრო რასინგი, კლერმონი-ბაიონი, კასტრი-მონპელიე, ტულუზი-ბიარიცი, აჟენი-ტულონი.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 60 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 53, 3. მონპელიე - 52, 4. ტულონი - 49, 5. კლერმონი - 49, 6. ბაიონი - 48, 7. ბიარიცი - 48, 8. კასტრი - 47, 9. სტად ფრანსე - 44, 10. პერპინიანი - 41, 11. ლა როშელი - 28, 12. აჟენი - 28, 13. ბრივი - 27, 14. ბურგუენი - 10.


უტევს გიორგი ჟღენტი

ერთა თასი



# ლისაბონში 25 ბორჯღალოსანი გაემგზავრება

საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების მორიგ მატჩს 26 თებერვალს სტუმრად გამართავს პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან. „ბორჯღალოსნები" მატჩისთვის მოსამზადებლად 21 თებერვალს ლისაბონში შეიკრიბებიან.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რიჩი დიქსონმა** 25 მორაგბეს უხმო. ამათგან შვიდი პირველხაზელია. თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ ითამაშებს ეროვნულ გუნდში „მონპელიეს" მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე.**

შეგახსენებთ, რომ „ლობუშები" საქართველოს ნაკრების მსგავსად ჯერაც დაუმარცხებელნი არიან. მათ ერთა თასისთვის ბრძოლაში ძირითადი კონკურენტების, რუმინეთისა და რუსეთის ნაკრებების დამარცხება შეძლეს. საქართველოს ნაკრებთან გამარჯვების შემთხვევაში, სავარაუდოდ, პორტუგალიელებს პირველობას ვერავინ შეეცილება.

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ვასილ კაკოვინი, დავით ხინჩაგიშვილი (ორივე-ბრივი), ანტონ ფეიქრიშვილი, აქვსენტი გიორგაძე (ორივე-კასტრი), გოდერძი შველიძე (მონპელიე), ირაკლი ნატრიაშვილი (სტიაუა).**

მეორე ხაზი: **ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი), ლევან დათუნაშვილი (ფიჟაკი), შალვა სუთიაშვილი (მასი).**

მესამე ხაზი: **გია ლაბაძე (სენ რაფაელი), მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე-მონპელიე), სიმონ მაისურაძე (ვილერბანი).**

N9: **ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (სტიაუა)**

N10: **მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე)**

N12-13: **დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია).**

N11-14: **ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი მაჩხანელი (მაკონი).**

N15: **ბესიკ ხამაშურიძე (აია), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი).**

ევროპის ჩემპიონატი, U-18

# შეკრება ალბიში ოშისთვის

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს, რომელიც 16-23 აპრილს საფრანგეთში გაიმართება.

„უმცროსი ბორჯღალოსნები", რომლებსაც **ლევან მგელაძე** და **დავით კაკაბაძე** წვრთნიან, დღეს საწვრთნელ შეკრებაზე საფრანგეთის ქალაქ ალბიში გაემგზავრნენ. ჩვენი გუნდი იქ 28 თებერვლამდე დარჩება და სამ საწვრთნელ შეხვედრას გამართავს. მათ შორის ერთს ელიტური, მეორე დივიზიონის ლიდერ „ალბის" თვრამეტწლამდელთა გუნდთან.

ჩვენები მეორე საწვრთნელ შეკრებაზე, საფრანგეთის ქალაქ ოშში, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე 12 დღით ადრე გაემგზავრებიან. 16 აპრილს, მეოთხედფინალში მეტოქე რუსეთის ნაკრები იქნება. გამარჯვების შემთხვევაში ელიტურ დივიზიონში მეექვსე ადგილზე გასულსა და პორტუგალიის ნაკრებს შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდებით.

ამათ გარდა ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ აგრეთვე ბელგიის, გერმანიის და რუმინეთის 18-წლამდელთა ნაკრებები.

ზე რაგბი

# დებიუტანტმა მშრალად წააგო

სამხრეთ ნახევარსფეროში საკლუბო რაგბიში ყველაზე პრესტიჟული ტურნირის, ზე რაგბის გათამაშება დაიწყო, რომელსაც აქამდე ზე 14 ერქვა. წლეულს შეჯიბრება შეცვლილი ფორმატით ჩატარდება. თოთხმეტ გუნდს ახალი, მეთხუთმეტე გუნდი „მელბურნ რებლზი" დაემატა. ისინი სამ ჯგუფში გაანაწილეს ტერიტორიული პრინციპით.

წლევანდელი ტურნირის პირველი მატჩი ველინგტონში გაიმართა, სადაც „ჰარიკეინზმა" დანიდინის „ჰაილენდერზს" უმასპინძლა და 9:14 წააგო. თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა. იმდენად, რომ ჰარიკეინზელთა ლიდერი, „ოლ ბლექსის" შუამარბი **მაა ნონუ** არბიტრმა 27-ე წუთზე ჯერ ათი წუთით გაასინბინა, ოც წუთში კი წითელი ბარათი უჩვენა.

სტუმართა გუნდიდან გამორჩეული იყო მგეზავი **ლიმა სოპოაგა,** რომელმაც ერთი ლელო და ორი საჯარიმო გაიტანა (11 ქულა).

სრული კრახი განიცადა ტურნირის დებიუტანტმა „მელბურნ რებლზმა", რომელმაც შინ წააგო მშრალი ანგარიშით სიდნეის „ვორათაზთან" - 43:0. სტუმრებმა ახალბედებს შვიდი ლელო გაუტანეს. აქედან ორ-ორი **დრიუ მიტჩელისა** და **ქართლი ბეილის** ანგარიშზეა.

### ზე რაგბი

### I ტური

ბრამბიზი-ჩიფსი, რედსი-ფორსი, ბლუზი-კრუსეიდერზი, ნატალ შარქსი-ჩიტაზი, ლაიონზი-ბლუ ბულზი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA

# ჭორები მრავლადაა

ახლოვდება ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ტრეიდებისთვის განკუთვნილი ბოლო დღე და შესაბამისად, ჟურნალისტები მოვლენათა განვითარების ათასგვარ ვერსიას გვაწვდიან.

რა თქმა უნდა, კვლავაც ყურადღების ცენტრში რჩება „დენვერ ნაგეტსის" ლიდერ **კარმელო ენტონის** ტრანსფერის საკითხი. „ნიუ ჯერსი ნეტსის" ხელმძღვანელობამ გუშინ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არ აპირებს კარმელოსთვის ბრძოლას, ამიტომაც NBA-ის ვარსკვლავის ხელში ჩაგდებაზე მთავარ პრეტენდენტად ისევ „ნიუ იორკ ნიქსი" რჩება. ამასთან, იზრდება „დენვერის" მხრიდან ამ კლუბის მიმართ მოთხოვნები.

ბოლო ინფორმაციით, „ნაგეტსი" გამთამაშებელ **ჩონსი ბილაპსსა** და ენტონის სანაცვლოდ ითხოვს ცენტრ **ტიმოფეი მოზგოვს**, ფორვარდებს - **დანილო გალინარისა** და **უილსონ ჩენდლერს**, მცველებს - **რეიმონდ ფელტონსა** და **ლენდრი ფილდსს**, აგრეთვე 2011 წლის დრაფტზე პირველი რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლებას. ასეთი მოთხოვნები თითქმის შეუძლებელს ხდის ამ ტრეიდის განხორციელებას.

■ ■ ■

ამასობაში, „ნიუ ჯერსისა" და „პორტლენდის" ხელმძღვანელები აქტიურად განიხილავენ მსხვილ გაცვლას გამთამაშებლების - **დევინ ჰარისისა** და **ანდრე მილერის** მონაწილეობით.

„ნეტსს" სურს ტრეიდში ჩართოს „ბლეიზერსის" ყოფილი ფორვარდი **ტრევის აუთლო,** იმ დროს, როცა „პორტლენდი" დაინტერესებულია მცველ **ენტონი მოროუს** შეძენით. მოლაპარაკებისას აგრეთვე ფიგურირებს „ბლეიერსის" ესპანელი მცველის **რუდი ფერნანდესის** გვარი.

■ ■ ■

„ნიუ იორკის" გარდა, „დენვერთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს „ჰიუსტონი". თუმცა ამ გუნდის დაინტერესების საბაბი არა კარმელო ენტონი, არამედ ბრაზილიელი ცენტრი **ნენე ილარიოა.**

ზაფხულში ეს კალათბურთელი „ნაგეტსთან" ვადაზე ადრე კონტრაქტის გაწყვეტის უფლებას მიიღებს. ადრე CBS Sports წერდა ნენეს მიმართ „გოლდენ სტეიტის" დაინტერესების შესახებ.

ამ სეზონში ბრაზილიელი საშუალოდ 15.1 ქულას, 7.2 მოხსნასა და 2.1 შედეგიან გადაცემას აგროვებს.

■ ■ ■

ბოლო დროს შედეგიანად მოთამაშე „კლივლენდის" მცველ **რაიმონ სეშენსს** მთხოვნელთა რიგი დაუდგა. ამიტომაც „კავალერების" ხელმძღვანელობა ამ კალათბურთელის გაცვლის სამ ძირითად ვარიანტს განიხილავს. სეშენსის გადაბირებით დაინტერესებული არიან „ატლანტა", „ნიუ იორკი" და „პორტლენდი".

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ მცველმა 32 ქულა ჩაუგდო „ლოს ანჯელეს ლეიკერსს".



სეშენსი ლეიკერსის წინააღმდეგ

რეგულარული ჩემპიონატი

# როუზისა და ნოვიცკის ბენეფისი

„სან ანტონიო სპურსი" წლევანდელი სეზონის ყველაზე სტაბილური გუნდია. **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდებს პერიოდულად უწევთ სხვა ფავორიტების წინააღმდეგ თავიანთი ლიდერობის დამტკიცება და ეს კარგად გამოსდით, თუმცა ყველა მატჩის მოგება შეუძლებელია, მით უმეტეს, თუ შენს წინააღმდეგ საუკეთესო დამცველი გუნდი თამაშობს, რომელსაც ამ სეზონში 15-დან 14 მოგება აქვს საკუთარ მოედანზე. ასეთი გუნდია „ჩიკაგო ბულზი" და „სპურსს" გუშინ სწორედ მის წინააღმდეგ უწევდა გამოცდის ჩაბარება. ეს გუნდები წელს უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და ტექსასში **დერეკ როუზის** 33 ქულის მიუხედავად, „სან ანტონიომ" დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია.

გუშინდელი შეხვედრა „ხარებმა" ძალიან დამაჯერებლად დაიწყეს და უკვე მერვე წუთისთვის ათქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. სტუმრების სასტარტო ხუთეულის წევრები არც ისე ნაყოფიერნი იყვნენ და მათ დროულად წამოეხმარნენ რეზერვისტები: მეოთხედის ბოლოს მოედანზე გასულმა **გერი ნილმა** და **ჯორჯ ჰილმა** თითო სამქულიანი ჩააგდეს და სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირეს.

გრეგ პოპოვიჩის გუნდის სათადარიგოთა სკამი გაცილებით გრძელია, ვიდრე **ტიმ ტიბოდოსი** და ეს მეორე მეოთხედის დებიუტმა დაადასტურა. **მეტ ბონერმა** ზედიზედ სამი საჯარიმო ჩააგდო, ნილმა კიდევ ერთი სამქულიანი დაამატა, ხოლო **ტიმ დანკანის** შემცვლელმა **ანტონიო მაკდაესმა** მინიმუმამდე შეამცირა „სპურსის" ჩამორჩენა- 33:34. „ბულზის" დამრიგებელს მოედანზე **კარლოს ბუზერის** დაბრუნებამ მოუწია, ამას არც სტუმრები ჩამორჩნენ და თამაშს დაუბრუნდნენ **ტონი პარკერი, რიჩარდ ჯეფერსონი** და **დეჟუან ბლეირი.** სწორედ მათ მოაწყვეს „სან ანტონიოს" მინი-გაქცევა - 6:0 და პირველი ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ტექსასელები ერთი ქულით გავიდნენ წინ. „ჩიკაგოს" საპასუხო შტურმი გაცილებით ეფექტური გამოვიდა. როუზმა მოედანზე დაბრუნება 10 ქულით აღნიშნა და „ხარები" კარგ ხასიათზე გავიდნენ დიდ შესვენებაზე - 58:51.

მესამე მეოთხედის სტარტზე „ჩიკაგოს" პლეიმეიკერმა კიდევ ორი ბურთი ჩააგდო, შემდეგ კი მცირე პაუზა აიღო, რითაც „სპურსმა" კარგად ისარგებლა. დანკანისა და პარკერის დუეტმა კიდევ ერთხელ შეამცირა სხვაობა ერთ ზუსტ სროლამდე - 71:73. მაგრამ იქვე **ლუოლ დენგმა** სამქულიანი ჩააგდო, გამოფხიზლებულმა როუზმა კი ორი საფირმო გარღვევა შეასრულა.

ბოლო მეოთხედში ნამდვილი ბრძოლა არ შედგა. ამაში დამნაშავე დერიკ როუზი იყო, რომელსაც ვერაფერი მოუხერხა ტონი პარკერმა. საფინალო სირენამდე „ჩიკაგოს" ლიდერმა კიდევ 13 ქულის დაგროვება მოასწრო და 42 ქულით შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა.

■ ■ ■

„სპურსის" მსგავსად სტაბილურობით გამოირჩევა „დალასი". მეორე ტექსასურ გუნდს სერიოზული ჩავარდნა მაშინ ჰქონდა, როცა დიდი ხნით გამოვიდა მწყობრიდან **დირკ ნოვიცკი.** ახლა გერმანელი ფორმაშია და „მავერიქსის" საქმეებიც კარგად მიდის. თანაც ტრავმირებული **კერონ ბატლერის** ნაცვლად გამოცდილი **პრედრაგ სტოიაკოვიჩი** აიყვანეს, რაც შეიძლება სრულფასოვანი შეცვლა არ არის, მაგრამ სერბი ამინდს არ აფუჭებს.



მზერებმა დირკი ვერ შეაჩერეს

„კოვბოები" არიზონაში ბოლო 13 მატჩში 12 მოგებით ჩავიდნენ და თავიდანვე დაანესეს კონტროლი შეხვედრაზე, თუმცა „ფინიქსის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს გუნდი მრისხანე მეტოქეს გაქცევის საშუალებას არ აძლევდა.

ერთადერთი პრობლემა, რაც მასპინძლებმა ვერ მოაგვარეს, **დირკ ნოვიცკის** მეურვეობა იყო. **ელვინ ჯენტრიმ** გერმანელი სუპერვარსკვლავი **ჩენინგ ფრაის** ჩააბარა, რომელსაც დაცვა არ ეხერხება. მწვრთნელის ამ ნაბიჯმა არ გაამართლა - პირველ შვიდ წუთში დირკმა ხუთიდან ოთხი ბურთი ჩააგდო. მეორე მეოთხედში ფრაიმ გადაწყვიტა, რომ დაცვაში არაფერი გამოსდიოდა და სროლის სიზუსტეში შეეჯიბრა მეურვეს: შვიდი ქულა ცუდი შედეგი არ არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამავე პერიოდში გერმანელმა 11 ქულა მიითვალა.

მესამე მეოთხედში მასპინძელთა რიგებში **ვინს კარტერი** და **გრანტ ჰილი** გააქტიურდნენ და თავიანთი გუნდი რამდენჯერმე გაიყვანეს წინ. მაგრამ „მავერიქსი" ყოველთვის პოულობდა საპასუხო სვლას - ზუსტად ისროდა სამქულიანებს. შორიდან მნიშვნელოვანი ბურთები ჩააგდეს **როდრიგ ბობუამ, ჯეისონ ტერიმ**, პეჟა სტოიაკოვიჩმა, **ჯეისონ კიდმა** და, რა თქმა უნდა, ნოვიცკიმ. სხვათა შორის, გერმანელმა ბოლო სამი თვის განმავლობაში ყველაზე შედეგიანი მატჩი ჩაატარა.

დარჩენილ დროში „სანზმა" მხოლოდ ის მოახერხა, რომ ბოლო მეოთხედის შუაში ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა (90:92). ამის შემდეგ ნოვიცკიმ და ტერიმ ერთად 12 ქულა დააგროვეს, რასაც **ტაისონ ჩენდლერმა** ხუთი დაუმატა და თამაში დამთავრებული იყო. „ფინიქსმა" ტაქტიკური პერსონალურებით მატჩის გადარჩენა ვერ შეძლო, რადგან სამქულიანი უპირატესობისას ტერიმ ორი საჯარიმო ჩააგდო, ფრაიმ კი საპასუხოდ სამქულიანი ააცილა.

■ ■ ■

ახლა რეგულარულ ჩემპიონატში ხუთდღიანი არდადეგები ცხადდება, რაც „ყველა ვარსკვლავის მატჩით" არის გამოწვეული. ამ მხრივ გუშინ ერთი საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. დასავლეთი კონფერენციის მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა** სასტარტოში ტრავმირებული ჩინელის **იაო მინის** შემცვლელად თავისი პროტეჟე **ტიმ დანკანი** გამოაცხადა.

„სპურსის" ლეგენდარული ფორვარდი კარიერაში მეცამეტედ ითამაშებს „ოლ სტარტზე", გარდა ამისა, ზედიზედ მეთორმეტედ იქნება სასტარტო ხუთეულში. „ყველა ვარსკვლავის მატჩი" ჩვენი დროით 21 თებერვალს დილას ლოს ანჯელესში გაიმართება.

**ჩიკაგო–სან ანტონიო 109:99**

**30:25, 28:26, 25:24, 26:24**

**ჩ:** როუზი (42+8 პასი+5 მოხსნა), დენგი (19+7 მოხსნა+5 პასი), ბუზერი (15+6 მოხსნა).

**ს-ა:** პარკერი (26), ჯინობილი (16), ნილი (16), დანკანი (14+9 მოხსნა), ჯეფერსონი (12).

**ფინიქსი–დალასი 106:112**

**25:28, 26:26, 29:31, 26:27**

**ფ:** ფრაი (24+8 მოხსნა), კარტერი (16), ნეში (15+14 პასი+5 მოხსნა), ლოპესი (13+13 მოხსნა), პიეტრუსი (11), ჰილი (10).

**დ:** ნოვიცკი (35), ტერი (16+7 პასი), ჩენდლერი (12+12 მოხსნა), მერიონი (12+8 მოხსნა), სტოაკოვიჩი (10), კიდი (6+12 პასი+8 მოხსნა).

## ევროლიგა. TOP16. IV ტური

**E ჯგუფი**

**პანათინაიკ.–კ.ლაბორალი 76:74**

**21:18, 19:21, 19:11, 17:24**

**პ:** ფოცისი (22+11 მოხსნა), ბატისტი (12+6 მოხსნა), ნიკოლასი (12), პერპეროგლუ (10).

**კ-ლ:** ლოგანი (21), სან ემეტერიო (19), უერტასი (17), ტელეტოვიჩი (8+7 მოხსნა).

**ლ.რიტასი–უნიკახა 70:65**

**17:17, 22:18, 14:13, 17:17**

**ლ-რ:** ელ ამინი (18), გეჩევიჩუსი (17+6 მოხსნა), ბაირამოვიჩი (12+7 მოხსნა), ბიელიცა (9+6 მოხსნა).

**უ:** ფრილენდი (19+8 მოხსნა), როდრიგესი (12), არჩიბალდი (12+8 მოხსნა).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 4 | 3 | 1 | 308-266 | 6 |
| 2. კ. ლაბორალი | 4 | 2 | 2 | 313-306 | 4 |
| 3. ლ. რიტასი | 4 | 2 | 2 | 309-329 | 4 |
| 4. უნიკახა | 4 | 1 | 3 | 290-319 | 2 |

**F ჯგუფი**

**ოლიმპია–მაკაბი 62:83**

**19:22, 22:11, 8:23, 13:27**

**ო:** შერმადინი (13+7 მოხსნა+3 დაფარება), გრეგორი (11+5 მოხსნა), იაგოდნიკი (10), ილიევსკი (10+6 მოხსნა).

**მ:** პერკინსი (16+5 მოხსნა+7 პასი), ელიაჰუ (16+4 პასი), პარგო (16+7 პასი), ბლიუ (15), ეიდსონი (8+6 ჩაჭრა).

**რომა–ბარსელონა 65:74**

**14:14, 13:11, 24:21, 14:28**

**რ:** დატომე (15+2 დაფარება), გორდიჩი (12), დაშიჩი (10).

**ბ:** ნავარო (19), ანდერსონი (15), ნდონგი (9), რუბიო (9+8 მოხსნა+4 პასი).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 303-259 | 8 |
| 2. მაკაბი | 4 | 3 | 1 | 357-268 | 6 |
| 3. ოლიმპია | 4 | 1 | 3 | 260-318 | 2 |
| 4. რომა | 4 | 0 | 4 | 242-317 | 0 |

**G ჯგუფი**

**მონტეპასკი–პარტიზანი 77:74**

**12:20, 26:17, 15:16, 24:21**

**მ:** კაუკენასი (17), მოსი (10+4 პასი), სტონრუკი (10), ცისისი (9+6 მოხსნა).

**პ:** ვესელი (17+7 მოხსნა), ჯერელსი (16+5 მოხსნა+5 პასი), ჯავაი (8), გისტი (8), კატიჩი (8+12 მოხსნა).

**ეფესი–რეალი 60:77**

**12:13, 12:22, 13:21, 23:21**

**ე:** თუნჩერი (14), ტორნტონი (10+7 მოხსნა).

**რ:** ლიული (17+5 პასი), ტომიჩი (14+6 მოხსნა), რეიესი (10).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 4 | 4 | 0 | 322-272 | 8 |
| 2. მონტეპასკი | 4 | 2 | 2 | 269-270 | 4 |
| 3. ეფესი | 4 | 2 | 2 | 285-300 | 4 |
| 4. პარტიზანი | 4 | 0 | 4 | 266-300 | 0 |

**H ჯგუფი**

**ჟალგირისი–ფენერბაჰჩე 85:84**

**15:11, 15:20, 19:18, 20:20**

**ჟ:** პოჩიუსი (13), დელინინკაიტისი (13), პლეისტედი (12), კოლინზი (9+4 ჩაჭრა).

**ფ:** ონანი (23), პრელჯიჩი (19+6 მოხსნა+6 ჩაჭრა), სავაში (10+6 მოხსნა).

**ვალენსია–ოლიმპიაკოსი 79:85**

**17:20, 20:17, 18:16, 24:32**

**ვ:** სავანოვიჩი (16), კლავერი (16+6 მოხსნა+4 პასი), მარტინესი (12), კუკი (11+5 პასი), იავტოკასი (8+6 მოხსნა).

**ო:** სპანულისი (18), ნესტეროვიჩი (16+6 მოხსნა+3 დაფარება), ერცეგი (12), ბურუსისი (12+6 მოხსნა), ტეოდოშიჩი (11+5 მოხსნა).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 4 | 3 | 1 | 323-300 | 6 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 4 | 3 | 1 | 303-289 | 6 |
| 3. ვალენსია | 4 | 1 | 3 | 287-296 | 2 |
| 4. ჟალგირისი | 4 | 1 | 3 | 280-308 | 2 |

### ტურის მოთამაშე

ევროლიგამ მეორე ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის საუკეთესო მოთამაშედ საბერძნეთის „პანათინაიკოსის" ფორვარდი **ანტონის ფოცისი** დაასახელა.

„კახა ლაბორალთან" მატჩში (76:74) ფოცისმა მოედანზე 34 წუთი დაყო, რომლის დროსაც ორმაგი დუბლი შეასრულა - 22 ქულა და 11 მოხსნა. ამას დაემატა 2 პასი, 3 ჩაჭრა და ერთი დაფარება, რამაც მას სარგებლიანობის რეიტინგში 40 ქულა მოუტანა.

ტურის MVP-ის სტატუსისთვის ბრძოლაში ფოცისმა დიდი უპირატესობით მოუგო **ჯერემი პარგოს** („მაკაბი", 28 ქულა), **ჯოელ ფრილენდს** („უნიკახა", 25), **მარტინას გეჩევიჩუსსა** („ლეტუვოს რიტასი", 24) და **ომერ ონანს** („ფენერბაჰჩე", 23).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი–ლოს ანჯელ. 4:3 (ბ)**

**0:1, 1:0, 2:2, 0:0**

**გოლები:** 0:1 დ. ბრაუნი-19 (ჯასტინ უილიამსი-26, ჯ. ჯონსონი-33), 1:1 კელეპანი-15 (სტეპანი-18, ანისიმოვი-18), 2:1 გაბორიკი-17 (ზაურერი-6), 2:2 მეტი გრინი-1 (რიჩარდსონი-7, კოპიტარი-38), 3:2 ანისიმოვი-13 (დუბინსკი-24, კელეპანი-15), 3:3 დ. ბრაუნი-20 (სკუდერი-12, მარტინესი-7).

**ტამპა ბეი–დეტროიტი 2:6**

**0:2, 2:2, 0:2**

**გოლები:** 0:1 ქლირი-18 (ლიდსტრიომი-34, ზეტერბერგი-45), 0:2 დაციუკი-15 (ქლირი-14, კრონვალი-18), 1:2 ჰედმანი-3 (საიმონ განიე-10), 2:2 დაუნი-8 (სტემკოსი-35, სენტ ლუისი-48), 2:3 კრონვალი-10 (ზეტერბერგი-55, ლიდსტრიომი-35), 2:4 აბდელკადერი-4 (ჰოლმსტრიომი-13, კინდლი-1), 2:5 დაციუკი-16 (ჰუდლერი-19, ქლირი-15), 2:6 ჰელმი-7.

**ნეშვილი–ვანკუვერი 3:1**

**0:0, 3:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 ერატი-10 (ლეგვანიდი-14, შ. უებერი-25), 1:1 დ. სედინი-30 (ჰ. სედინი-56, ერჰოფი-26), 2:1 სპალინგი-5 (ჰორნკვისტი-15), 3:1 ფიშერი-15 (ზულცერი-3, ერატი-20).

**ედმონტონი–მონრეალი 4:1**

**1:0, 0:1, 3:0**

**გოლები:** 1:0 ჰემსკი-11 (ჰორკოფი-14), 1:1 ჰალპერნი-9 (ელერი-6, ჰამრლიკი-22), 2:1 ებერლე-13 (ჰოლი-18, კოლიანო-15), 3:1 რ. ჯონსი-13 (ჟაკი-1, რედო-7), 4:1 ჰემსკი-12 (პენერი-17, პეკჰემი-7).

**ფინიქსი–ატლანტა 4:3**

**2:1, 2:2, 0:0**

**გოლები:** 1:0 ბელანჟე-8 (კორპიკოსკი-16), 1:1 ტორნბურნი-7 (ენსტრიომი-35, პევერლი-19), 2:1 დოუნი-12 (მორისი-8, იენდლი-39), 2:2 ლედი-20 (პევერლი-20, ბიფულინი-27), 2:3 პევერლი-14 (ენსტრიომი-36, ე. კეინი-18), 3:3 კორპიკოსკი-12 (იენდლი-40), 4:3 ჰანჟალი-13 (რეი უიტნი-34, იენდლი-41).

**სან ხოსე–ვაშინგტონი 3:2**

**1:1, 0:0, 2:1**

**გოლები:** 1:0 პაველსკი-13 (მარლო-22), 1:1 ოვეჩკინი-23 (ჯ. კარლსონი-18, სიომინი-19), 2:1 ქლოუ-15 (უელვუდი-1, კუტური-13), 3:1 ჰიტლი-20 (ჯ. ტორნტონი-34, პაველსკი-29), 3:2 ბექსტრიომი-15 (ჯ. კარლსონი-19, ოვეჩკინი-37).

**აილენდერსი–ბოსტონი 3:6**

**0:3, 2:3, 1:0**

**გოლები:** 0:1 ველერი-11 (სეგუინი-10, ფერენსი-8), 0:2 რეკი-11 (პ. ბერჟერონი-27, ბოიჩუკი-9), 0:3 გ. კემპბელი-9, 0:4 კრეისი-9 (ჰორტონი-22, ლუჩიჩი-16), 1:4 ტავარესი-22 (კომო-18), 1:5 სეგუინი-10 (მ. ტორნტონი-7, ველერი-16), 2:5 ბეილი-8 (კომო-19, მარტინესი-8), 3:5 ლუჩიჩი-24 (კრეისი-32, ხარა-21), 3:6 ტავარესი-23 (ჰილენი-9, მოულსონი-15).

## სამთო-სათხილამურო სპორტი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

# პროგნოზისამებრ ლიგეტი

ამერიკელი **ტედ ლიგეტი** წლევანდელ სეზონში დომინირებდა გიგანტურ სლალომში, ამიტომაც გუშინ მისი გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატზე არავისთვის სიურპრიზი არ ყოფილა.

საბედნიეროდ, მამაკაცთა გიგანტური სლალომი უამინდობის გამო არ გადაუდიათ, მაგრამ გარკვეული პრობლემა მაინც შეიქმნა - ჩამოწოლილი ნისლის გამო ორგანიზატორებმა ტრასის სიგრძე შეამცირეს.

პირველი ცდის შემდეგ ლიდერობდა ნორვეგიელი **აქსელ ლუნდ სვინდალი**. საერთოდ, პირველი დაშვება შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელმა მოაწყო და ეს გაცილებით მარტივად გააკეთა, ვიდრე საჭირო იყო. პრინციპში, სწორედ ამის წყალობით მოხვდნენ შვეიცარიელები - **კარლო იანკა** და **დიდიე კუში** პირველ ექვსეულში, **ივიცა კოსტელიჩი** კი მესამეზე. თუნდაც სვინდალის ლიდერობაც ამით იყო განპირობებული. მეორე ცდა გაცილებით რთული აღმოჩნდა - ის ავსტრიელმა სპეციალისტებმა გამართეს და მართალია ბევრი არაფერი შეცვლილა, მაგრამ მცირე დეტალებმა იანკასა და კუშს უკან დაახევინა.

სამაგიეროდ, სერიოზულად მოუმატა ფრანგმა **სიპრიენ რიშარმა**, რომელმაც გუნდურ პირველობაში ოქრო მოუტანა საფრანგეთის ნაკრებს. რიშარმა მეორე ცდაზე მხოლოდ **ბოდე მილერთან** წააგო, რომელმაც მეორე ცდაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა და საბოლოოდ მე-12 ადგილი დაიკავა. ეს იმიტომ, რომ პირველ ცდაზე გიუმაყი ამერიკელი სადღაც ოქმის ბოლოში მოექცა. თავად რიშარმა კი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

პირველი ცდის შემდეგ მეორე იყო ავსტრიელი **ფილიპ შერგჰოფერი**, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჰინტერშტოდერში გამართულ ეტაპზე პირველი ადგილი დაიკავა. იმ საკადრო პრობლემების გამო, რომელიც ავსტრიას გუშინდელი სტარტის წინ შეექმნა, შერგჰოფერის ბრინჯაომ ძალიან გაახარა ავსტრიელთა გერმანელი მწვრთნელი **მატიას ბერჰოლდი**.

რაც შეეხება ტედ ლიგეტის, მართალია ის პირველი დაშვების შემდეგ მეოთხე იყო, მაგრამ სვინდალთან ძალიან ცოტას - 0.25 წამს აგებდა. მან იოლად შეამცირა ეს ჩამორჩენა და როგორც გითხარით, პროგნოზისამებრ ოქროს მედალი მოიგო. **ივიცა კოსტელიჩს** ორი სტარტის გამოტოვებამ და დასვენებამ არ უშველა - მსოფლიოს თასის მიმდინარე ლიდერი პირველი ცდის მესამე ადგილიდან მე-13 პოზიციაზე დაეშვა.

ჩემპიონატი ამ უქმეებზე ქალებსა და კაცებს შორის სპეციალური სლალომით დასრულდება.

| გიგანტური სლალომი | |
|---|---|
| **კაცები** | |
| 1. ტედ ლიგეტი (აშშ) | 2:10.56 |
| 2. სიპრიენ რიშარი (საფ) | +0.08 |
| 3. ფილიპ შერგჰოფერი (ავსტრია) | +0.43 |
| 4. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორ) | +0.49 |
| 5. ჩეტილ იანსრუდი (ნორ) | +0.73 |
| 6. ტომას ფანარა (საფ) | +0.76 |



ტედ ლიგეტი

## კრიმინალი

# რუსეთში ჩემპიონი მოკლეს

რუსეთის ქალაქ ბერეზოვსკში (სვერდლოვსკის ოლქი) ორმა ახალგაზრდამ სიცოცხლეს გამოასალმა ძალოსნობაში მსოფლიოსა და ევროპის ყოფილი ჩემპიონი **ნიკოლაი გრუზდევი**.

52 წლის ძალოსანის გვამი მის კერძო სახლში აღმოაჩინეს. გამოძიებამ დააკავა 20 და 21 წლის ორი ახალგაზრდა მამაკაცი, რომლებმაც ჩადენილი დანაშაული აღიარეს.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, მკვლელები ქუჩაში არაყს სვამდნენ, მაგრამ მისაყოლებელი არ ჰქონდათ. ამ მიზნით ისინი გრუზდევის სახლში ფანჯრიდან გადაძვრნენ და საკვები და მაჯის საათი მოიპარეს. ძალოსანს ამ დროს ეძინა.

ქურდობის შემდეგ დამნაშავეები მიიმალნენ, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ სპორტსმენის სახლში ფულსა და ძვირფას ნივთებს იპოვიდნენ. ისინი დაბრუნდნენ, გრუზდევი გაკოჭეს და თავში ჯოხები დაუშინეს, თან ფულსა და ძვირფასეულობას ითხოვდნენ. მიღებული ტრავმებისგან მსოფლიოს ჩემპიონი გარდაიცვალა. მკვლელებმა განაცხადეს, რომ არ უნდოდათ გრუზდევის მოკვლა, მაგრამ ძალები ვერ გათვალეს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ლუნგბიუ-მიალბიუ | 2:1 |
| ალანია-სტაბეკი | 0:0 |
| მიოლდე-პანჩეიმი | 1:1 |
| ფრედრიკსტადი-გაის | 2:1 |
| ერებრუ-ჰაკენი | 2:4 |
| სარპსბორგი-სანდეფიორდი | 2:0 |
| კონგსვინგერი-ნიბერგსუნდი | 4:0 |
| ჰამ კამი-სტრომენი | 1:0 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ლესტერი-ბრისტოლი | 2:1 |
| **II ლიგა** | |
| პორტ ვეილი-ბრედფორდი | 2:1 |
| **კონფერენსი** | |
| კემბრიჯი-კიდერმინსტერი | 1:2 |
| ნიუპორტი-ლუტონი | 1:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| გროსეტო-ემპოლი | 2:1 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ხირონა-ალკორკონი | 3:1 |
| **გერმანია** | |
| ნიურნბერგი-აინტრახტი | 3:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბოხუმი-ფორტუნა | 2:0 |
| ინგოლშტადტი-ფიურტი | 0:2 |
| მიუნხენი-აუგსბურგი | 0:2 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ლაიპციგი-კილი A | 1:5 |
| ვილჰელმშაფენი-ჰამბურგი A | 3:1 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| გლადბახი A-ბოხუმი A | 3:0 |
| **საფრანგეთი** | |
| ლიონი-ნანსი | 4:0 |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-ევიანი | 1:0 |
| ტური-ტრუა | 1:0 |
| ნანტი-მეცი | 0:0 |
| გრენობლი-ისტრი | 0:2 |
| დიჟონი-ჰავრი | 0:0 |
| კლერმონი-სედანი | 1:1 |
| შატორუ-ლავალი | 1:0 |
| ანჟერსი-ნიმი | 2:0 |
| **ჰოლანდია** | |
| უტრეხტი-ერაკლესი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ვოლენდამი-ცვოლე | 0:2 |
| როსენდალი-კამბური | 2:2 |
| ალმერი-დორდრეხტი | 1:2 |
| ფორტუნა-ჰელმონდი | 3:1 |
| ეინდჰოვენი-მაასტრიხტი | 0:0 |
| აპელდორნი-ვეენდამი | 2:4 |
| ვაალვიკი-ემენი | 2:0 |
| იგლზი-დენ ბოში | 1:0 |
| სპარტა-ტელსტარი | 0:2 |
| **პორტუგალია** | |
| ლეირია-გიმარაეში | 0:1 |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ჰაკა-ჰიკ | 0:3 |
| ინტერი-შივასი | 3:4 |
| **თურქეთი** | |
| ესქისეჰირი-შივასი | 2:1 |
| **უელსი** | |
| ებერისტვიტი-ბალა | 1:2 |
| **ავსტრალია** | |
| ადელაიდა-ველინგტონი | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| ლიმოჟი-პუატიე | 76:85 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ვიტიაზი-სიბირი | 3:1 |
| ლოკომოტივი-ბარისი | 5:3 |
| სევერსტალი-ავტომობილისტი | 10:1 |
| სკა-ნეფტიხიმიკი | 5:3 |
| ტორპედო-ავანგარდი | 1:3 |
| ატლანტი-იუგრა | 3:2 (ბ) |
| დინამო (მ)-ამური | 3:1 |
| ცსკა-ტრაქტორი | 2:4 |
| სპარტაკი-აკ ბარსი | 1:4 |
| დინამო (მნ)-ს. იულიაევი | 3:1 |
| დინამო (რ)-მეტალურგი (მ) | 3:1 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ზალცბურგი | 5:4 |
| ვენა-ლინცი | 5:4 (ბ) |
| ვილახი-კლაგენფიურტი | 6:1 |
| ზაგრები-გრაცი | 4:3 |
| ოლიმპია-ალბა | 5:4 (ბ) |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-ინგოლშტადტი | 2:4 |
| ჰამბურგი-კიოლნი | 0:3 |
| დიუსელდორფი-კრეფელდი | 5:3 |
| მანჰაიმი-იზერლონი | 3:0 |
| მიუნხენი-ჰანოვერი | 0:3 |
| აუგსბურგი-შტრაუბინგი | 1:0 |
| **[illegible]** | |
| როდოვრე-სონდერიისკი | 1:5 |
| ოდენსე-ესბერგი | 2:3 |
| ოლბორგი-ფრედრიკშავნი | 5:4 |
| ჰვიდოვრე-ჰერნინგი | 3:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ტრენჩინი | 3:5 |
| ზვოლენი-პოპრადი | 9:2 |
| კოშიცე-სკალიცა | 5:1 |
| სლოვანი-ბისტრიცა | 3:2 |
| ნიტრა-მარტინი | 7:3 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-ილვესი | 4:3 (ბ) |
| ლუკო-ესეტი | 3:0 |
| ტპს-საიპა | 2:3 (ო) |
| **ჩეხეთი** | |
| ზლინი-პარდუბიცე | 2:3 (ო) |
| კლადნო-ბრნო | 1:5 |
| ლიტვინოვი-ლიბერეცი | 4:3 |
| ბოლესლავი-სლავია | 1:0 |
| სპარტა-ვიტკოვიცე | 2:4 |
| ტრშინეცი-პლზენი | 4:0 |
| ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი | 2:1 (ბ) |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-დავოსი | 1:4 |
| ბერნი-ლანგნაუ | 5:1 |
| ბილი-ცუგი | 4:6 |
| რაპერსვილი-ლუგანო | 3:2 |
| ფრიბურგი-კლოტენი | 1:4 |
| ციურიხი-სერვეტი | 1:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მარსელი** | |
| ბერდიხი-**ჩილიჩი** | 3:6, 4:6 |
| **სიოდერლინგი**-ლოდრა | 6:1, 6:4 |
| ცონგა-**იუჟნი** | 4:6, 6:2, 4:6 |
| მელცერი-**ტურსუნოვი** | 4:6, 6:2, 1:6 |
| **ATP. მემფისი** | |
| **რაონიჩი**-კენდრიკი | 6:4, 3:6, 6:3 |
| **ფიში**-კუერი | 6:3, 6:4 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| **მარტიჩი**-პოუს ტიო | 7:6, 6:3 |
| **იოჰანსონი**-კასტანიო | 6:3, 7:6 |
| დენტონი-**გარსია** | 6:3, 3:6, 4:6 |
| **სუარეს ნავარო**-ჰანი | 6:4, 6:3 |
| **WTA. დუბაი** | |
| **ვოზნიაცკი**-პეერი | 6:2, 6:4 |
| სტოსური-**იანკოვიჩი** | 3:6, 7:5, 6:7 |
| **კუზნეცოვა**-რადვანსკა | 7:6, 6:3 |
| **პენეტა**-კლეიბანოვა | 6:2, 6:0 |
| **WTA. მემფისი** | |
| **რიბარიკოვა**-ჰრადეცკა | 6:2, 4:6, 6:4 |

## TV პროგრამა

### 20 თებერვალი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**18:30** გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი (LIVE).
**21:30** გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ბაიერნი (LIVE).
**23:45** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კალიარი (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**18:25** გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი (LIVE).
**20:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სპორტინგი (LIVE).
**22:55** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ლევანტე (LIVE).
**00:55** ესპანეთის ჩემპიონატში. სარაგოსა-ატლეტიკო (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**16:55** მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ინგლისი (LIVE).
**21:55** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ბოსნა-უნივერსიტეტი (LIVE).
**23:30** ციგურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. აშშ (LIVE).
**05:30** კალათბურთი. NBA-ის ყველა ვარსკვლავის უქმეები. ვარსკვლავების შოუ (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**14:45** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. დინამო-ლაიპციგი (LIVE).
**18:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-სანკტ პაული (LIVE).
**21:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-სენტ ეტიენი (LIVE).
**06:00** პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. ფერნანტო მონტიელი-ნონიტო დონერი. აშშ (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

**21:45** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ბატე-პსჟ (LIVE).
**23:55** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. სპარტა-ლივერპული (LIVE).

**HTB-პლუსი (კლასიკა)**

**20:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-პალერმო (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
**19:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მემფისი. აშშ (LIVE).
**01:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მემფისი. აშშ (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**15:55** რუსეთის ჩემპიონატი. ნიჟნი ნოვგოროდი-ტრიუმფი (LIVE).
**18:55** რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-ცსკა (LIVE).

**SPORT+**

**15:10** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. 10 კმ. დრამენი. ნორვეგია (LIVE).
**17:55** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. 15 კმ. დრამენი. ნორვეგია (LIVE).
**21:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ბაიერნი (LIVE).
**23:40** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კალიარი (LIVE).

**EUROSPORT**

**11:45** ციგაობა. მსოფლიოს თასი. ორადგილიანი. I ცდა. სიგულდა. ლატვია (LIVE).
**12:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. სლალომი. I ცდა. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
**14:00** ციგაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. I ცდა. სიგულდა. ლატვია (LIVE).
**15:15** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. 10 კმ. დრამენი. ნორვეგია (LIVE).
**16:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. სლალომი. II ცდა. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
**17:30** ციგაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. II ცდა. სიგულდა. ლატვია (LIVE).
**18:00** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. 15 კმ. დრამენი. ნორვეგია (LIVE).
**19:15** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**23:00** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:00** ციგაობა. მსოფლიოს თასი. ორადგილიანი. II ცდა. სიგულდა. ლატვია (LIVE).
**14:30** ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. მინსკი. ბელარუსი (LIVE).
**19:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**23:30** ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. ბერგამო-კონელიანო. XII ტური (LIVE).

### 21 თებერვალი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**15:30** იტალიის ჩემპიონატი. ლეჩე-იუვენტუსი (LIVE).
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. კიევო-მილანი (LIVE).
**20:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-ლილი (LIVE).
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ერკულესი (LIVE).
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბილბაო (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**15:25** იტალიის ჩემპიონატი. ლეჩე-იუვენტუსი (LIVE).
**18:25** გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი (LIVE).
**23:40** იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-კატანია (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**17:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კიევო-მილანი (LIVE).
**05:00** კალათბურთი. NBA-ის ყველა ვარსკვლავის მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**17:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-რომა (LIVE).
**19:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-ლილი (LIVE).
**23:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბილბაო (LIVE).
**03:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-მონრეალი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

**19:25** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ბრედა (LIVE).

**HTB-პლუსი (კლასიკა)**

**17:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-სამპდორია (LIVE).
**19:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-მალაგა (LIVE).
**22:55** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტა. კორინთიანსი-სანტოსი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**01:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მემფისი. აშშ (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**15:55** რუსეთის ჩემპიონატი. ნიჟნი ნოვგოროდი-ტრიუმფი (LIVE).
**18:55** რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-ცსკა (LIVE).

**SPORT+**

**16:25** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები, კაცები. დრამენი. ნორვეგია (LIVE).
**19:45** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ოლბორგი (დანია)-ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) (LIVE).
**21:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ერკულესი (LIVE).
**23:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-რენი (LIVE).
**03:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-მონრეალი (LIVE).

**EUROSPORT**

**12:00** ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. I ცდა. სიგულდა. ლატვია (LIVE).
**12:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. სლალომი. I ცდა. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
**13:45** ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. II ცდა. სიგულდა. ლატვია (LIVE).
**15:00** ციგაობა. მსოფლიოს თასი. გუნდური. სიგულდა. ლატვია (LIVE).
**16:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. სლალომი. II ცდა. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
**17:15** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები, კაცები. დრამენი. ნორვეგია (LIVE).
**18:00** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ფინალი. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**23:00** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ფინალი. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:15** ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. II ცდა. სიგულდა. ლატვია (LIVE).
**17:30** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ინტერვიუ მიხაელ შუმახერთან

# უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობ

**ბრიტანული ჟურნალის F1 Racing-ის თებერვლის ნომრის ცენტრალური მასალა ლეგენდარული გერმანელის მიხაელ შუმახერის დაბრუნებას მიეძღვნა. გთავაზობთ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის ინტერვიუს ყველაზე საინტერესო მომენტებს...**

**- გასული სეზონი ისე არ აეწყო, როგორც ელოდით?**

- რა თქმა უნდა, არა. როცა დაბრუნების შესახებ გამოვაცხადე, მიზანი ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა იყო, მაგრამ შარშან ეს მისია შეუსრულებელი აღმოჩნდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რა კომპონენტში ვაგებდით მეტოქეებთან და მთელი გასული სეზონის განმავლობაში ვმუშაობდით მანქანის განვითარებაზე. იმედია, მალე ისევ შევძლებ ლიდერთა ჯგუფში შესვლას.

**- ექლსტოუნმა რალაცნაირად იმოქმედა თქვენს გადაწყვეტილებაზე?**

- ბერნის ამასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, თუმცა, რა თქმა უნდა, საქმის კურსში იყო და მხარს მიჭერდა, რასაც ძალიან ვაფასებ.

**- სხვა პილოტებს რა რეაქცია ჰქონდათ თქვენს დაბრუნებაზე?**

- ყველა ძალიან თბილად შემხვდა. სიმართლე გითხრათ, ამან გამაკვირვა, რადგან პელოტონში თითქმის აღარ დარჩნენ პილოტები, რომლებიც ჩემს დროს გამოდიოდნენ. დაბრუნებისას, თქვენ ყოველთვის ფიქრობთ იმაზე, როგორ აღიქვამენ ამას დანარჩენები. მაგრამ ყველამ, მათ შორის ახალგაზრდა პილოტებმა პოზიტიურად შეაფასეს ბრძოლაში ჩემი ჩაბმის სურვილი.

**- სეზონის მსვლელობისას ბევრი კონკურენტი და ჟურნალისტი გაკრიტიკებდათ ტრასაზე რისკიანი მანევრებისთვის, როგორც ეს უნგრეთში ბარიკელოს შემთხვევაში მოხდა. როგორ აღიქვამთ ამ კრიტიკას?**

- რა მნიშვნელობა აქვს, რას ლაპარაკობენ სხვები? არ ვაქცევ ყურადღებას, რადგან ესეც ბიზნესის ნაწილია. ხალხმა იცის, ვინ ვარ და როგორ ვიქცეოდი წარსულში. ახლა ჩემი კარიერის ახალ თავს ვხსნი და უზარმაზარ მხარდაჭერას ვგრძნობ. გარკვეული კრიტიკის მიუხედავად, ვიცი, რომ ნამდვილი გულშემატკივარი ეიფორიაშია ჩემი დაბრუნების გამო და დიდი გატაცებით აგრძელებს ჩემი გამოსვლისთვის თვალის დევნებას.

**- მართალია, რომ შარშანდელი მანქანა არ შეესაბამებოდა თქვენი პილოტირების სტილს?**

- ჩემს წინამორბედს (მიხაელს მხედველობაში ჰყავს ჯენსონ ბატონი) სულ სხვა სტილი ჰქონდა და 2010 წელს მანქანა მისი მახასიათებლების გათვალისწინებით იქმნებოდა. მე არ მქონდა ამაზე გავლენა, რადგან „მერსედესში“ მაშინ გადავედი, როცა მანქანაზე მუშაობა დასრულების სტადიაში იყო.

**- არცთუ წარმატებული გასული სეზონის შემდეგ დარწმუნებული ხართ, რომ კიდევ ერთხელ შეძლებთ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას?**

- აბსოლუტურად. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ შემიძლია ტიტულის მოგება. ჩვენ სამწლიანი პროექტი გვაქვს და მართალია, გასულ წელს ყველაფერი ისე ვერ აეწყო, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა, ოპტიმიზმით ვიყურებით წინ და მაქსიმუმს ვაკეთებ ლიდერთა შორის დასაბრუნებლად. ფორმულა 1-ის ისტორიაში ძალიან ცოტა მაგალითია, როცა პილოტი დაბრუნებიდან პირველივე წელს აღწევდა ძველ დონეს.

დარწმუნებული ვარ, ამ სეზონში ჩვენ ვიბრძოლებთ გამარჯვებისა და ჩემპიონის ტიტულისთვის. მე ერთი მიზანი მაქვს - წარმატებას მივაღწიო, ამიტომაც ამისთვის 100 პროცენტით დავიხარჯები. თუ 2011 წელს ჩანაფიქრს ვერ განვახორციელებთ, მომავალ წელს შევეცდებით ამის გაკეთებას.



შუმის ახალი მანქანის იმედი აქვს

ჩოგბურთი



კაროლინ ვოზნიაცკი

# კარო ისევ პირველია

გუშინ დუბაიში მიმდინარე პრემიერ კატეგორიის ტურნირზე მეოთხედფინალური ეტაპის მატჩები გაიმართა. ერთი შეხვედრა განსაკუთრებით გამორჩეული იყო - დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** ისრაელის წარმომადგენელ **შაარ პეერს** ხვდებოდა.

გამორჩეული ეს მატჩი იმით იყო, რომ გამარჯვების შემთხვევაში კაროლინი იბრუნებდა მსოფლიოს კლასიფიკაციაში პირველ პოზიციას, რომელიც გასულ კვირას ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა** დაისაკუთრა.

დანიელ ჩოგბურთელს არ გასჭირვებია ამ ამოცანის შესრულება. ვოზნიაცკი ძალიან კარგ ფორმაში შეხვდა დუბაის ტურნირს. წინა წრეში მას საათიც არ დასჭირვებია იაპონელი **აიუმი მორიტას** გასანადგურებლად - 6:1, 6:0, გუშინ კი საათსა და 14 წუთში გაუსწორდა მსოფლიოს მე-11 ჩოგან **შაარ პეერს** - 6:2, 6:4. სხვათა შორის, კაროლინი არც ისე დამაჯერებლად თამაშობდა საკუთარ მოწოდებაზე და მეტოქეს სამჯერ დაუთმო საკუთარი გეიმი, სამაგიეროდ ექვსი ბრეიკი გააკეთა და ამის ხარჯზე გაიმარჯვა. ვოზნიაცკი მეექვსედ შეხვდა პეერს და მეხუთედ დაამარცხა ისრაელელი.

ასე რომ, კაროლინმა გააუმჯობესა ამ ტურნირზე შარშან ნაჩვენები შედეგი (მესამე წრეში გავარდა), რისთვისაც დამატებითი ქულები მიიღო და ორშაბათიდან ისევ უკან ჩამოიტოვებს კლაისტერსს.

# ბერნის ბაჰრეინისა არ სჯერა

ავტოსპორტის მოყვარულებმა პირველად მოისმინეს ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის **ბერნი ექლსტოუნის** კომენტარი სეზონის პირველი რბოლის - ბაჰრეინის გრან-პრის სავარაუდო გაუქმების შესახებ. ბრიტანელი მილიარდერი გუშინ ჟურნალისტებს შეხვდა და განაცხადა, რომ პირველი ეტაპის ჩატარების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალ კვირას მიიღებენ.

*„ამჟამად ბაჰრეინის გრან-პრის გამართვის პერსპექტივა მეტად ბუნდოვნად მოჩანს. ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ მოვლენათა განვითარებას და სწრაფად მივიღოთ გადაწყვეტილება. დღეს დილით იქაურ პრინცს ველაპარკე და მან ამ საკითხის შესახებ ჩვენზე მეტი არაფერი იცის, მაგრამ ისინი სიტუაციას აკონტროლებენ. შემდეგ კვირას მივიღებთ გადაწყვეტილებას“*, - განაცხადა ექლსტოუნმა.

რამდენიმე საათის შემდეგ ბერნი ისევ შეხვდა პრესის წარმომადგენლებს და ამჯერად მისი კომენტარი უფრო პესიმისტური იყო: *„თუ სიტუაცია ისეთივე დარჩა, როგორიც დღეს არის, საბოლოო პასუხი უარყოფითი იქნება. თუ მომავალი ოთხშაბათისთვის მდგომარეობა არ გამოსწორდა, ვფიქრობ, რბოლის გაუქმება მოგვიწევს. დღეს ბაჰრეინში წამსვლელებს ვურჩევდი, თავი შეიკავონ მგ ზავრობისგან“*.



საჰირზე სიცარიელეა

...

ამასობაში, გუნდები გეგმაზომიერად აგრძელებენ მზადებას ახალი სეზონისთვის. გუშინ „მაკლარენ გრან-პრის“ პრესსამსახურმა გამოაცხადა იმის შესახებ, რომ პირველი აპრილიდან ბრიტანული საჯინიბოს ტექნიკური დირექტორის პოსტს **ბობ ბელი** დაიკავებს.

ეს სპეციალისტი საავიაციო მრეწველობაში მუშაობდა, რის შემდეგაც 1982 წელს „მაკლარენთან“ გააფორმა კონტრაქტი, სადაც კვლევით განყოფილებას ხელმძღვანელობდა. შემდეგ კარიერა „ბენეტონსა“ და „ჯორდანში“ გააგრძელა, 2009 წელს კი ირლანდიელმა **მაიკ გასკოინის** „ტოიოტაში“ წასვლის შემდეგ „რენოს“ ტექნიკური დირექტორის პოსტი ჩაიბარა.

2009 წელს ცნობილი სკანდალის გამო ფრანგული საჯინიბოდან წავიდნენ **ფლავიო ბრიატორე** და **პეტ სიმონდსი** და გუნდი ბელმა ჩაიბარა - მისი თანამდებობა იყო აღმასრულებელი დირექტორი. მაგრამ 2010 წლის ოქტომბრიდან ამ პოსტზე **ერიკ ბუიე** დაინიშნა, რომელმაც ბრიატორეს ფუნქციებიც შეითავსა. ახლა კი ბელს ახალ თანამდებობაზე ვხედავთ.

*„ბობის დანიშვნა გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება ჩვენი ტექნიკური განყოფილების გაძლიერებისთვის“*, - განაცხადა „მერსედეს გრან-პრის“ შეფმა როს ბრაუნმა.



ჯიმ კურიე

# როდიკი დევისზე ბრუნდება

ორი კვირის შემდეგ მამაკაცების გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე - დევისის თასზე მერვედფინალური მატჩები გაიმართება და მსოფლიო ჯგუფში მყოფი გუნდების კაპიტნები მომავალი შეხვედრებისთვის შემადგენლობებს ასახელებენ.

ამერიკის ნაკრების კაპიტნის თანამდებობაზე დებიუტი ექნება წარსულში ცნობილ ჩოგბურთელ **ჯიმ კურიეს**. თავისი წინამორბედისგან **პატრიკ მაკინროისგან** განსხვავებით, მან ნაკრებში ქვეყნის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელის შეკრება შეძლო. 4-6 მარტს, სანტიაგოში ჩილეს წინააღმდეგ ითამაშებენ **ენდი როდიკი, სემ კუერი, ჯონ ისნერი** და ტყუპი ძმები - **ბობ** და **მაიკ ბრაიანები**. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი როდიკი 2009 წლის შემდეგ პირველად ითამაშებს დევისის თასზე.

*„ყველა ამერიკელ ჩოგბურთელს უნდა დევისის თასის მოგება. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი იქნება მატჩი სანტიაგოში. იქაურ გრუნტზე რთული შეხვედრა გველის და მზად ვართ ამ გამოწვევის მისაღებად“*, - ამბობს კურიე სააგენტო „როიტერთან“ კომენტარში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**